ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 6ა. მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე.
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ. } რედაქტორის 14—76
} მდივნის 10—58
} ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8-81.

ხელისმომწერთ ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან - 80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ., საქართველოს გარეთ— ტექსტის უკან—1 მ. 20 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებული გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— ამხ. პოხვალინსკი ჩავიდა გონკონგში.
— ტოკიოში გარდაიცვალა საბჭოთა დიპლომატიური კურიერი პროუნი.
— 6 იანვარს ბუდაპეშტში გაიხსნება უნგრეთის სოც.-დემ. პარტიის ყრილობა.
— კომკავშირელების გასამართლება ლოძში.
— ალექსანდრიის მეთამბაქოეთა გამარჯვება.
— პარტიიდან გამორიცხულთა გამოწვევა საბჭოთა კავშირის ცაკიდან.
— ამხ. ვ. ნ. ტოლმაჩევი დაინიშნა რუსეთის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად.

ოთხშაბათი, 4 იანვარი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 3 (2016)

„კომუნისტი"-ს ხელის მომწერთა და მკითხველთა საყურადღებოდ

გუშინ, 3 იანვარს, ელექტრონის ენერგიის სიჭარბის გამო დაზიანდა ჩვენი გაზეთის საბეჭდი მანქანის როტაციის დინამომოტორი. ამ მიზეზით დილის 10 საათამდე დაიბეჭდა ტირაჟის ერთი ნაწილი (15.000 ცალი), დანარჩენი კი (16.200 ცალი) დაიბეჭდა მანქანის გასწორების შემდეგ — საღამოს 3 საათიდან. ამის გამო შეფერხდა ხელისმომწერთა და მკითხველთათვის გაზეთის თავის დროზე მიწოდება.

დღეს ა. წ. 4 იანვარს, საღამოს 6 საათზე
სახელმწიფო ოპერის შენობაში შესდგება
საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის აქტივის კრება
დღის წესრიგშია: ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენება საკავშირო კომპარტ. (ბ) მე-15 ყრილობის შედეგების შესახებ.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის, საქ. კ. (ბ) ა.-კ. საოლქო საკონტ. კომისიის და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის წევრებსა და კანდიდატებს შესვლა შეუძლიათ თავიანთი მანდატებით, დანარჩენ ამხანაგებს კი — რაიკომში მიღებულ ბილეთებით.

თბილისის კომიტეტის მდივანი ლ. სუხიშვილი

დაუესის გეგმის გაკოტრება

ცნობილ დაუესის გეგმის გადასინჯვის საკითხი, რომელიც დიდი ხანია რაც წამოჭრილია, ბოლო დროს განსაკუთრებით მწვავე ხასიათს ღებულობს. როცა ეს გეგმა სამი წლის წინედ მიიღეს, მაშინ სოციალ-დემოკრატიამ ერთი ხმაური ასტეხა საერთაშორისო კაპიტალის თანამშრომლობაზე, გერმანიის კაპიტალისტურ მეურნეობის მკვიდრი აღორძინების პერსპექტივებზე, მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, რასაც ვითომდა ჰგულისხმობდა ხსენებული გეგმის განხორციელება.

ჩვენთვის იმ თავითვე ცხადი იყო, სამი წლის განმავლობაში კი ყველასათვის ნათელი გახდა, რომ დაუესის „გენიალური" რეცეპტი, რომელსაც თითქოს სამუდამოდ უნდა განეკურნა მსოფლიო ომისა და ვერსალის „ზავის" შედეგად ძირფესვიანად მოშლილი გერმანიის სამეურნეო ორგანიზმი, საბოლოო ანგარიშით დამღუპველია მისთვის და უქადის მას სრულ კატასტროფას.

დაუესის გეგმის თანახმად, გერმანიის კაპიტალიზმის სტაბილიზაცია უნდა მომხდარიყო უცხოეთის, უმთავრესად ამერიკის ფინანსების საშუალებით. ეს სტაბილიზაცია აუცილებლად მიაჩნდათ, რომ გერმანიას შესაძლებლობა ჰქონოდა გადაეხადა უამრავი სარეპარაციო თანხები ომში გამარჯვებულ ქვეყნებისათვის. აქედან გასაგებია, თუ რა მძიმე ტვირთად უნდა დასწოლოდა გერმანიას ამ გეგმის გატარება.

თუმცა უცხოეთის კაპიტალმა ხელი შეუწყო გერმანიის ეკონომიკის მოსულიერებას და აღორძინებას, მაგრამ ეს მოხდა უდიდესი მსხვერპლის გაღებით ქვეყნის მშრომელ მასსების მხრით. საქმე ისაა, რომ გერმანიისათვის მიცემულ სესხისათვის მან, გარდა თავისი ნაწილ-ნაწილად გასტუმრებისა, ყოველწლიურად საკმაოდ მაღალი პროცენტები უნდა იხადოს. ეს კიდევ არაფერი. გერმანიას ევალება აუარებელი თანხების გაღება რეპარაციების (ესე იგი კონტრიბუციის) ანგარიშში. 1924—25 წელს მან გადაიხადა 1.037 მილ. ოქროს მარკა, 1925—26 წელს — 1.169 მილიონი მარკა, 1926—27 წ. 1.500 მილიონი მარკა, 1927—28 წ. უნდა შეიტანოს 1.750 მილ. მარკა. შემდეგ უნდა დაიწყოს ეგრედწოდებული „ნორმალური" გადასახადის გასტუმრება; 1928 წ. 1 სექტემბრიდან ყოველწლიურად სარეპარაციო ვალების ანგარიშში უნდა იქნას შეტანილი 2,5 მილიარდი ოქროს მარკა.

ამ თანხების გადახდის სიმძიმე თავისი უდიდესი ნაწილით, რა თქმა უნდა, აწვება არა გერმანიის კაპიტალისტებს, არამედ მუშებს, გლეხებს, წვრილ ბურჟუაზიას. არა-პირდაპირი გადასახადების უზომოდ გადიდება და მუშების განუსაზღვრელი ექსპლოატაცია — ასეთია ამ ვალების გასტუმრების წყარო.

ამნაირად, გერმანიის მშრომელი მასსები განიცდიან ორგვარ ექსპლოატაციას — „მშობლიური" კაპიტალისტებისაგან და უცხოელი ბანკირებისაგან. ამიტომაა, რომ გერმანიის გაღატაკებული მასსების უკმაყოფილება სულ უფრო იზრდება როგორც მთავრობისა, ისე დაუესის გეგმის წინააღმდეგ. ამიტომაა, რომ კლასობრივი ბრძოლა მწვავდება და გაფიცვების ტალღა ფართოდ ედება მთელ გერმანიას.

აღსანიშნავია დაუესის გეგმის ერთი მხარეც. ის აწესებს ფინანსიურ კონტროლს გერმანიაზე. ორი თვის წინედ რეპარაციების საქმეთა მთავარმა აგენტმა, ამერიკელმა პარკერ გილბერტმა მემორანდუმით მიმართა გერმანიის მთავრობას, სადაც ის აღნიშნავს, რომ ეს მთავრობა არ იცავს „ეკონომიას". ადიდებს ადმინისტრატიულ და სხვა ხარჯებს, უცხოეთში დიდძალ სესხს ღებულობს, რაც ეჭვის ქვეშ აყენებს რეპარაციების გადახდის შესაძლებლობას; ამიტომ გილბერტი მოითხოვდა გერმანიის მთავრობისაგან ბიუჯეტის შეკვეცას და სესხების პოლიტიკაზე უარის თქმას. ესაა აშკარა ჩარევა გერმანიის შინაურ საქმეებში და მისი სუვერენიტეტის შებღალვა. გერმანია დაუესის გეგმით აშკარად დამონებულია არა მარტო ფინანსიურად, არამედ პოლიტიკურადაც.

მაგრამ რანაირი კონტროლიც არ უნდა გაუწიონ გერმანიას, როგორადაც არ უნდა შეამციროს უკანასკნელის მთავრობამ ხარჯები ქვეყნის აუცილებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, როგორადაც არ უნდა გაძლიერდეს მასსების ექსპლოატაცია, ყველაფერს აქვს საზღვარი. აშკარა ხდება, რომ გერმანიას აღარ შეუძლია რეპარაციების გადახდა დაწესებული რაოდენობით. სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ გერმანიის ეკონომიკა, მიუხედავად რაციონალიზაციის გატარებისა, ნაწარმოების თვითღირებულების საგრძნობლად დაკლებისა, საგარეო ვაჭრობაში პასიურ ბალანსს იძლევა. გერმანიას მეტი შემოაქვს, ვინემ გააქვს. ასე რომ საგარეო ვაჭრობა ვერ შეიქნება ისეთ წყაროდ, რომ გაანაღდოს სარეპარაციო ვალდებულებანი. ეს მით უმეტეს, რომ გერმანიას უცხოეთის ბაზრები არ გააჩნია თავისი ნაწარმოების გასატანად მან კიდევ რომ შესძლოს გასაღების ბაზარზე კონკურენციის გაწევა სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებისათვის (ამას ის შესძლებს), ამის საშუალებას არ მისცემენ.

სადაა გამოსავალი? ფინანსიური კონტროლის მოხსნა და სარეპარაციო გადასახადების საერთო ჯამის დაწესება (ეს ჯამი დაუესის გეგმით არ იყო განსაზღვრული). რის შესახებ წინადადებას იძლევა გილბერტი, საქმეს ოდნავადაც ვერ უშველის, თუ ვერსალის ხელშეკრულებით დაწესებული კონტრიბუციის რაოდენობა (132 მილიარდი მარკა) მეტ წილად არ იქნა მოხსნილი. გილბერტის მიერ წამოყენებული ზომა ჰგულისხმობს ვალის გადახდის და გერმანიის ვალიუტის სიმტკიცის საქმეში მთელი პასუხისმგებლობის დაკისრებას მხოლოდ გერმანიისათვის, რაც არსებითად სრულებით ვერ სცვლის მდგომარეობას. ლაპარაკობენ სარეპარაციო თანხების შემცირებაზე. მაგრამ ეს საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული საერთაშორისო ვალების პრობლემასთან, რომლის გადაჭრა ვერ ხერხდება ამასთან. საფრანგეთის მთავრობა, როგორც განაცხადა პუანკარემ, გადაჭრით წინააღმდეგია სარეპარაციო ვალების ჯამის დაკლების, მაშინ როცა ის ამერიკისაგან მოითხოვს თავის ვალების საგრძნობლად ჩამოწერას.

დაუესის გეგმა გამოსავალი წერტილი ხდება გერმანიის მეურნეობის კატასტროფის, ის აგრეთვე აძლიერებს კაპიტალისტურ ქვეყნების წინააღმდეგობას. ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევა კაპიტალისტური მეთოდებით, რაც ბოლოს და ბოლოს ომში გამოიხატება, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. მხოლოდ აჯანყებული პროლეტარიატი გასჭრის იმ წინააღმდეგობათა კვანძს, რომელიც კაპიტალიზმმა შექმნა.

სასოფლო-სამეურნეო და დასაზღვევი გადასახადების აკრეფის შესახებ

დღევანდელ სამეურნეო ამოცანათა გადაჭრა უპირველეს ყოვლისა მოითხოვს, რომ სასოფლო მეურნეობის პროდუქტების დამამზადებელ რაიონებში სასოფლო ბაზარს მივაწოდოთ ისეთი სამრეწველო საქონელი, რომელიც სოფლად ნაკლებია და სავაჭრო აპარატის დეფექტების გამო ქალაქებშია დაბანდებული.

ამავე ამოცანების გადაჭრის მეორე საშუალებას ის წარმოადგენს, რომ გლეხობამ დაწესებული ვადის განმავლობაში გაიღოს გადასახადები და ამით მოიხადოს ფულადი მოვალეობანი სახელმწიფოს წინაშე. საჭიროა, რომ გლეხობამ დადებულ ვადაზე აუცილებლად და სრულად გაიღოს ხვედრი გადასახადები, კერძოდ, სასოფლო სამეურნეო და საგანაკვეთო დაზღვევის დარგში. ამ გადასახადთა საერთო ჯამი საკმაოდ მნიშვნელოვანია პურის დამზადების კამპანიის ახლანდელ პერიოდისათვის; მათი დროიანად და რიგიანად გადახდა დადებით გავლენას მოახდენს პურის დამზადებაზე.

რაიონების მიხედვით გადასახდთა ფაქტიური გადახდის ანალიზი კი გვიჩვენებს, რომ ამ დარგში საქმე ყველგან რიგიანად ვერ მიდის. არ შეიძლება იმის მოლოდინი გვქონდეს, რომ გადასახადების შემოსვლა „თავისთავად" მოხდება. ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ამოცანად უნდა დაისახონ, რომ დროიანად და მთლიანად მოგროვდეს მთელი ეს თანხები.

საბჭოთა კავშირის მასშტაბით 1 იანვრისათვის სასოფლო-სამეურნეო გადასახადი უნდა შემოვიდეს დაახლოვებით 235 მილიონი მანეთი (წლიური ჯამის 77 პროცენტი). არსებული ცნობების მიხედვით 15 დეკემბრისათვის შემოსულია დაახლოვებით 200 მილიონი მანეთი. გადასახადების ასეთი დენა საბჭოთა კავშირის მასშტაბით საერთოდ დამაკმაყოფილებლად უნდა მივიჩნიოთ. ათიოდე დღის შემდეგ ჩვენ, ალბად, გავიგებთ, რომ გადახდილია დანარჩენი 35 მილიონი მანეთიც. თუ გადასახდელ თანხებს რამე დააკლდება, ეს დანაკლისი მხოლოდ რამოდენიმე მილიონი მანეთისა იქნება.

1 იანვრისათვის გადასახადების (კოტად თუ ზევრად დამაკმაყოფილებელი დენა (საბჭოთა კავშირის მასშტაბით) ვერ დაგვამშვიდებს და ამან არც უნდა დაგვამშვიდოს. როგორც უკვე ვსთქვით, ცალკე რაიონების მიხედვით გადასახადების გაღების ანალიზი საფუძველს გვაძლევს მოუსვენრობისათვის. მართლაც, საბჭოთა რუსეთში 1 იანვრისათვის უნდა შემოვიდეს დაახლოვებით 147 მილიონი მანეთი. 15 დეკემბრისათვის შემოვიდა 114 მილიონი მანეთი. საეჭვოა, რომ დეკემბრის მეორე ნახევარში საბჭოთა რუსეთში დანარჩენი 33 მილიონი მანეთი შემოსულიყოს.

ცხადია, 10 მილიონი მანეთის დაკლებასაც უდიდეს რესპუბლიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს. უფრო უარეს მდგომარეობაშია გადასახადების შემოტანის საქმე რესპუბლიკის ცალკე რაიონებში, ამასთანავე, სწორედ ზოგიერთ პურის დამამზადებელ რაიონებში.

მაგალითად, ბაშკირთა რესპუბლიკამ 15 დეკემბრისათვის მოაგროვა მხოლოდ 62 პროცენტი იმ თანხისა, რომელიც 1 იანვრისათვის უნდა შემოვიდეს. საეჭვოა, რომ დეკემბრის მეორე ნახევარში იქ გადაეხადოთ დანარჩენი 38 პროცენტი. თათართა რესპუბლიკაში 15 დეკემბრისათვის გადახდილია სულ 60 პროცენტი იმ თანხისა, რომელიც 1 იანვრისათვის უნდა შემოვიდეს. ასეთივე პროცენტითაა გადასახადი გაღებული ციმბირშიც. უკეთესად არ არის საქმე ურალში, სადაც 15 დეკემბრამდე, 1 იანვრისათვის გადასახდელ 12 მილიონ მანეთიდან, დაახლოვებით, გადახდილია 7 მილიონი მანეთი. ვიმეორებთ, ეს ყველაფერი ხდება იმ დროს, როდესაც საერთოდ მთელ საბჭოთა კავშირში საგეგმო დავალება წარმატებით სრულდება.

ვივარაუდოთ უკეთესი,—ვსთქვათ, რომ დეკემბრის მეორე ნახევარში ზემოთ ჩამოთვლილ სხვადასხვა რაიონში გადასახადის გაღება, მეტადრე პურის დამზადების რაიონებში, კარგად სწარმოებდა და საგეგმო დავალება 1 იანვრისათვის სრულად არის შესრულებული. ამით ამოცანა ჯერ გადაჭრილი არ იქნება. ადგილებმა უაღრესად ენერგიული ზომები უნდა მიიღონ, რომ შემდგომი ვადების განმავლობაში გადასახდელად დაწესებული თანხები აუცილებლად თავის დროზე და სრულად იქნას გაღებული. თუ დადებული ვადები სისწორით იქნება დაცული, იანვრისა და თებერვლის განმავლობაში დაახლოვებით 70 მილიონი მანეთი უნდა შემოვიდეს, ანუ წლიური ჯამის 95—97 პროც.

ადგილობრივი ორგანოების ერთ-ერთი მორიგი ამოცანა ის არის, რომ საგადასახადო კამპანია ყოველ მიზეზგარეშე მარტზე გვიან არ დამთავრდეს.

ამავე ვადისათვის უნდა აიკრიბოს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ყველა ნარჩენი. უნდა გვახსოვდეს, რომ 15 დეკემბრის მანიფესტმა მთლიანად მოხსნა ნარჩენები ხელმოკლე გლეხობას, ხოლო სანახევროდ და სამი მეოთხედით საშუალო გლეხობას.

ამგვარად, ახლა ნარჩენები გადასახდელი აქვს გლეხობის შეძლებულ ნაწილს. ცხადზე უცხადესია, რომ თავისი ხვედრის გადაუხდელობას ვერ ვაპატიებთ იმ კულაკს, რომელიც ამ გადაუხდელობის წყალობით ან პურის სპეკულიაციას გასწევს, ან გადიდებულ მოთხოვნილებას წარადგენს საქონელზე.

საჭიროა საგადასახადო კამპანია დავამთავროთ არა უგვიანეს 1 მარტისა არა მარტო იმიტომ, რომ ამით ხელი შევუწყოთ პურის დამზადების გაძლიერებას, არამედ აგრეთვე იმიტომაც, რომ მომქმედ სასოფლო სამეურნეო გადასახადის კანონში საჭირო იქნება ზოგიერთ ცვლილებების შეტანა. ამიტომ ქვედა საფეხურის საბჭოთა აპარატი, რომელსაც ეკისრება გადასახადის ცხოვრებაში გატარება, დროებით უნდა განთავისუფლდეს გადასახადის აკრეფისაგან, რომ შეეძლოს წარმატებით და თავის დროზე გაატაროს ცხოვრებაში ახალი სასოფლო სამეურნეო გადასახადი.

უფრო ცუდად არის საქმე გლეხობიდან სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის გამოსაღების აკრეფის მხრივ. ამ გადასახადის თავის დროზე და სრულად აკრეფის ამოცანა თუ უფრო დიდი არა, ნაკლები მნიშვნელობის მაინც არ არის. მაშინ, როდესაც სასოფლო სამეურნეო გადასახადი წარმატებით შემოდის მთელ საბჭოთა კავშირში და ჩამორჩენილია მხოლოდ ზოგიერთი რაიონები, საგანაკვეთო დაზღვევის გადასახადი თითქმის ყველგან ნაკლებად იკრიფება.

სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევით გლეხობამ წლის განმავლობაში უნდა გადაიხადოს დაახლოვებით 103 მილიონი მანეთი და ნარჩენები დაახლოვებით 11 მილიონი მანეთი. 15 ოქტომბრისათვის უნდა შემოსულიყო განაკვეთის და ნარჩენების საერთო თანხის 50 პროცენტი მაინც, ანუ 50—60 მილიონი მანეთი. 15 დეკემბრისათვის კი შემოსულია სულ 24 მილიონი მანეთი, ანუ 20 პროცენტზე ცოტა მეტი.

დასაზღვევი გადასახადისა და ნარჩენების მთელი თანხის შემოსავლის უკიდურესი ვადა არის 1 მარტი, ეს ვადა დაწესებულია მხოლოდ ზოგიერთ ტერიტორიალურ ერთეულებისათვის. საბჭოთა კავშირის რაიონების უმეტეს ნაწილისათვის საგანაკვეთო დაზღვევის გადასახადის შეტანის ვადა გადის იანვარში. საჭირო არაა იმის მტკიცება, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს საგანაკვეთო დაზღვევის გადასახადებისა და ნარჩენების აკრეფას დაწესებულ ვადაზე, ყოველ შემთხვევაში იანვარ-თებერვლის განმავლობაში.

ჩვენს წინაშე სდგას მიმდინარე სამეურნეო სიძნელეთა დაძლევის ამოცანა და სრულიად დაუშვებელია ამ სიძნელეთა გაძლიერება იმის შეუსრულებლობით, რაც შესაძლოა შესრულდეს. ამასთანავე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ ღარიბი გლეხობა ჩვენ გავანთავისუფლეთ სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან, საგანაკვეთო დაზღვევაში კი მივეცით მთელი რიგი შეღავათები, სოფლის საშუალო ნაწილისათვის კი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი და დაზღვევის გადასახადი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს სამძიმოდ.

ამრიგად, იმ ღონისძიებათა რიცხვში, რომლებსაც ეხლა ვღებულობთ პურის დამზადების გასაძლიერებლად, კერძოდ სოფლისათვის სამრეწველო საქონლის მიწოდების ამოცანასთან ერთად, აუცილებელია ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოების მუშაობის დღის წესრიგში დაისვას სასოფლო-სამეურნეო გადასახადის, საგანაკვეთო დაზღვევის გადასახადის და ყველა ნარჩენების დაწესებულ ვადაზე სრულად აკრეფის ამოცანა. მთელი ეს მუშაობა უნდა დამთავრდეს იანვარ-თებერვლის განმავლობაში, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, სასტიკად უნდა იქნეს დაცული დაწესებული ვადები.

ამ ამოცანის წარმატებით განხორციელებამ შეიძლება არ იქონიოს სერიოზული გავლენა ჩვენი მიმდინარე სამეურნეო ამოცანების გადაჭრაზე.

„პრავდა", 3 იანვარი.

დაუესის გეგმის გადასინჯვის გარშემო
ბრძოლა ინდოეთის დამოუკიდებლობისათვის.—მუსლიმანთა ლიგის ყრილობა
სამხრეთ-სლავიის პრესა მოითხოვს ურთიერთობის აღდგენას საბჭოთა კავშირთან
ტერორი სირიაში და ინდონეზიაში.--ბრძოლა ამნისტიისათვის ბულგარეთში

დაუესის გეგმის გადასინჯვა

ბერლინი, 2 იანვარი. მიუხედავად ოფიციალური უარყოფისა ამერიკის მხრივ, გერმანიის მსხვილი მრეწველობის ორგანო „დეიჩე ბერგვერკს ცეიტუნგი", ემყარება რა სარწმუნო ცნობებს, იუწყება:

„ხმები დაუესის გეგმის გადასინჯვის შესახებ ემყარება ამერიკელი ბანკირების სერიოზულ წინადადებებს. ამ წინადადებების მიხედვით, სარეპარაციო პრობლემა უნდა გადაწყდეს შეერთებული შტატების მიმართ საერთაშორისო დავალიანებასთან დაკავშირებით. მოკავშირეთა ვალების—2 მილიარდი დოლარის—მაგივრად ამერიკამ გერმანიისაგან უნდა მიიღოს 4.250.000 დოლარი. საერთაშორისო საბანკო კონსორციუმის და დაინტერესებულ მთავრობათა დახმარებით ამ შემთხვევაში გამოშვებულ უნდა იქნას სესხი 6 მილიარდი დოლარის რაოდენობით, აქედან 4.25 მილიარდს მიიღებს შეერთებული შტატები, 1,5 მილიარდი მოხმარდება ევროპის ვალიუტის სტაბილიზაციას, 250 მილიონი—იმ სესხის ობლიგაციების გამოსყიდვას, რომელიც გერმანიას მიეცა დაუესის გეგმით.

ამგვარად, გერმანიის სარეპარაციო ვალი 132 მილიარდი მარკის ნაცვლად იქნება 6 მილიარდი დოლარი, წლიური გადასახადი—420 მილიონი დოლარი". (ადს).

ნავთის ტრესტების უღელქვეშ

ვენა, 2 იანვარი. ბელგრადის გაზეთი „ნოვოსტი" აქვეყნებს წერილს, რომელიც, როგორც სჩანს, ეკუთვნის სერბიის გლეხთა კავშირის ლიდერ **იოვა იოვანოვიჩის** კალამს. წერილში ხაზგასმულია, რომ **სტანდარტ ოილისა და შელ-კომპანიის პოლიტიკა უდიდეს ზარალს აყენებს სამხრეთ - სლავიის სახელმწიფოს და სამხრეთ - სლავიის კერძო მრეწველობას.** ორივე ეს საზოგადოება, რომლებიც სამხრეთ-სლავიაში სარგებლობენ ბენზინის, ბენზოლის და სხვა პროდუქტების გაყიდვის მონოპოლიით, ამ პროდუქტებს ორჯერ უფრო ძვირად ჰყიდიან სამხრეთ-სლავიაში, ვიდრე სხვა ქვეყნებში.

წერილის ავტორი სწერს, რომ მხოლოდ ბრმებს შეუძლიათ განაგრძონ ეს უგუნური პოლიტიკა არაჩვეულებრივად მწვავე ეკონომიურ კრიზისის პირობებში, რომელიც ხასიათდება ექსპორტის განუწყვეტელი დაცემით, საგარეო ვაჭრობის პასივის ზრდით და სხვ. ამის გამო წერილის ავტორი გამოსთქვამს აზრს, რომ **სასურველია ურთიერთობის აღდგენა საბჭოთა კავშირთან, რომ ამით მოშორებული იქნეს ნავთის ტრესტების უღელი.** ავტორი მიუთითებს საფრანგეთზე, რომელიც, მისი სიტყვებით, იმავე მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა, როდესაც დაადგა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლების გზას.

ხორვატიის სამრეწველო წრეების ორგანო „სამხრეთ - სლავიის ლოიდი" გამოსთქვამს თავის აზრს ამ წერილზე და სწერს:

„**ჩვენ არა ერთხელ ვუსვამდით ხაზს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენის საჭიროებას.** არგუმენტები, რომლებსაც იმოწმებს „ნოვოსტი"-ს წერილის ავტორი, ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ მთელი ჩვენი ქვეყნის ინტერესებისათვის დიდი ხანია დროა მიღებულ იქნას გარკვეული გადაწყვეტილება ამ საკითხზე" (ადს).

ჰოლანდიის „ცივილიზაცია" ინდონეზიაში

ამსტერდამი, 2 იანვარი. ჰოლანდიის სააგენტოს ცნობით, ინდონეზიის გენერალ-გუბერნატორმა უარყო სილუნგკანგის აჯანყების სამ მონაწილის შუამდგომლობა პატიების შესახებ: მათ მისჯილი აქვთ სიკვდილით დასჯა. ამავე დროს უარყოფილია აჯანყების კიდევ სამ მონაწილეთა შუამდგომლობა პატიების შესახებ: მათ შორის ერთს მისჯილი აქვს სამუდამო ციხე, დანარჩენ ორს კი 20 წლის ციხე თითოეულს.

სილუნგკანგი არის ცენტრი სუმატრაზე 1927 წ. მომხდარ აჯანყებისა, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა მთელი ადგილობრივი მოსახლეობა. ჰოლანდიის პარლამენტის კომუნისტმა დეპუტატმა დე-ვისერმა პარლამენტში შეიტანა წინადადება, რათა **ინდონეზიაში აკრძალული იქნეს ტუსაღების ფიზიკური დასჯა, რომელსაც ეხლაც აქვს ადგილი ციხეებში და სახელმწიფო წარმოებებში ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ.** დე-ვისერის წინადადებას მხარი დაუჭირა მხოლოდ ერთმა სოციალისტმა დეპუტატმა კრამერმა. პარლამენტის უმრავლესობამ, დანარჩენ სოციალ-დემოკრატიულ დეპუტატებთან ერთად, გაილაშქრა დე-ვისერის წინადადების წინააღმდეგ (ადს).

ბრძოლა ამნისტიისათვის ბულგარეთში

ვენა, 2 იანვარი. იმ პატიმართა სიაში, რომლებიც ბულგარეთის მეფემ გაანთავისუფლა ამნისტიით საშობაო დღესასწაულის გამო, შეტანილ იქნა რამოდენიმე პოლიტიკური. მაგრამ ყველა ამ **პოლიტიკურებმა იუსტიციის მინისტრს გადასცეს კოლექტიური განცხადება, რომელშიაც ისინი უარს ამბობენ პატიებაზე და აღნიშნავენ, რომ ისინი ციხეს დასტოვებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამნისტიით განთავისუფლებული იქნებიან ყველა პოლიტიკურები.**

ამ განცხადებამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ბულგარეთის ყველა წრეებზე. მუშათა პარტიის, გლეხთა კავშირის, სოციალ-დემოკრატების და წვრილი ხელოსნების საპარლამენტო ფრაქციების თათბირმა დაადგინა შეეკითხონ პრემიერს: რატომ დღემდე არ შეიტანა მთავრობამ პარლამენტში კანონპროექტი ამნისტიის შესახებ.

სოფიაში დაარსდა ამნისტიისათვის მებრძოლი კომიტეტი.

ბრძოლა ინდოეთის დამოუკიდებლობისათვის

მუსლიმანთა ლიგის ორი ყრილობა.

ლონდონი, 2 იანვარი. კალკუტიდან იუწყებიან, რომ იქ გაიხსნა მუსლიმანთა ლიგის უმრავლესობის ყრილობა (როგორც დეპეშებში იუწყებოდენ ლიგის შიგნით მოხდა საბოლოოდ განხეთქილება ინდოეთში საკონსტიტუციო რეფორმების გადამსინჯველ ინგლისის კომისიისადმი დამოკიდებულების საკითხის გარშემო.

ამასთან დაკავშირებით ლიგის უმრავლესობის ყრილობასთან ერთდროულად ლიგის რეაქციონურმა უმცირესობამ **მუხამედ შაფის** მეთაურობით მოაწყო ყრილობა ლაჰორში).

უმრავლესობის ყრილობის პოლიტიკურმა კომისიამ მიიღო კომპრომისულ რეზოლუცია —ყველა საკანონმდებლო ორგანოების არჩევნებში მუსლიმანების და ინდოელების გაერთიანებისათვის ხელის შეწყობის მიზნით. პოლიტიკურმა კომისიამ მოიწონა ინდოეთის ნაციონალური კონგრესის 28 დეკემბერს დახურულ სესიის რეზოლუცია, რომელიც მოითხოვდა ინდოელებისა და მუსლიმანების გაერთიანებულ გამოსვლას ყველა საკანონმდებლო დაწესებულებათა არჩევნებში იმ პირობით, რომ ნაციონალურ უმცირესობათათვის უზრუნველყოფილ იქნეს ადგილების განსაზღვრული რაოდენობა ამ დაწესებულებებში. მაგრამ კომისიამ ამ რეზოლუციაში შეიტანა დამატება, რომელშიაც აცხადებს, რომ ამ ჟამად ცალკე არჩევნები საკანონმდებლო დაწესებულებებში მუსლიმანებისა და ინდოელებისათვის აუცილებელია, მაგრამ „მუსლიმანთა ლიგა" - დასძენს კომისია,—მზადაა უარი სთქვას არჩევნების ასეთ წესზე საპარლამენტო არჩევნების დროს შემდეგი პირობით: „ნაციონალურ უმცირესობათათვის უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ადგილების განსაზღვრული რაოდენობა, სინდის რაიონს, რომელიც ამ ჟამად ბომბეის პროვინციის შემადგენლობაში შედის, ნამდვილად უნდა მიენიჭოს ცალკე ავტონომიური პროვინციის უფლებები, ჩრდილო-დასავლეთ მოსაზღვრე პროვინციაში და ბელუჯისტანში უნდა ჩატარდეს რეფორმები".

მუსლიმანთა ლიგის საბჭომ დაადგინა დანიშნოს ქვე-კომისია ნაციონალურ კონგრესსა და სხვა ორგანიზაციებთან კავშირის დასაჭერად იმ მიზნით, რომ ინდოეთისათვის გამომუშავდეს ისეთი კონსტიტუცია, რომელშიაც დაცული იქნება მუსლიმანთა ინტერესები.

ამის შემდეგ მუსლიმანთა ლიგის უმრავლესობის ყრილობის პოლიტიკურმა კომისიამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია ლიგის პენჯაბის განყოფილების (რომელმაც გაილაშქრა ინგლისის კომისიისათვის ბოიკოტის გამოცხადების წინააღმდეგ) გამორიცხვის შესახებ. რეზოლუცია სასტიკად ჰგმობს ლიგის რეაქციონურ უმცირესობის ბელადს მუხამედ შაფის.

მუსლიმანთა ლიგის უმცირესობის ყრილობა, რომელიც ლაჰორში გაიმართა, მეტად მძიმე ატმოსფერაში ჩატარდა. იმ შენობის კარებთან, სადაც ყრილობა იყო მოწყობილი, იდგა პოლიციელთა რაზმი. ყრილობის თავმჯდომარე მუხამედ შაფი მოითხოვდა, რომ ინდოეთის ყველა პოლიტიკურ პარტიებს წარმოედგინათ ერთსულოვანი მოთხოვნილება შემდგომი ნაბიჯების შესახებ ინდოეთის საკონსტიტუციო რეფორმების დარგში, „იმ პირობით, რომ ეს მოთხოვნილება იქნეს სავალდებულო საიმონის კომისიისათვის, იმის და მიუხედავად, რა შემადგენლობისაც არ უნდა იყოს ეს კომისია". მუხამედ შაფიმ განაცხადა, რომ არსებულ პოლიტიკური მდგომარეობის დროს ინდოელებისა და მუსლიმანების გაერთიანებული გამოსვლა არჩევნებში, სულ ერთია, მიეცემათ თუ არა ნაციონალურ უმცირესობათ ადგილების განსაზღვრული რაოდენობა, უეჭველია გამოიწვევდა შეხლა-შემოხლას ინდოელებსა და მუსლიმანებს შორის და სერიოზულ ზიანს მოაყენებდა ნაციონალურ მოძრაობას ინდოეთში.

მუხამედ შაფი მოითხოვს საკონსტიტუციო და ადმინისტრატიული რეფორმების შემოღებას ჩრდილო-დასავლეთ მოსაზღვრე პროვინციაში, სინდის ოლქის გამოყოფას ბომბეის პროვინციიდან და ინდოეთის მეფისნაცვალთან არსებულ „აღმასრულებელ საბჭოს" წევრთა რიცხვის გადიდებას 8 კაცამდე. (ამჟამად არის 7 წევრი). რომელთაგან ოთხი უნდა იყოს ინდოელი (ამჟამად არის სამი ინდოელი).

დასასრულ მუხამედ შაფიმ წამოაყენა მოთხოვნილება ერთი მთავრობის შექმნის შესახებ.

მუხამედ შაფის სიტყვის შემდეგ უმცირესობის ყრილობამ ერთხმად დაადგინა, რომ ნაციონალური კონგრესის მიერ მიღებული რეზოლუცია ინდოელებსა და მუსლიმანების გაერთიანებული გამოსვლის შესახებ არჩევნებში, მიუღებელია მუსლიმანებისათვის.

სრული არევ-დარევის პირობებში ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს ინდოეთის [illegible] არამუსლიმანური საზოგადოების ბელადებს „შეუთანხმდენ მუსლიმანურ საზოგადოებას მანამდე, სანამ საიმონის კომისია დაიწყებდეს მუშაობას, ან წარუდგენს ინგლისის მთავრობას ინდოეთის კონსტიტუციის პროექტს, რომელშიაც უზრუნველყოფილი იქნება ყველა თემების უფლებები". ხალიფატის მოძრაობის წარმომადგენლები, რომლებიც ყრილობას დაესწრნენ ითხოვდნენ ამ უკანასკნელი რეზოლუციის მოხსნას, მაგრამ [illegible] დამთავრების გამო ხალიფატის მოძრაობის წარმომადგენლებმა პროტესტის ნიშნად დასტოვეს ყრილობა (ადს).

„როტე ფანეს" წერილი

ვენა, 2 იანვარი. ავსტრიის კომპარტიის ორგანო „როტე-ფანე" თავის საახალწლო წერილში აღნიშნავს, რომ ივლისის ამბების შემდეგ ავსტრიის ფაშიზმი გადავიდა შეტევაზე და იმდენად თავშეუკავებლად აწარმოებს შეტევას, რამდენადაც სოციალ-დემოკრატია მიდის კაპიტულიაციაზე და სცდილობს ბურჟუაზიის დათანხმებას კოალიციონური მთავრობის შექმნაზე.

„1928 წელი—ნათქვამია წერილში, **იქნება ავსტრიის პროლეტარიატის გამარჯვების წელი, თუ ის საბოლოოდ გადალახავს სოციალ-დემოკრატიულ ილიუზიებს და ჩადგება კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ".**

რუმინელი მოქალაქენი რომში

რომი, 2 იანვარი. რუმინეთის საელჩოში რომში შესდგა ბანკეტი იტალიის გენერალურ შტაბის უფროს ბადოლიოს საპატივცემლოდ. რუმინეთიდან ჩამოსულმა სპეციალურმა დელეგაციამ მას გადასცა სიგელი რუმინეთის საპატიო მოქალაქის წოდებაზე და კიშინიოვში სასახლის ჩუქებაზე. როგორც ცნობილი გენერალი ბადოლიო 1926 წლის ბოლოს **ბესარაბიის პროტოკოლის ცნობამდე იტალიის მიერ** ჩავიდა რუმინეთში იტალიის მეფის ოფიციალურ მისიასთან ერთად, და განაცხადა, რომ იტალია მზად არის ხელი შეუწყოს რუმინეთის ეხლანდელ საზღვრების დაცვას (ადს).

ტერორი სირიაში

ანგორა, 2 იანვარი. უკანასკნელ დღეებში დამასკში დასჯილია რამოდენიმე კაცი, რომელნიც მონაწილეობას იღებდენ აჯანყებაში. ბეირუტში საჯაროთ დასაჯეს დრუზი ალი ფახრი, რომელიც 1925 წელს მონაწილეობას იღებდა დრუზების შეტევაში რაშეჯაზე. ალი ფახრი პოლესტინის მთავრობის მიერ გაცემულ იქნა საფრანგეთის ხელისუფლებისათვის. დაპატიმრებულია და გადასახლებულია ასი და ათასი სირიელი ნაციონალისტი. **აგიტაციამ ამნისტიის სასარგებლოდ იმდენად ფართე გამოხმაურება ჰპოვა მოსახლეობის ყველა ფენებში, რომ ზოგიერთ მიდამოებში საფრანგეთის ხელისუფლება მოელის ახალი მღელვარების დაწყებას (ადს).**

უმუშევართა უზრუნველყოფა

უმუშევრობის შენელება საბჭოთა ხელისუფლებისათვის მნიშვნელოვანი ამოცანა არის. მას სათანადო ყურადღება ექცევა. მთელი რიგი კონკრეტიული ზომები მიმართულია უმუშევრების რიცხვის შემცირებისაკენ. ახალი წარმოების ის ფართო მშენებლობა, რომელსაც საბჭოთა რესპუბლიკაში და კერძოთ საქართველოში ადგილი აქვს, ამ მხრივ გადამწყვეტ როლს თამაშობს. შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლაც საგრძნობ გავლენას იქონიებს უმუშევრობაზე. შემოკლებულ სამუშაო დღის შემოღებით გაუმჯობესდება არა მარტო წარმოებაში ჩაბმული მუშების მდგომარეობა: მასთან დაკავშირებულია სამ ცვლიან მუშაობაზე გადასვლა, რაც შესამჩნევად გაადიდებს წარმოებაში ჩაბმულ მუშათა რიცხვს. ამას გარდა სამ ცვლიან მუშაობა ძირითად კაპიტალის გამოყენებას გაზრდის, რაც ახალი წარმოებების მოსაწყობად მეტი თანხების გადადების შესაძლებლობას მოგვცემს.

უმუშევრობის შენელებისათვის გადამჭრელ ზომების მიღების გარდა ტარდება მთელი რიგი ზომები უმუშევართა მატერიალური უზრუნველყოფისათვის. უმუშევართა მატერიალური დახმარება რამოდენიმე სახით ტარდება. უმუშევრებს დახმარებას უწევენ პროფესიონალური კავშირები და სახელმწიფო ორგანოები.

უმუშევრების სახელმწიფო დახმარება ხორციელდება ფულადი დახმარების მიცემით და შრომითი დახმარებით (საზოგადოებრივი სამუშაონი, შრომის კოლექტივები). გასულ 1926-27 სამეურნეო წელში საბჭოთა კავშირში უმუშევართა დახმარებისთვის დახარჯულ იყო 85 მილიონი მანეთი. მიმდინარე წლისათვის განზრახულია გადაიდოს 146 მილიონ მანეთამდე. საქართველოში გასულ წელში საზოგადოებრივ სამუშაობებისათვის და უმუშევართა შრომის კოლექტივების მოსაწყობად დაახლოვებით დაიხარჯა 260 ათასი მანეთი. მიმდინარე წელში კი ეს თანხა დაახლოვებით გადიდებული იქნება 400 ათას მანეთამდე.

ფულადი დახმარების მიცემა უმუშევრებისათვის სოციალური დაზღვევის ორგანოებიდან ამ ჟამად საგრძნობლად ფართოვდება. რამოდენიმე დღის წინათ გამოქვეყნებული იყო საკავშირო სოციალურ დაზღვევის საბჭოს მიერ ახალი დებულება უმუშევართათვის დახმარების გაცემის შესახებ. ამ ახალი დებულებით თითქმის ორჯერ იზრდება დაზღვეულ უმუშევართა რიცხვი. შრომის ბირჟაში ყველა აღრიცხულ უმუშევრების დაახლოვებით 50 პროცენტს ახალი დებულებით ფულადი დახმარების უფლება ექნებათ.

დაზღვეულ უმუშევართა კონტინგენტის გაფართოვებას, სხვათა შორის, ხელს უწყობს ეგრეთწოდებულ დაქირავებულ შრომითი სტაჟის განუწყვეტლობის გაუქმება. ძველი წესით დაქირავებულ შრომითი სტაჟის ჩათვლა ხდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაქირავებით შრომა განუწყვეტელი იყო. ეს ძლიერ საზღვრავდა დაზღვეულ უმუშევართა რიცხვს. თვით სტაჟის ხანგრძლივობაც საგრძნობლად არის შემცირებული.

გაფართოვებული არის დახმარების მიღების ხანგრძლივობაც. აქამდი, გარდა პირველი კატეგორიის უმუშევრებისა, წლიწადში დახმარება უმუშევრებს ეძლეოდა მხოლოდ ექვსი თვის განმავლობაში. ახალი დებულებით კი უნდა ეძლეოდეს ყველას წლიწადში ცხრა თვე. დახმარების მიცემა უმუშევრობის ერთი პერიოდის განმავლობაში (ბირჟაში განუწყვეტლივ უმუშევრად ყოფნის დრო) განსაზღვრულია 18 თვით.

დახმარების რაოდენობა საქართველოში არის მაქსიმალური 22 მანეთი და მინიმალური 10 მანეთი (უმუშევართა ჯგუფების და რაიონების მიხედვით). ამას გარდა უმუშევრებს ეძლევათ ოჯახის წევრების რიცხვის მიხედვით დამატება ძირითადი დახმარების 15 პროცენტიდან 35 პროცენტამდე. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ამავე დროს უმუშევრების დიდი ნაწილი ამის გარდა იღებს კიდევ დახმარებას პროფესიონალური კავშირების ორგანოებიდან, მაშინ გამოდის, რომ უმუშევრის მთელი დახმარება წარმოებაში ჩაბმულ მუშების საშუალო ხელფასის ნახევარზე ნაკლები არ არის. ამასთანავე უნდა ახლა გავითვალისწინოთ, რომ უმუშევრებს აქვთ მთელი რიგი შეღავათები (ბინის ქირის და სხვ.). არის შემთხვევები, რომ ზოგიერთი უმუშევარნი იმდენათ კმაყოფილი არიან დახმარებით, რომ უარს ამბობენ მცირე ფასიან სამუშაოზე.

მთელი რიგ სხვა საკითხებშიაც ახალი დებულებით უმუშევრების უზრუნველყოფის საქმე გაუმჯობესებულია. მაგალითად, თუ უმუშევარს აქვს შემთხვევითი შემოსავალი და მისი რაოდენობა არ აღემატება უმუშევრობის დახმარების 150 პროცენტს, მას დახმარების მიცემა დამზღვევ ორგანოებიდან არ ესპობა და სხვ.

ზევით მოყვანილით არ ამოიწურება უმუშევრების უზრუნველყოფის საქმე. გარდა ფულადი და შრომითი დახმარებისა და კომუნალურ შეღავათებისა, არის კიდევ მთელი რიგი სხვა სახის დახმარებებიც, როგორიც, მაგალითად, რკინის გზის შეღავათიანი ბილეთები და სხ.

უმუშევართა უზრუნველყოფის გაფართოვების გატარების დროს შეიძლება ადგილი იქნეს უმუშევრობის სიმულიაციას და დამზღვევ ორგანოებიდან დახმარების ისეთი პირების მიერ მიღებას, რომელნიც ნამდვილად უმუშევრები არ არიან. ასეთ მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოშობს დამზღვევ ორგანოებში ამ ახალი დებულების შეზღუდულად გატარების ტენდენციას. ცხადია, ყოველგვარი ზომები უნდა მივიღოთ, რომ უმუშევრობისათვის გაღებული თანხები მოხმარდეს ნამდვილ უმუშევრებს. მაგრამ ამასთანავე არ უნდა იქნეს დაშვებული უმუშევრების ხარჯზე მათთვის გაცემულ თანხების ეკონომია.

ტ—ლი.

ჩინეთში

ამხ. პოხვალინსკი გონკონგში

შანხაი, 2 იანვარი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, გონკონგში ჩავიდნენ ამხ. პოხვალინსკი და მისი თანამგზავრნი, რომელნიც შანხაიში გაემგზავრებიან. თუ მათ შანხაიში ჩასვლის ნებას არ მისცემენ, მაშინ კობეში წავლენ. სააგენტო იუწყება, რომ პოხვალინსკი ავადაა (ადს).

ამხ. კ. ს. ივანოვი

საბჭოთა საკონსულოს თანამშრომელი, რომელიც მოკლეს კანტონში

ლი ფუ-ლინის გადადგომა

ტოკიო, 1 იანვარი. იუწყებიან, რომ გენერ. ლი-ფუ-ლინი კანტონიდან გონკონგში ჩავიდა. მან გამოაქვეყნა განცხადება გადადგომის შესახებ (ადს).

კანტონელი მუშის სიკვდილით დასჯა

„პოლიტიკური მრჩეველი"

ტოკიო, 2 იანვარი. გენერალმა ჩენ-ტა-ომ ხანკოუში თავის პოლიტიკურ მრჩევლად დანიშნა მეფის ყოფილი კონსული ბელოუშენკო.

კომკავშირელების გასამართლება ლოძში

ვარშავა, 2 იანვარი. ლოძში 20-ის პროცესზე სამს მიუსაჯეს წელიწადნახევრის ციხე, თერთმეტს თითო წლის და ექვსს—სამ-სამი წლის. ყველა ბრალდებულები პასუხისგებაში იყვნენ მიცემული კომკავშირის წევრობისათვის (ადს).

პასუხისგებაში მისცეს
სიმართლის თქმისათვის.

ვენა, 2 იანვარი. სოფიიდან მიღებული ცნობით, პროკურატურამ მუშათა გაზეთის „ნოვინა"-ს რედაქტორი პასუხისგებაში მისცა იმ წერილისათვის, რომელიც სექტემბრის ერთ-ერთ ნომერში იყო მოთავსებული საბჭოთა პავილიონის შესახებ ვენის საერთაშორისო ბაზრობაზე. წერილის ავტორი აღნიშნავდა, რომ **საბჭოთა კავშირს აქვს უდიდესი ბუნებრივი სიმდიდრენი და რომ მან დიდ პროგრესს მიაღწია სოციალისტური მშენებლობის საქმეში;** ამასთანავე ავტორი თავის წერილს ათავებდა მოწოდებით, რომ მასებმა აქტიურად დაუჭირონ მხარი საბჭოთა კავშირს იმ იმპერიალისტური ომის დროს, რომელსაც მის წინააღმდეგ ამზადებენ (ადს).

პროვოკატორი კლიიმი

რეველი, 2 იანვარი. გაზეთ „პაევალეხტი" დაბეჭდილია შემდეგი ცნობები:

„უმუშევარმა მხაზავმა კლიიმმა საბჭოთა საელჩოს შესთავაზა საიდუმლო ცნობები. საელჩომ ამის შესახებ აცნობა ესტონეთის ხელისუფლებას. ხელისუფლების განკარგულებით, კლიიმი გადასახლებულ იქნა იმ რაიონიდან, სადაც სამხედრო წესებია გამოცხადებული".

სრულუფლებიან წარმომადგენლობაში საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს აცნობეს, რომ კლიიმს არავითარი „მასალები" შეუთავაზებია წარმომადგენლობისათვის. არ არის სწორი აგრეთვე ის ცნობა თითქოს სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ, როგორც ამას აღნიშნავს „პაევალეხტი", ამის შესახებ აცნობა გარეშე საქმეთა სამინისტროს. ნამდვილად კი საქმის ვითარება ასეთია:

კლიიმი გამოცხადდა სრულუფლებიან წარმომადგენლობაში და თავის თავს უწოდა „სახელმწ. პოლიტსამმართველოს არალეგალური ორგანიზაციის (ესტონეთში) თანამშრომელი". თუმცა სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ დაუყონებლივ გადასცა გარეშე საქმეთა სამინისტროს კლიიმის მიერ მოტანილი „მასალები", რომელთა საშუალებითაც უნდა დამტკიცებულიყო, რომ იგი არის არარსებული „სახელმწ. პოლიტსამმართველოს არალეგალური ორგანიზაციის" თანამშრომელი, მაგრამ ესტონეთის ხელისუფლება დაკმაყოფილდა მისი გადასახლებით სამხედრო წესების რაიონიდან. რამდენადაც იურევში, სადაც კლიიმი სცხოვრობს, სამხედრო წესები არ არის, გამოდის, რომ კლიიმს არავითარი სასჯელი არ მისცეს (ადს).

ნორვეგიის პროფკავშირების კონგრესი

მოსკოვი, 3 იანვარი. პროფინტერნის აღმასბიურომ მოისმინა მოხსენება ნორვეგიის პროფკავშირთა კონგრესის შესახებ, რომელიც შესდგა დეკემბერში ოსლოში (ნორვეგია). კონგრესის მთელი ყურადღება მიმართული იყო ნორვეგიის პროფკავშირების საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხებისადმი. კამათში ამ საკითხის შესახებ მონაწილეობა მიიღეს საკავშირო პროფსაბჭოს დელეგაციის წევრებმაც—ამხ. **ივრეინოვმა და გინზბურგმა.** კონგრესმა ხმის უმრავლესობით მიიღო რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ ყველა პროფორგანიზაციები, რომლებიც შედიან ამსტერდამის ინტერნაციონალში და პროფინტერნში, აგრეთვე ამ ინტერნაციონალების გარეშე მდგომი ორგანიზაციებიც უნდა გაერთიანდენ მთლიან მსოფლიო ორგანიზაციად. კონგრესი ავალებს ნორვეგიის პროფკავშირთა სამდივნოს დაამყაროს ორგანიზაციული ურთიერთობანი არა მარტო შვეციისა და ფინეთის პროფგაერთიანებებთან, არამედ საბჭოთა კავშირის და სხვა ქვეყნების პროფგაერთიანებებთანაც იმ მიზნით, რომ დადებულ იქნას ხელშეკრულება საურთიერთო დახმარების შესახებ. სამდივნოს დაევალა რაც შეიძლება მოკლე ვადაში მოიწვიოს ფინეთის და საბჭოთა კავშირის პროფორგანიზაციები კონფერენციაზე საურთიერთო ხელშეკრულებათა გამოსამუშავებლად და საერთაშორისო პროფმოძრაობის ფორმების დასასახავად. კონგრესმა მიიღო აგრეთვე საპროტესტო რეზოლუცია საბჭოთა კავშირზე თავდასხმის მზადების წინააღმდეგ (ადს).

შვეციის კომპარტიის ოქტომბრის კამპანია

სტოკჰოლმი, 2 იანვარი. შვეციის კომუნისტურმა პარტიამ ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავის შესრულებასთან დაკავშირებით წარმატებით ჩაატარა პარტიის ზრდის კამპანია. კამპანიის დროს ჩატარებულ იქნა 260 რევოლუციონური დღესასწაული, რომელსაც დაესწრო 35.000 მონაწილე. დღესასწაულების მოწყობაში კომუნისტური პარტიის გარდა მონაწილეობა მიიღო 20 პროფესიონალურმა ორგანიზაციამ. კამპანიის დროს **დაარსებულია 11 ახალი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია 500 ახალი წევრით.** და აგრეთვე რამოდენიმე ახალი სასოფლო და საწარმოო უჯრედი.

უნგრეთის სოც.-დემოკრატიულ პარტიის ყრილობა

ვენა, 2 იანვარი. 6 იანვარს ბუდაპეშტში გაიხსნება უნგრეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მე-25 ყრილობა. მოსალოდნელია, **რომ ყრილობაზე აქტიურად გამოვა პარტიის მემარცხენე ფრთა, რომელიც ოპოზიციონურად არის განწყობილი პარტიის ხელმძღვანელ წრისადმი.** განსაკუთრებით მწვავე ბრძოლა, როგორც ფიქრობენ, გაიმართება საკითხზე სოციალ-დემოკრატების თანამშრომლობის შესახებ ბეტლენის მთავრობასთან საგარეო პოლიტიკის დარგში და საკითხზე კომპრომისის შესახებ მთავრობასა და სოციალ-დემოკრატების შორის, რომლებმაც უარი სთქვეს ფართო პოლიტიკურ ამნისტიის მოთხოვნილებაზე ზოგიერთ თვალსაჩინო სოციალ-დემოკრატ ემიგრანტებისათვის სამშობლოში დაბრუნების ნებართვის მიცემის სამაგიეროდ და სხვ. (ადს).

ავსტრიის მარქსისტების საახალწლო პროგნოზი

ვენა, 2 იანვარი. ახალი წლის გამო ავსტრიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ თავის წევრებს მიმართა „მოწოდებით", რომელშიაც გამოთქმულია აზრი, რომ 1928 წელი პოლიტიკური მხრით აღინიშნება, როგორც შებრუნება მარცხნივ. მოწოდებაში აღნიშნულია [illegible] საოლქო პარლამენტის დამსახურება, მათ შორის საგარანტიო კრედიტი, რომელიც დაარსებულია საბჭოთა კავშირში საქონლის შეტანის ხელის შესაწყობად და ჩამოთვლილია აგრეთვე პარტიის უახლოესი ამოცანები.

ამინდი ინგლისში

ლონდონი, 2 იანვარი. ახალწლის წინა ღამეს ლონდონში და მის მიდამოებში მოვიდა დიდი თოვლი. შემდეგ დათბა და მოსალოდნელია წვიმები, რაც ქმნის წყალდიდობის საფრთხეს ბევრ ადგილებში, განსაკუთრებით ტემზის დაბლობში (ადს).

ლონდონი, 2 იანვარი. დიდი თოვლის მოსვლის შემდეგ დათბა, რამაც გამოიწვია მდინარეების ადიდება მთელს ინგლისში. ამის გამო ავტომობილების მოძრაობა გზატკეცილებზე შეუძლებელი გახდა (ადს).

წყალდიდობა ალჟირში

ლონდონი. 2 იანვარი. ალჟირიდან მიღებულ ცნობით. წყალდიდობამ ისევ დიდი ზარალი მიაყენა ორანის რაიონს.

აეროპლანები იღებენ წყალით დაფარულ რაიონების ფოტოგრაფიულ სურათებს. ზარალი უდრის 50 მილიონ ფრანკს. წყალმა დაიწყო კლება.

უედ გაბრა გადავიდა ნაპირებიდან და წაიღო 80 მეტრის სიგრძე რკინისგზის ხიდი, რომელზედაც გადიოდა ორან-ალჟირის რკინის გზის ხაზი (ადს.

ღამის ცნობები

პოლონეთში გაგზავნილ ტყვიისმფრქვეველების ნაწილები დაკავებულია

პარიზი, 3 იანვარი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„უნგრეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობით უნგრეთის საზღვარზე მოსული, ტყვიისმფრქვეველის ნაწილებით დატვირთული ვაგონები მიდიოდა ვარშავაში. უნგრეთის საბაჟომ გადასწყვიტა დააკავოს ვაგონები".

ჩან-კაი-შიმ განაიარაღა ბაი-ცზუნ-ჩი

ტოკიო, 3 იანვარი. ჩან-კაი-შიმ იარაღი აჰყარა შანხაიში მყოფ ბაი-ცზუნ-ჩის ჯარებს. შანხაიში გამოცხადებულია სამხედრო წესება. ამ ზომის საჭიროებას ასაბუთებენ „კომუნისტურ აჯანყების" საფრთხით (ადს).

საიდუმლო ტვირთი

ვენა, 2 იანვარი. ავსტრიის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„ავსტრო-უნგრეთის მოსაზღვრე სადგურ სან-გოტარდში ერთ-ერთ საქონლის მატარებელში საბაჟო დათვალიერების დროს აღმოჩენილ იქნა 691 ფუთი, რომლებიც შეიცავდა ტყვიისმფრქვეველების ნაწილებს, ზედნადებში გამოცხადებულ მანქანების ნაწილების მაგიერ. გაგზავნის სადგურად აღნიშნული იყო ვერონა, დანიშნულების სადგურად კი ნოვო მესტო ჩეხოსლოვაკიაში. ვინაიდან გამოირკვა, რომ საქონელი სწორე არ იყო ნაჩვენები და საბუთები იარაღის გადასაგზავნად დართული არ იყო, ტვირთი უნდა დაბრუნებულიყო ავსტრიის ტერიტორიაზე. მაგრამ უნგრელმა სადგურის უფროსმა უარი სთქვა დაეკმაყოფილებია ეს მოთხოვნილება, იმ მოსაზრებით, რომ ვინაიდან ტვირთი უნგრეთის ტერიტორიაზე იმყოფება, ავსტრიის საბაჟო ორგანოებს უკვე აღარა აქვთ მისი დაკავების უფლება" (ადს).

კომუნისტმა დეპუტატებმა უარი სთქვეს ხელისუფლების ორგანოებთან გამოცხადებაზე

პარიზი, 3 იანვარი. ვაიან-კუტიურიეს (ფრანგი კომუნისტი დეპუტატი), რომელსაც მისჯილი აქვს ციხეში დაპატიმრება, წინადადება მიეცა გამოცხადებულიყო 2 იანვარს სასამართლოს ბოქაულთან, რათა მოთავსებული ყოფილიყო საპყრობილეში. სანტეს ხელისუფლების საპასუხოდ კუტიურიემ გამოაქვეყნა „იუმანიტე"-ში წერილი, რომელშიაც აცხადებს, რომ კომპარტიის გადაწყვეტილების თანახმად ის და აგრეთვე კომუნისტი დეპუტატები დორიო, მარტი, დუკლო და კაშენი არ გამოცხადდებიან სასამართლოს ბოქაულთან.

დიპლომატიური კურიერის გარდაცვალება ტოკიოში

ტოკიო, 2 იანვარი. 2 დეკემბერს ტოკიოში გაზისაგან მოწამვლის გამო გარდაიცვალა საბჭოთა დიპლომატიური კურიერი პრონინი.

განაჩენი სახელმწიფო ბანკის განყოფილების თანამშრომელთა საქმეზე

მოსკოვი. 3 იანვარი. 3 იანვრის სასამართლო სხდომაზე საბ. კავშ. უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა განაჩენი სახელმწიფო ბანკის პურის განყოფილების თანამშრომელთა საქმეზე. სახელმწიფო ბანკის პურის განყოფილების ყოფილ კომერციულ დირექტორ პოლიაკოვს, ამავე განყოფილების რეალიზაციის ქვე-განყოფილების ყოფილ გამგე ტელეგინს, რაკოვშიკს და კერძო ვაჭარ პორეცკის მიესაჯა სოციალური თავდაცვის უმაღლესი ზომა—დახვრეტა ქონების კონფისკაციით. ამნისტიის ძალით უმაღლესი ზომა შეეცვალათ 10 წლით ციხით და უფლებების წართმევით 5 წლით. სასამართლომ დაადგინა იშუამდგომლოს ცაკის წინაშე, რომ პოლიაკოვის და ტელეგინის მიმართ ამნისტია არ იქნეს შეფარდებული. ექსპერტები და კომისიონერები ფერნი, [illegible], ლანდბერგი, მოგილევსკი და კელერი გამართლებული არიან. საქონლის ბირჟის მაკლერ ნემეროვსკის დაუდევრობისათვის მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით—პირობით და ამნისტიის ძალით განთავისუფლებულია.

კომისიონერ შტერნს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით, როზენს, რებრიკოვს, ერემეევს და კოხანსკის 2 წლით, ბაუმანს—3 წლით.

გრინბერგს, კრასოვსკის და ფელტერს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით და ამნისტიის ძალით განთავისუფლებული არიან სასჯელისაგან. სამოქალაქო სარჩელი უზენაესმა სასამართლომ განსახილველად გადასცა მოსკოვის საგუბერნიო სასამართლოს.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

დისციპლინარულ სასამართლოების გაუქმება

მოსკოვი. 3 იანვარი. სრ. რუსეთის ცაკის პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო, რომ ის საქმეები, რომლებსაც ამ ჟამად საბჭოთა რუსეთში დისციპლინარული სასამართლოები არჩევენ, გადაეცეს საერთო სამოსამართლო დაწესებულებებს; ამასთან დაკავშირებით გაუქმდეს დისციპლინარული სასამართლოები.

საბჭოთა რუსეთის სახკომსაბჭოს მიენდო, რომ შეიმუშაოს ამ დადგენილებიდან გამომდინარი სათანადო საკანონმდებლო აქტები.

შვიდი საათის სამუშაო დღე

ნოვგოროდი, 3 იანვარი. ხალტურინის სახელობის ხე-ტყის ქარხანაში შემოღებულია შვიდი საათის სამუშაო დღე. ნოვგოროდის მრეწველობაში ეს პირველი შემთხვევაა ახალ სამუშაო დღეზე გადასვლისა. (ადს).

პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო ახალი მუშების თეორეტიულად გამოცდის შესახებ

მოსკოვი, 3 იანვარი. პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს მიუღებლად მიაჩნია შრომის კომისარიატის ის განკარგულება, რომლის მიხედვითაც ახალი მუშები სამუშაოზე მიღების დროს პრაქტიკულ გამოცდასთან ერთად თეორეტიულადაც უნდა გამოიცადნენ; ასეთივე გამოცდა უნდა მოხდეს ძველი მუშების გადაყვანის დროს უმაღლესი კვალიფიკაციის სამუშაოზე; საკავშირო პროფსაბჭოს ასეთი გამოცდა უადგილოთ და უმიზნოთ მიაჩნია (ადს).

1922 წლის პირველი სესხი

ტულა, 3 იანვარი. საბჭოების სახლში მოხდა 1922 წლის პირველი სესხის საზეიმო გათამაშება (ადს).

სრულიად რუსეთის საბჭოთა მე-14 ყრილობა

მოსკოვი, 3 იანვარი. სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა 1928 წელს სრულიად რუსეთის საბჭოთა მე-14 ყრილობა არ იქნას მოწვეული, ვინაიდან ეს დადგენილება საბჭოთა რუსეთის კონსტიტუციის 22-რე მუხლს ეწინააღმდეგება, ამიტომ იგი დასადასტურებლად წარედგინება სრ. რუსეთის ცაკის მორიგ სესიას (ადს).

ამხ. ტოლმაჩევი—საბჭოთა რუსეთის შინაგან საქმეთა კომისარი

მოსკოვი, 3 იანვარი. სრ. რუსეთის ცაკის პრეზიდიუმმა ამხ. ვ. ნ. ტოლმაჩევი დანიშნა საბჭოთა რუსეთის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად. დადგენილება დასადასტურებლად წარედგინება სრ. რუსეთის ცაკის მორიგ სესიას.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეობის აღმსრულებელი ამხ. ეგოროვი დანიშნულია შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ.

ამხ. ტოლმაჩევი—კომპარტიის წევრი 1904 წლიდან—მოსამსახურეა. შინაგან საქმეთა სახ. კომისრად დანიშვნამდე ის ჩრდილოეთ-კავკასიის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე იყო (ადს).

პარტიიდან გამორიცხულთა გამოწვევა საბჭოთა კავშირის ცაკიდან

მოსკოვი, 3 იანვარი. 30 დეკემბერს საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა მოისმინა ცაკის პრეზიდიუმის კომუნისტური ფრაქციის განცხადება იმის შესახებ, რომ ცაკის წევრთა და კანდიდატთა შემადგენლობიდან გამოწვეულ იქნან: ბელობოროდოვი, ზინოვიევი, იშჩენკო, კამენევი, რაკოვსკი, ი. ნ. სმირნოვი, ტროცკი და კასპაროვი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა ზემოთ ჩამოთვლილი პირნი გამორიცხოს საბჭოთა კავშირის ცაკის წევრთა და კანდიდატთა შემადგენლობიდან.

დაღუპულ დიპლომატების ოჯახების უზრუნველყოფა

მოსკოვი, 3 იანვარი. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატმა აღძრა შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ უზრუნველყოფილ იქნენ კანტონში მხეცურად მოკლულ საბჭოთა დიპლომატების ოჯახები. ხასისის ოჯახი შესდგება ცოლისა და ბავშვისაგან, პოპოვის ოჯახიც აგრეთვე ცოლისა და ბავშვისაგან, ივანოვის ოჯახი ცოლისაგან და მშობლებისაგან, რომლებიც მოსკოვში სცხოვრობენ. ივანოვის მამა მუშაობს გოსმეტრის ქარხანაში. უკოლოვს დარჩა ცოლი (ადს).

პოლონელი კომუნისტები საბჭოთა კავშირში

კოლოსოვი, 3 იანვარი. დილა ადრიან პოლონეთ-საბჭოთა საზღვრისაკენ მინსკიდან გავიდა სპეციალური მატარებელი, რომელსაც, პოლონელ პოლიტპატიმართა შესახვედრად, გაჰყვნენ პარტორგანიზაციების, პროფესიონალურ ორგანიზაციების, რემედასის და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენლები. ამავე მატარებელშია—29 პატიმარი პოლონელი, რომლებიც საბჭოთა კავშირმა უნდა გადასცეს პოლონეთს. სრულ 12 საათზე მატარებელი მივიდა სადგურ კოლოსოვოში, ამ დროზევე საზღვარს მოუახლოვდა პოლონეთის სპეციალური მატარებელი. საბჭოთა მატარებლიდან უკვე გადმოყვანილია გადასაცვლელად დანიშნული 29 კაცი. პოლონელი კომუნისტები კი ჯერ კიდევ არ არიან გადმოსული მატარებლიდან, რადგან პოლონელი პატიმართა შესამოწმებლად, პოლონეთის წარმომადგენლები წინასწარ უნდა გადმოვიდნენ საზღვარზე. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი ამხ. კოზიურა მიემართება პოლონეთის მატარებლისაკენ.

საბჭოთა ტერიტორიიდან პოლონეთის მიმართულებით მიდის 29 კაცისაგან შემდგარი ჯგუფი, ამასთან ერთად პოლონეთის ტერიტორიიდანაც საბჭოთა ტერიტორიისაკენ ნელ-ნელა მოემართებიან ჟანდარმებით გარშემორტყმული პოლონელი კომუნისტები. გამოსცილდნენ თუ არა თეთრარწივიან ბოძების შუა ხაზს, ორკესტრმა დაუკრა ინტერნაციონალი და რამოდენიმე ასეულ მკერდიდან ამოხდა ძლიერი „ურა". საზღვარზე გადმოსულთ ეგებებიან, ეხვევიან, მაგრამ სიტყვის თქმას ვეღარ ახერხებენ. სულ საბჭოთა ტერიტორიაზე გადმოვიდა 9 პოლონელი კომუნისტი: ფრანც გეცელჩაკი, ფრანც მერტონსკი, იაკოვ ჩერნოვი, გუსტავ რეივერტი, ოლშევსკი, როტერი, ილინიჩი; სოკოლსკაია, კოლპინსკი. სანაპირო ბოძებთან გაიმართა [illegible] მიტინგი. მისალმებებით გამოდიოდნენ ბელორუსიის რემედასის ცეკას, კომპარტიის ცეკას, პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს, წითელ სანაპირო რაზმების და სხვა. წარმომადგენლები. მისალმებით მოკოტოვსკის ციხის პატიმართა სახელით გამოვიდა პოლონელი კომუნისტი დეცელჩაკი. შემდეგ ოლშევსკი გამოვიდა პოლ. ციხეში დამწყვდეულ 2500 პატიმარ ბელორუს მუშა-გლეხის სახელით. მიტინგის დასრულების შემდეგ პოლონელი ამხანაგები გაემართენ სანაპირო რაზმთან ყაზარმებში, სადაც ისინი გაეცნენ წითელ არმიელთა ყოფა-ცხოვრებას. სამ საათზე საბჭოთა მატარებელი დაიძრა სადგურ ნეგორელოესაკენ.

პარტიული ცხოვრება

ოპოზიციის რიგები იშლება

სამარყანდი, 2 იანვარი. უზბეკისტანის ოპოზიციონერთა რიგები იშლება. ყოფ. ოპოზიციონერთა 50 პროც. მეტმა ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში შეიტანეს განცხადებები, რომელშიაც იმიჯნებიან ოპოზიციისაგან, სავსებით უერთდებიან მე-15 პარტყრილობის გადაწყვეტილებებს, პირობას სდებენ გაატარონ პარტიის ყველა გადაწყვეტილებანი და შესწყვიტონ ყოველგვარი ფრაქციული მუშაობა (ადს).

თელავი, 2 იანვარი. თელავის სამაზრკომში შემოვიდა შემდეგ ყოფილ ოპოზიციონერთა განცხადებები ოპოზიციიდან გასვლის შესახებ: **სიმონ მამულაიშვილი,** კომპარტიის წევრი 1918 წლიდან; **გიორგი ყურაშიძე,** პარტიის წევრი 1919 წლიდან და **ვასილ ესიტაშვილი,** პარტიის წევრი 1920 წლიდან.

თავის განცხადებაში ისინი სწერენ: „ოპოზიციის მუშაობა არღვევდა პარტიის მთლიანობას და მიემართებოდა ანტი-ლენინური გზისკენ. პირობას ვდებთ, რომ მტკიცეთ გავატარებთ ცხოვრებაში მე-15 პარტყრილობის ყველა დადგენილებებს".

ზაქარია ჯაბაშვილი, პარტიის წევრი 1921 წლიდან, გამორიცხულია პარტიიდან, როგორც გაუსწორებელი ფრაქციონერი (ადს).

ემხრობიან მე-15 პარტყრილ. გადაწყვეტილებებს

კიევი, 2 იანვარი. კომპარტიის კიევის ორგანიზაციის აქტივმა გამოიტანა რეზოლუცია, რომელშიაც სავსებით უერთდება ყრილობის ყველა გადაწყვეტილებებს (ადს).

ოდესა, 2 იანვარი. პარტიის საოლქო კომიტეტისა და საოლქო საკონტროლო კომისიის გაერთიანებულმა პლენუმმა, ქალაქის პარტაქტივთან ერთად 1.000 კაცის მონაწილეობით ერთხმად მოიწონა ყრილობის ყველა გადაწყვეტილებანი (ადს).

კომკავშირში

მორიგი ამოცანების წინაშე

საქ. ა. ლ. კ. კ. ორგანიზაციათა კონფერენციის გახსნა

უკვე დაიწყო საქ ლ. კ. კ. ორგანიზაციების, კერძოთ თბილისის ორგანიზაციების კონფერენციები.

უკანასკნელ კონფერენციების შემდეგ განვლო ერთმა წელმა, რომელიც მეტად ნაყოფიერი იყო კომკავშირელთა ორგანიზაციების შემოქმედებით — პრაქტიკულ მოღვაწეობით. მაგრამ ამ ერთი წლის განმავლობაში ორგანიზაციებს დასჭირდა აგრეთვე მეტად მძიმე ლენინური გამოცდის ჩაბარება პარტიისათვის ყოველგვარ ანტი-პარტიულ და ანტი-ლენინურ განწყობილებებთან და გადახრებთან ბრძოლაში.

რა ამოცანები იდგა კომკავშირელთა ორგანიზაციების, კერძოთ კომკავშირელთა საქალაქო ორგანიზაციების წინაშე უკანასკნელი ყრილობების და კონფერენციების შემდეგ და რა აქტიური ბალანსით გამოვდივართ ჩვენ დღევანდელ კონფერენციებზე?

კომკავშირის ძირითადი ამოცანები ჩამოყალიბებული იქნა ჩვენი პარტიის მე-14 ყრილობის მიერ, შემდეგ ეს ამოცანები გაფართოებული და გაღრმავებული იქნა საქ. ა. ლ. კ. კ. მე-7 საკავშირო ყრილობის მიერ და კონკრეტიულად შემდეგში გამოიხატება:

1. ორგანიზაციის სწრაფი ზრდის ნიადაგზე, ახალგაზრდობის ახალი ათასიათასი კადრის შესვლის გამო ორგანიზაციაში, დაირღვა კავშირი ორგანიზაციის მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს შორის და აგრეთვე ხელმძღვანელობასა და მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის ფართე ფენების მოთხოვნილებას შორის.

2. მიუხედავათ იმისა, რომ ორგანიზაცია თავის მიზნებით და ამოცანებით წარმოადგენს პროლეტარულ ორგანიზაციას, კომკავშირის სოციალური შემადგენლობა არ არის ერთფეროვანი. მუშათა ახალგაზრდობის გარდა კომკავშირში შედის გლეხთა ახალგაზრდობის ფართე მასა, ამიტომ თვითეული აღნიშნული ჯგუფი მოითხოვს ერთგვარ თავისებურ მიდგომას, როგორც ხელმძღვანელობის, ისე პრაქტიკულ ამოცანების განხორციელების დროს.

3. ყველა ზემოთქმულიდან უკვე გამომდინარეობს ის ამოცანა, რათა ყოველმხრივათ შესწავლილი იქნეს მშრომელ ახალგაზრდობის ჯანსაღი მოთხოვნილებები და გამონახული იქნეს მუშაობის ისეთი ფორმები და მეთოდები, რომლებიც ერთის მხრით მაქსიმალურად ხელს შეუწყობენ ახალგაზრდობის ჯანსაღ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, მეორე მხრივ კი ორგანიზაციის მთელ პრაქტიკულ მოქმედებას წაიყვანს მუშათა კლასის ჩვენი პარტიის მიერ დასახულ ხაზით.

4. დასასრულ კომკავშირში ყოველმხრივ უნდა გაძლიერდეს აღმზრდელობითი მუშაობა და ეს მუშაობა მიზნათ უნდა ისახავდეს კომკავშირის ლენინურ, იდეოლოგიური გამოწრთობას და მის კულტურულ და პოლიტიკურ განვითარებას. აღნიშნული ამოცანების განხორციელება კი წარმოუდგენელია შინა—კომკავშირულ დემოკრატიის ფართე განვითარების გარეშე, კომკავშირის აქტივის მიერ ამ ამოცანების გაგების და შეთვისების გარეშე.

ყველაფერი ზემოთქმულის სწორი განხორციელება ემყარებოდა პარტიის ლოზუნგის განხორციელება კომკავშირის მუშაობის გაცხოველების შესახებ.

რას მივაღწიეთ ჩვენ? რა ბალანსით შეგვიძლია წარვსდგეთ დღეს კონფერენციის წინაშე?

დღეს არავის, ვინც რამოდენიმეთ მაინც იცნობს კომკავშირის მუშაობას, არ შეუძლია არ აღნიშნოს ის მნიშვნელოვანი გარდატეხა, რომელსაც აქვს ადგილი ჩვენი ორგანიზაციის მუშაობის პრაქტიკაში.

უპირველესად ყოვლისა ორგანიზაციამ ისე გარდაქმნა უჯრედების მუშაობა და დააყენა ის ახალ რელსებზე, რომ დღეს იშვიათია კომკავშირელის განცხადება იმის შესახებ, რომ უჯრედის მუშაობა დაუკმაყოფილებელია თავისი შინაარსით. უწინ კი ასეთი განცხადებანი შემოქონდა ყოველ კომკავშირელს.

კომკავშირის მუშაობა შინაარსიანი გახდა; ეს მუშაობა უკვე ეხება მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის ფართე ფენების მოთხოვნილებებს და, რაც უმთავრესია, ის სწორობს პარტიის გენერალური ხაზის, სოციალიზმის მშენებლობის ხაზის თანახმად ახალგაზრდობა უკვე იხილავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა საკითხი მრეწველობის რაციონალიზაციის, შრომის ინტენსიფიკაციის და ბიუროკრატიულ დამახინჯებასთან ბრძოლის შესახებ სასოფლო მეურნეობის განვითარების და მეურნეობის კოოპერატიულ ნიადაგზე აშენების შესახებ და მშრომელ ახალგაზრდობის შრომის და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების შესახებ. ეს მეტად მნიშვნელოვან საკითხებს არა თუ მარტო იხილავენ, არამედ მნიშვნელოვან მიღწევებსაც აქვს ადგილი ამ დარგში.

ასეთ კოლოსალურ მნიშვნელობის საკითხებს იხილავდენ და დღესაც იხილავენ ათეული ათასი ახალგაზრდები. და ამას ჩვენებურად ეწოდება შინა-კომკავშირული დემოკრატიის ფართე განვითარება.

მეტად დიდი მუშაობაა ჩატარებული აგრეთვე აღზრდის საქმეში. ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა ამას წინად დასრულებული დისკუსია, რომლის დროს ადგილი არ ჰქონდა ოდნავ რყევასაც და პროლეტარული რევოლუციონური ხაზის დამახინჯებას.

ჩვენ გამოვხატავთ მრავალ ათას და ათეულ ათას მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის ნებისყოფას, ჩვენ აქტიურ მონაწილეობას ვღებულობთ სოციალისტურ მშენებლობაში და ვეხმარებით პარტიას ამ საქმეში, ჩვენ ლენინურად ვზრდით ჩვენს ახალგაზრდობას და იდეურად და ორგანიზაციულად მთლიანი ორგანიზაცია მოგვყავს დღევანდელ კონფერენციაზე — ასეთია ჩვენი ბალანსი.

მორიგ ამოცანას წარმოადგენს უკვე მიღებულ გამოცდილების განმტკიცება, მისი განვითარება და გაღრმავება, ოფიციალური ოპტიმიზმის და ნაკლულოვანებათა დაფარვის ცდის აღმოფხვრა და შინა-კომკავშირული დემოკრატიის მეტი განვითარება. კონკრეტიულად არ ვეხებით საკავშირო მუშაობის ცალკე დარგებს, მაგრამ საჭიროთ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ დღევანდელი კონფერენციების მუშაობა უნდა ჩატარდეს მაქსიმალური თვითკრიტიკის ნიშნის ქვეშ. ნაკლულოვანებებს კომკავშირმა სათანადო ზომები უნდა გამოუნახოს, ამისათვის კი საჭიროა ამ ნაკლულოვანებების გამომჟღავნება.

რაც არ უნდა სთქვან ცილისმწამებლებმა და ვინც არ უნდა იყოს ისინი, კომკავშირი გიგანტური ნაბიჯებით მიდის წინ და ასეთი ვე ნაბიჯით ივლის მომავალშიაც, ვინაიდან კომკავშირი წარმოადგენს რევოლუციონურ პროლეტარიატის ორგანიზაციას.

გ. ჯავახიძე.

ს. ა. ლ. კ. კ. ლენრაიონის მე-11 კონფერენცია

კონფერენციის გახსნა

გუშინ პლეხანოვის სახელობის კლუბში გაიხსნა ს. ა. ლ. კ. კ. ლენრაიონის მე-11 კონფერენცია. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) მე-15 პარტყრილობის შედეგები, 2) ს. ა. ლ. კ. კ. ა.-კ. საოლქო კომიტეტის მოხსენება, 3) ლენრაიკომის ანგარიში და პიონერთა ბიუროს თანამოხსენება, 4) სარევიზიო კომისიის ანგარიში, 5) რკინის გზის უბკავშირის ანგარიში, 6) რაიკომის არჩევნები და დელეგატების არჩევა თბილისის საქალაქო კონფერენციაზე.

სხდომის გახსნამდე კონფერენციამ ფეხზე ადგომით პატივი სცა გარდაცვლილ კომუნართა ხსოვნას. კონფერენცია გახსნა ს. ა. ლ. კ. კ. ლენრაიკომის პასუხისმგებელ მდივანმა ამხ. პერუშინმა. მისი მოკლე შესავალი სიტყვის შემდეგ კონფერენციის მიერ არჩეულ იქნა საქმიანი პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: ამხ. პერუშინი, ფანცულაია, გუდავაძე, გობეჩია, სილაძე ყორა, ჭოხონელიძე, მგელაძე, გურგენიძე, გიორგობიანი, ტატანაშვილი, კუჭიაშვილი, დანიელევიჩი, ელიზბარაშვილი, ხურმავა და სხვები. სამანდატო კომისიისა და სამდივნოს არჩევის შემდეგ კონფერენცია ირჩევს საპატიო პრეზიდიუმს შემდეგი შემადგენლობით: **სტალინი, ბუხარინი, ვოროშილოვი, რიკოვი, მოლოტოვი, რუძუტაკი, ტომსკი, ორჯონიკიძე, მამია ორახელაშვილი, მიხა კახიანი, ანდრეევი და ჩაპლინი.** კონფერენციის ხელმძღვანელ ორგანოების არჩევნების შემდეგ მისასალმებელი სიტყვებით გამოდიან მთავარ სახელოსნოებიდან ამხ. კობულაშვილი, საყუდის უჯრედიდან ამხ. სიდოროვი, ამიერ-კავკასიის საქვეითო სამხედრო სკოლიდან ამხ. იზმაილოვი, ს. კ. პ. (ბ) ლენრაიკომიდან ამხ. გუდავაძე, ს. ა. ლ. კ. კ. ცეკადან ამხ. გობეჩია, თბილისის კომიტეტიდან ამხ. ხილაძე, რკინის გზების პროფკავშირიდან პროფგანათლების განყოფილებიდან და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. მისასალმებელი სიტყვების დამთავრების შემდეგ საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. პერუშინმა.

კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს, ცეკას და თბილისის კომიტეტს. რის შემდეგაც კრება დაიხურა.

დღეს საღამოს შესდგება კონფერენციის მეორე სხდომა.

შ. დ.

კანტონის აჯანყების ისტორიული მნიშვნელობა

კანტონში მომხდარ ამბების შესახებ ჩვენამდე მოსულ ყველა ცნობების პირვანდელ წყაროს ჯერ-ჯერობით მხოლოდ საერთაშორისო ბურჟუაზიული გაზეთების კორესპონდენტებისა და იმპერიალისტური დეპეშათა სააგენტოების—რეიტერისა და ტოხოს ცნობები წარმოადგენენ. ეს ცნობები „მზადდება" ინგლისის იმპერიალიზმის წყნარი ოკეანეს ციხე-სიმაგრეში—გონკონგში. ასეთ მოწამლულ ცილისწამებათა გამავრცელებელ წყაროდან გამოსულ ინფორმაციის სისწორესა და კეთილსინდისიერებაზე დამყარება, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. ჩვენ ჯერ კიდევ სრულიად არ ვიცით მთელი სიმართლე კანტონის აჯანყების შესახებ. მაგრამ როგორი დიადი უნდა იყოს ეს სიმართლე თუ ეხლაც კი სიყალბითა და ინსინუაციით სავსე ბურჟუაზიული პრესის მიხედვით, კანტონის მუშათა აჯანყება ასეთი გმირული და გრანდიოზული სახით გამოიყურება!

კანტონის აჯანყება წარმოადგენს ჩინეთის მუშების პირველ დიდ დამოუკიდებელ გამოსვლას პოლიტიკური ძალა-უფლებისათვის ბრძოლაში. კანტონის მუშები იბრძოდენ არა „ნაციონალურ" ბურჟუაზიასთან გაერთიანებულნი, არამედ გლეხებსა და ქალაქის ღარიბ ფენებთან ერთად **ბურჟუაზიულ-მემამულეთა რეაქციის წინააღმდეგ.** ამ ბრძოლაში ჩინეთის პროლეტარიატი გამოდის უკვე ჩინეთის ყველა დაჩაგრულ კლასების **ბელადისა და ხელმძღვანელის როლში.** კანტონის აჯანყება ხდება უკვე არა გომინდანის დროშის ქვეშ, არამედ გომინდანის წინააღმდეგ და **საბჭოების დროშის ქვეშ.** ჩინეთის პროლეტარიატის პოლიტიკური პოზიციები დეკემბერში გაცილებით უფრო მტკიცეა, თვითონ ის გაცილებით უფრო მომწიფებულია რევოლუციონური მხრით, ვიდრე ამა წლის მარტში იყო. ამას მოწმობს კანტონის აჯანყების გიგანტური გაქანება. და თუ კანტონის მუშებმა ვერ შესძლეს რევოლუციონური გადატრიალების განმტკიცება, თუ საბჭოების რევოლუციონური ხელისუფლება კანტონში უფრო ცოტა ხანს არსებობდა, ვიდრე თავის დროზე რევოლუციონური გომინდანის ხელისუფლება შანხაიში,—ამის მიზეზები უნდა ვეძიოთ ჩინეთის მუშათა კლასის **არა პოლიტიკურ, არამედ სამხედრო-ტექნიკურ სისუსტეში.** არა იმაში, რომ მას საიმედო კავშირი არ ჰქონდა გლეხობასთან და ქალაქის მოსახლეობის ღარიბ ნაწილთან, არამედ იმაში, რომ ბურჟუაზიულ-მილიტარისტული რეაქცია თავს დაესხა თავისი უპირატესი სამხედრო ძალით აჯანყებულ კანტონს უფრო ადრე, ვიდრე გლეხობა მოასწრებდა დარაზმვას აჯანყების მოწოდებაზე. დეკემბრის აჯანყება კანტონში თავისი ისტორიული მნიშვნელობით იმდენად წინ უსწრებს შანხაის მუშების მარტის გამოსვლას, რამდენადაც ამ ხნის განმავლობაში წინ წავიდა თავის რევოლუციონურ განვითარებაში ჩინეთის პროლეტარიატი.

კანტონის აჯანყების შედარება ივლისის აჯანყებასთან ვენაში უსათუოდ მოითხოვს მეტ სიფრთხილეს. ვინაიდან დიდი განსხვავება (ცენტრალურ ევროპასა და ჩინეთში არსებულ პირობებს შორის. მაგრამ მაინც ამ შედარების აზრი თავისთავად იბადება ავსტრიისა და ჩინეთის მუშათა მოძრაობის განვითარების სწორედ სულ სხვადასხვა ხასიათისა და პირობების გამო, მით უფრო, რომ მარქსიზმი გვავალებს ორივე ეს მოვლენა განვიხილოთ როგორც საერთაშორისო რევოლუციის მთლიანი პროცესის ნაწილები. ვენის აჯანყებამ გამოაშკარავა კაპიტალისტური სტაბილიზაციის მთელი სიდამპლე და უიმედობა ევროპაში, ამაშია მისი უდიდესი ისტორიული და საერთაშორისო მნიშვნელობა. მაგრამ ამ თვალსაზრისით არანაკლები მნიშვნელობა აქვს კანტონის აჯანყებასაც მან ზარბაზნებისა და ტყვიისფრქვევილების ქუხილით ამცნო მთელ ქვეყანას სიმართლე **ჩინეთის რევოლუციის გაუნადგურებელი ძალის** შესახებ. კანტონის აჯანყება ხომ ჩინეთის რევოლუციის სამჯერ დამარცხების (შანხაიში, უხანში და სვატოუსთან) შემდეგ მოხდა. რევოლუციონური გადატრიალება ხომ გუანდუნის პროვინციის დედა-ქალაქში მოხდა, სადაც ამ უკანასკნელი 8 თვის განმავლობაში სასტიკად უსწორდებიან მუშათა კლასსა და გლეხობას. ჩინეთის მუშებისა და გლეხების რევოლუციონური მოძრაობის გიგანტურ ძალაშია სწორედ ჩამარხული უდიდესი საფრთხე მსოფლიო და პირველ რიგში ბრიტანეთის იმპერიალიზმისათვის. თუ გომინდანი რევოლუციონურ კანტონსაც კი თავის დროზე შეეძლო მიეყენებია ინგლისის იმპერიალიზმისათვის ისეთი ზიანი, რომელმაც ძლიერად შეარყია მისი ძლევამოსილება აღმოსავლეთში,—მუშურ-გლეხური რევოლუციის გაძლიერება სამხრეთ ჩინეთში მით უფრო დიდ საფრთხეს უმზადებს ინგლისისა და სხვა იმპერიალისტურ ქვეყნების კოლონიალურ ბატონობას. ეს გარემოება აძლევს სწორედ უდიდეს საერთაშორისო მნიშვნელობას კანტონის ამბებს.

თუ შევადარებთ იმ **მუშათა აჯანყების ტიპს,** რომელიც მოხდა ამა წლის ივლისში ვენაში და დეკემბერში კანტონში, მაშინ იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ კანტონის აჯანყება ეკუთვნის **რევოლუციონურ კლასობრივი ბრძოლის უფრო მაღალ ფორმას,** ვიდრე ვენის პროლეტარიატის გამოსვლა. აჯანყება ვენაში იყო სტიქიური, მუშათა კლასის მასებში დაგროვილ აღშფოთების დაურაზმავი აფეთქება, ის არავის მიერ არ ყოფილა დანიშნული და მომზადებული, მას არ ქონია დასახული შეგნებულად ბურჟუაზიის ხელისუფლების დამხობისა და პროლეტარული დიქტატურის დამყარების ამოცანა; ის არ მომწიფებულა საბჭოების ლოზუნგებამდე, ის იყო გიგანტური აფეთქება, რომელიც რამოდენიმე დღის განმავლობაში სწრაფად ჩაქრა. კომუნისტები თავგანწირვით იბრძოდნენ ვენის ქუჩებზე პირველ რიგებში, მაგრამ ისინი კი არ წარმართავდნენ სტიქიას, არამედ რევოლუციონურ სტიქიას მიჰყავდა ისინი სულ სხვანაირად იყო საქმე კანტონში. კანტონის აჯანყება **იყო მომზადებული** (პოლიტიკურად, ორგანიზაციულად და ტექნიკურად) და ის ჩაატარა ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ. ის აჯანყება შეგნებულად ისახავდა მიზნად ბურჟუაზიისა და მემამულეთა რეაქციის დამხობას და მუშურ-გლეხური ხელისუფლების დამყარებას. ის დაიწყო საბჭოების დროშის ქვეშ. ის ემყარებოდა მუშურ-გლეხური მასების რევოლუციონური მოძრაობის სტიქიურ აზვირთებას, მაგრამ ამავე დროს ის **იყო მოწყობილი. სტიქიური და შეგნებული** ელემენტების შეზავება—აი, რატომ უნდა მივაკუთვნოთ კანტონის აჯანყება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის უმაღლეს ფორმებს. და, ბოლოს, კანტონის აჯანყება მით განსხვავდება ვენის აჯანყებისაგან რომ ის წარმოადგენს არა მალე წარმავალ აფეთქებას, არამედ ჩინეთის ხალხის რევოლუციონური ბრძოლის **ახალი აზვირთების** დასაწყისს. უკანასკნელ დებულებას ადვილად შეუძლია გამოიწვიოს ეჭვი იმათში, ვინც ვერ არჩევს ჩინეთის რევოლუციის **განმასხვავებელ თავისებურ მხარეებს,** ვინც ანგარიშს **არ უწევს მის თავისებურებას.** და მართლადაც, თუ კანტონის ამბებს შაბლონური საზომით მიუდგებით, მაშინ უნდა გამოვიყვანოთ დასკვნა, რომ რევოლუციონური კანტონის დამარცხების შემდეგ უნდა დადგეს ხანგრძლივი დეპრესია ჩინეთის მუშათა და გლეხთა მოძრაობაში, როგორც ამას მუდამ ჰქონდა ადგილი რევოლუციის დიდი დამარცხების შემდეგ ყველა ქვეყნებში. **მაგრამ ამ თვალსაზრისით შეუძლებელია** თვით კანტონის აჯანყების ფაქტის ახსნა... ან და ეს აჯანყება უნდა ვაღიაროთ **შეთქმულებად** და **ავანტიურად.** კანტონის აჯანყება ხომ იფეთქა თითქმის მაშინვე ჩინეთის რევოლუციის დიდი დამარცხების შემდეგ. მართალია, თეთრი ტერორის ველური ორგია, რომელიც ამჟამად კანტონში მძვინვარებს, თავისი ფარგლებითა და სისასტიკით აჭარბებს ყოველივე იმას, რაც წინად განიცადა ჩინეთის მუშურ-გლეხურმა მოძრაობამ. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩან-კაი-შისა და გომინდანის ზედა ფენების ღალატის შემდეგ უხანში, რევოლუციონურ მასებთან გასწორება „სახუმრო" არ ყოფილა. თუ როგორ უსწორდებოდენ უხანში მაშინ რევოლუციონერებს, ამის შესახებ ერთგვარ წარმოდგენას გვაძლევენ რეიტერის ცნობები, რომელთა მიხედვით 5 თვის განმავლობაში (აპრილიდან აგვისტომდე) სულ **ხუთ პროვინციაში** (მათ შორის გუანდუნშიაც) მოკლულ მუშებისა და გლეხების რაოდენობა 29.000 აღწევს. კონტრ-რევოლუციონური გადატრიალება შანხაისა და უხანში, ხო-ლუნისა და იე-ტინის არმიის განადგურება მთელ რიგ გლეხურ აჯანყებათა დამარცხება,—ყოველივე ეს არა ერთხელ აძლევდა საბაბს საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიასა და მოწუწუნე ტროცკისტული ოპოზიციიდან ჩინეთის რევოლუცია გამოეცხადებინათ დამთავრებულად (ოტო ბაუერის „მე 49 წელი"), ან დიდი ხნით შეწყვეტილად. როგორ არ უნდა ჩათვალონ შეთქმულება კანტონის აჯანყება სოციალ-დემოკრატებმა ან იმ ადამიანებმა, რომელთა შეხედულებითაც ჩინეთის კომპარტია „თავისუფლად მოთავსდება ვან ტინ-ვეის უბეში"? მაგრამ სწორი შეხედულების მატარებელ კომუნისტებშიაც მოიძებნება ისეთი ამხანაგები, რომელთაც გამოჰყავთ დასკვნა, რომ „არ უნდა აგვეღო ხელში იარაღი". გამარჯვებულთ არ ასამართლებენ, მაგრამ აჯანყება რომელიც ასე სასტიკად დამარცხდა, ძალაუნებურად აიძულებს ბევრს დაასვას კითხვა: იყო თუ არა მიზანშეწონილი კანტონის აჯანყება **ამ მომენტში.** ნაადრევი ხომ არ იყო ის, უფრო სწორი არ იქნებოდა, რომ კომუნისტები შედგომოდენ მზადებასა და ძალების დაგროვებას უფრო სერიოზული გამოსვლისათვის? ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია სავსებით გარკვეული პასუხი გავსცეთ ამ კითხვებზე. ეს აუცილებელია კიდევ იმიტომ, რომ პასუხმა ამ კითხვებზე უნდა გამოარკვიოს ამავე დროს სხვა, უფრო მნიშვნელოვანი პრობლემები: რომელ საფეხურზე იმყოფება ამჟამად რევოლუცია—და როგორი უნდა იყოს ჩინელი კომუნისტების ტაქტიკა?

რატომ შეიძლება კანტონის აჯანყება ჩავთვალოთ შეთქმულებად? ნუ თუ იმიტომ, რომ რევოლუციონური გადატრიალება ვერ მოხდა, რომ აჯანყებული მუშა-კომუნისტები მეორე დღესვე გაანადგურეს. მაგრამ თუ მხოლოდ ამ ნიშნის მიხედვით ვიმსჯელებთ, მაშინ შეთქმულებად და ავანტიურად შეიძლება ჩავთვალოთ ყველა აჯანყებანი, რომელნიც გამარჯვებით ვერ დამთავრდა, ასეთი აჯანყებათა რიცხვი კი მრავალია საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლუციონური ბრძოლის ისტორიაში. 1905 წლის შეიარაღებული აჯანყება მოსკოვში გაგრძელდება სულ რამოდენიმე დღე და შემდეგ ჩაქრობილ იქნა. იგივე შეიძლება ითქვას ჰამბურგის აჯანყებაზე 1923 წელში. მაგრამ ბოლშევიზმს არასოდეს არ დაუგმია მოსკოვისა და ჰამბურგის აჯანყება, არასოდეს არ გამოუცხადებია ისინი შეთქმულებად. პირიქით, ბოლშევიზმი ორივე ამ აჯანყებას ყოველთვის სთვლიდა **პროლეტარიატის რევოლუციონური ტაქტიკის სამაგალითო ნიმუშად.** აქედან რომ მხოლოდ აჯანყების დამარცხების ფაქტის მიხედვით, როგორი დიდიც არ უნდა იყოს ეს დამარცხება, არ შეიძლება დავასკვნათ, რომ თვით ეს აჯანყება ავანტიურისტულ ხასიათს ატარებდა.

არსებობდა თუ არა **ობიექტიური** წინასწარი პირობები შეიარაღებული აჯანყებისათვის კანტონში? ამ კითხვაზე აუცილებელია გადაჭრით დადებითად უპასუხოთ. საერთო მდგომარეობა ჩინეთში განსაკუთრებით მძაფრ, **უშუალო-რევოლუციონურ ხასიათს ატარებს.** ამის უარყოფა არავის არ შეუძლია. საერთო კრიზისმა ჩინეთში (ეკონომიურმა, პოლიტიკურმა, სამხედრომ, კრიზისმა ამ ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობაში) **გამწვავების უკიდურეს საზღვარს მიაღწია.** როგორ განსაზღვრავდა ლენინი რევოლუციონურ სიტუაციას? ყველასათვის ცნობილია ის ნიშნები, რომლებსაც ლენინი სთვლიდა ობიექტიურ რევოლუციონური მდგომარეობის აუცილებელ თვისებად: „1) როცა გაბატონებული კლასებისათვის შეუძლებელია თავისი ბატონობის უცვლელი სახით შენარჩუნება; „ზედაფენების" ესა თუ ის კრიზისი, გაბატონებული კლასის პოლიტიკის კრიზისი, რომელიც ჰქმნის ნაპრალს საიდანაც ამოხეთქავს ხოლმე ჩაგრული კლასების უკმაყოფილება და აღშფოთება; რევოლუციის შეტევისათვის ჩვეულებრივ საკმაო არ არის, რომ „ქვედაფენებს არ სურდეთ", ამას გარდა საჭიროა კიდევ, რომ „ზედაფენებს აღარ შეეძლოთ" (ცხოვრება ძველებურად". ისტორიას არ ახსოვს ამ სიტყვების ისეთი ნათელი დასაბუთება, როგორიც არის ჩინეთის თანამედროვე მდგომარეობა. ძველი ჩინეთის დესპოტიის, აზიურ-ფეოდალური სახელმწიფო წყობილების ნანგრევებზე კალეიდისკოპიური სისწრაფით წარმოშვენ და იღუპებიან ახალი ადგილობრივი „ხელისუფლებანი", რომელნიც ებრძვიან ერთმანეთს, ნთქავენ ერთი მეორეს. ბურჟუაზიულ-მილიტარისტულმა რეაქციამ ჩინეთის სამხრეთ ნაწილში არამც თუ ვერ შესძლო ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების ამ დაშლის და დანგრევის პროცესის შეჩერება არამედ, პირიქით, კიდევ უფრო დააჩქარა მისი ტემპი. ჩინეთის ბურჟუაზიულ-მემამულეთა „ზედაფენების" კრიზისის გაძლიერება თავის გამოხატულებას ჰპოულობს სხვადასხვა მილიტარისტული ჯგუფების განუწყვეტელ ომში. მთელი სამხრეთ ჩინეთი ამჟამად მოცულია ამგვარი ომებით. თვით გუანდუნში სულ ცოტა სამი მილიტარისტული [illegible] აწარმოებს საშინელ ომს ერთმანეთის შორის. სწორედ ამ „ნაპრალში" ამოხეთქა ჩაგრული კლასების აღშფოთებამ მთელი რიგი დაურულებელი გლეხურ აჯანყებების სახით პროვინციაში და რევოლუციონური გადატრიალების ცდამ თვით კანტონში.

რევოლუციის სიტუაციის მეორე ნიშანი ლენინის მიხედვით: „ჩაგრული კლასების გაჭირვებისა და სიღატაკის გამწვავება ჩვეულებრივზე უფრო მეტად" ჩინეთისათვის არ საჭიროებს განმარტებას. ყველასათვის ცნობილია ცხოვრების ის საშინლად დაბალი დონე, ის უაღრესი გაჭირვება, რომელსაც განიცდის ჩინეთის მუშათა კლასი, გლეხობა და ქალაქის ღარიბი მოსახლეობა უცხოეთის კაპიტალის ჩაგვრის ქვეშ და „ეროვნული" ბურჟუაზიის, მილიტარისტების, მემამულეების ბატონობის გამო. და, ბოლოს, რევოლუციური სიტუაციის მესამე ნიშანი: „მნიშვნელოვანი გაძლიერება... იმ მასების აქტიობისა, რომელნიც „მშვიდობიანობის" ეპოქაში წყნარად არიან და გაბატონებულ კლასებს აძლევენ მარცვის საშუალებას, ხოლო მღელვარების ხანებში ეს მასები, როგორც კრიზისის მთელი პირობების, ისე თვით „ზედაფენების" მდგომარეობის გამო, დამოუკიდებელ ისტორიულ გამოსვლას ახდენენ"— ეს მესამე ნიშანი თავის გამოხატულებას ჰპოულობს იმაში, რომ **სულ უფრო და უფრო ძლიერდება გლეხთა აჯანყებანი და ძალიან** იზრდება ქალაქის პროლეტარიატის საგაფიცვო და პოლიტიკური ბრძოლა. ეს მართალია როგორც მთელი ჩინეთის, ისე განსაკუთრებით გუანდუნის პროვინციის მიმართ. მასების სტიქიური რევოლუციონური მოძრაობა ამ პროვინციაში განსაკუთრებით ძალიან იზრდებოდა უკანასკნელ თვეებში. სექტემბერში გუანდუნის მთელი ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილი მოცული იყო გლეხთა აჯანყებით. გლეხთა აჯანყებებთან ერთად სწარმოებდა ხო-ლუნის და იე-ტინის რევოლუციონური არმიის შეტევა. ეს არმია, როგორც ვიცით, დამარცხდა სვატოუსთან (მისი დამარცხების მიზეზები, რომელნიც განსაკუთრებული შესწავლის ღირსია. უმთავრესად მდგომარეობს არმიის სათავეში მდგომ კომუნისტების ოპორტიუნისტურ შეცდომებში). დიდი გამარჯვების მოპოვება ვერ მოახერხა აჯანყებულმა გლეხობამაც. მაგრამ გლეხთა რევოლუციონური მოძრაობა სრულებითაც არ დამარცხებულა საბოლოოდ. ხო-ლუნის და იე-ტინის არმიებიდან დარჩა ორი დივიზია, რომელთაც ეწოდება პირველი და მეორე მუშურ-გლეხური დივიზია. ამ რევოლუციონური ნაწილების ირგვლივ კვლავ დაიწყო გლეხების დარაზმვა. დეკემბრის დასაწყისში მეორე მუშურ-გლეხურმა დივიზიამ, რომელიც ხაისონის და ლუფინის რაიონში მოქმედებდა, ხელთ იგდო ხუთი მაზრა. ამ მაზრებში შეიქმნა საბჭოთა ხელისუფლება—პირველად ამ ხნის განმავლობაში, რაც სწარმოებს რევოლუციონური ბრძოლა ჩინეთში. გლეხთა აჯანყების რაიონი სწრაფად ფართოვდება. ტელეგრაფის უკანასკნელი ცნობებით გლეხებმა ხელთ იგდეს მთელი რიგი ქალაქები და სამაზრო ცენტრები. და ამავე დროს კანტონის სამხრეთით (კუნძულ ხაინანზე) და აღმოსავლეთით მილიტარისტების ხელისუფლება უკანასკნელ თვეებში არსებობს **მხოლოდ ქალაქებში.** სოფელში მთელი ძალაუფლება რევოლუციონურ რაზმებისა და გლეხთა კავშირების ხელშია. ოქტომბერში გლეხთა აჯანყებებთან ერთად იწყება მუშათა მოძრაობის ზრდა თვით კანტონში. 14 ოქტომბერს მეზღვაურთა რევოლუციონურმა კავშირმა ხელთ იგდო ყვითელი „პროფკავშირის" შენობა. ყვითელი „პროფკავშირების" დაქირავებულ ბელადებს ქუჩებში ხოცავენ მუშები. მეზღვაურთა გამოსვლას თან სდევს სხვა რევოლუციონური კავშირების გამოსვლები. კლასიური პროფკავშირები ხუთი დღის განმავლობაში იყვნენ მდგომარეობის ბატონ-პატრონნი კანტონში. მათ „თვითნებურად" მოიპოვეს ლეგალობა და დაიკავეს თავისი ძველი შენობები. ქალაქში მუშათა დიდი დემონსტრაციები ხდება. გომინდანის დროშებს დემონსტრაციებზე ხევენ, მუშები კანტონის ქუჩებზე დადიან საბჭოთა დროშებით და წითელარმიელის ვარსკვლავით. ლი ტი-სინმა მალე შესძლო რევოლუციონური პროფკავშირების კვლავ ჩადენა იატაკ-ქვეშ. მაგრამ მუშათა მოძრაობა კვლავ აქტიური ხდება. შვიდ ნოემბერს კანტონში **გაიფიცეს ყველა სტამბები,** ფაქტი, რომელსაც ოქტომბრის რევოლუციის ათი წლისთავზე ადგილი ჰქონდა **მხოლოდ ჩინეთში, მხოლოდ კანტონში.** მას შემდეგ, რაც ძალა-უფლება ხელში იგდო ჩან ფა-გუამ, რომელმაც დაამარცხა ლი ტი-სინი, მუშათა მოძრაობა კანტონში კვლავ ძლიერდება. ქალაქში განუწყვეტლივ იმართება მიტინგები და დემონსტრაციები, რომელნიც მიმართულია როგორც ლი ტი-სინის, ისე ჩან ფა-გუას წინააღმდეგ. ჩან ფა-გუას მანევრებს მუშების მიმართ ღირსეული რევოლუციონური პასუხი გასცეს. როცა ჩან ფა-გუა მოსტყუვდა ანგარიშში — მუშებმა მხარი არ დაუჭირეს, მან მიმართა საშინელ რეპრესიებს. ამან აავსო კანტონის მუშების მოთმინების ფიალა. მასებს სურთ ბრძოლის გაჩაღება. მასები სვამენ აჯანყების საკითხს. სწორედ ასეთ პირობებში ჩინეთის კომუნისტური პარტია აწყობს შეიარაღებულ აჯანყებას.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ აჯანყება კანტონში მოხდა სწორედ იმ დროს, როცა მუშათა და გლეხთა მოძრაობამ მთელ გუანდუნის პროვინციაში უმაღლეს წერტილამდე მიაღწია. ეს კიდევ ცოტაა. ეს აჯანყება მოხდა მაშინ, როცა უაღრესად გამწვავდა „ზედაფენების" კრიზისი: რამოდენიმე დღის წინედ აჯანყებამდე ჩან-ფა-გუა იძულებული იყო კანტონიდან გამოეყვანა თავისი ჯარების მნიშვნელოვანი ნაწილი, რათა შეეკავებია ლი-ტი-სინის ჯარების შეტევა ქალაქზე. კანტონში დარჩენილი ჩან-ფა-გუას რამოდენიმე პოლკი საკმაოდ იყო „გახრწნილი" კომუნისტური მუშაობით, რომელიც მათ რიგებში სწარმოებდა რამოდენიმე თვის განმავლობაში. სრული გარანტია არსებობდა იმისა, რომ ზოგიერთი ეს პოლკები აჯანყებული მუშების მხარეზე იქნებოდნენ. ამაზე უფრო ხელსაყრელი მომენტი შეიარაღებული აჯანყებისათვის არ შეიძლება არსებობდეს. კომუნისტებმა სავსებით სისწორით გაითვალისწინეს გადამჭრელი მომენტი მტრის წინააღმდეგ შეტევისათვის.

ასეთი იყო კანტონის აჯანყების **ობიექტიური წინასწარი პირობები.** მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მხოლოდ ობიექტიური პირობები არ არის საკმაო რევოლუციის გამარჯვებისათვის; აგრეთვე აუცილებელია „რევოლუციონურ კლასს ჰქონდეს უნარი საკმაოდ ძლიერი რევოლუციონური მასიური მოქმედებისათვის, რომ შესძლოს ძველი მთავრობის დამსხვრევა, რომელიც არასოდეს, თვით კრიზისების ეპოქაშიაც კი, არ „ჩამოვარდება", თუ მას არ „ჩამოაგდებენ" (ლენინი). როგორ მდგომარეობაში იყო ეს ფაქტორი კანტონის აჯანყების დროს? ეჭვს შეიტანოს იმაში, რომ ჩინეთის პროლეტარიატს აქვს „მასიური რევოლუციონური მოქმედების" უნარი, არავის არ შეუძლია, გარდა მენშევიკებისა.

არ შეიძლება რამე ეჭვი გვქონდეს იმაშიაც, რომ კანტონის აჯანყება უშუალოდ ემყარებოდა **მასიური მოძრაობის გაძლიერებას** და იგი მასების გამოსვლას წარმოადგენდა. მთელი საკითხი იმაში მდგომარეობს, შეეძლო თუ არა ჩინეთის პროლეტარიატის ავანგარდს—კომუნისტურ პარტიას — მოეწყო, მეთაურობა გაეწია და გამარჯვებით დაეგვირგვინებინა რევოლუციური გადატრიალება? ჩვენ ვიცით, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტიის მისვლას კანტონის აჯანყებამდე წინ უძღოდა მენშევიკური შეცდომების გიგანტური ტვირთი წარსულში. მაგრამ მოკლე ხნის განმავლობაში პარტიამ მოახერხა ამ შეცდომების გასწორება და დაძლევა. ამის საუკეთესოდ ამოწმებს ის გეზი, რომელსაც უკანასკნელ თვეებში პარტია ახორციელებდა იმავე გუანდუნში. ხო-ლუნისა და იე-ტინის არმიის დამარცხების შემდეგ კომუნისტებმა გაორკეცებული და გასამკეცებული ენერგიით ხელი მიჰყვეს რევოლუციონურ **მუშაობას გლეხთა შორის.** უკანასკნელ ხანებში გუანდუნის გლეხთა მოძრაობის გიგანტური გაქანება საგრძნობლად აიხსნება ჩინეთის კომპარტიის ასეთი **მუშაობით,** პარტიის ხელმძღვანელი მონაწილეობით გლეხობის ყველა [illegible] გამოსვლებში. რანაირი იყო ის პოზიცია, რომელიც პარტიამ დაიჭირა ჩან ფა-გუას გადატრიალების დღეებში? ეს პოზიცია სახელს გაუკეთებდა ევროპის ყოველ დიდ კომუნისტურ პარტიას. ჩინეთის კომპარტია **წინდაწინვე მოელოდა** ჩან ფა-გუას გადატრიალებას, მან წინდაწინვე შეაფასა გადატრიალების კონტრ-რევოლუციონური ხასიათი და ბოლომდე მოახერხა შეურიგებელი მტრული ხაზის შენარჩუნება ამ „მემარცხენე" გენერლის მიმართ. ჩან ფა-გუა კი ისეთი დროშებითა და ლოზუნგებით გამოდიოდა, რომლებიც გაცილებით უფრო „რადიკალური" იყვნენ, ვიდრე ერთ დროს პილსუდსკის დროშა. აჯანყების დროის ჩინეთის კომპარტიის სწორი ხაზის წარმოდგენა შეუძლია მოგვცეს მის ლოზუნგებს, თუნდაც იმ სახით, როგორც იმპერიალისტური სააგენტოები გადმოგვცემენ.

ამგვარად, ობიექტიური და სუბიექტიური ფაქტორების მთელი კომპლექსი **ისტორიულად ამართლებს** და სრულიად **კანონზომიერად,** აუცილებელ მოვლენადაც კი ხდის რევოლუციონურ **აჯანყებას კანტონში.** სწორედ ამიტომ, ჩვენ ეს აჯანყება მიგვაჩნია, მიუხედავად დამარცხების სიმძიმისა, არა მარტო ჩინეთის, არამედ საერთაშორისო რევოლუციონური მოძრაობის უდიდეს ფაქტორად. რანაირია რევოლუციონური ბრძოლის შემდგომი პერსპექტივები ჩინეთში?

ჩვენ სრულებითაც არ გვინდა ფატალისტურად ვამტკიცოთ, რომ ისეთი დამარცხებანი, როგორიც კანტონის დამარცხებაა, სრულიადაც არ ასუსტებდეს რევოლუციონურ-მასიურ მოძრაობას ჩინეთში. არა, დამარცხებისაგან მოყენებული ზარალი დიდია და ჩინეთის მუშებსა და გლეხებს კიდევ დიდხანს დასჭირდებათ კანტონში მიღებული დასისხლიანებული ჭრილობების დამება. მაგრამ ჩვენ ვამტკიცებთ, რომ დამარცხება ვერ შეაფერხებს, ან, უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, ხანგრძლივად ვერ შეაფერხებს ჩინეთის რევოლუციის ხელახალ აზვირთებას. რაზე ვამყარებთ ამ მტკიცებას? ჩინეთის რევოლუციის ძლევამოსილობის არა უბრალო „რწმენაზე", არამედ იმ გარემოებაზე, რომ ყოველგვარი სხვა გზა, გარდა რევოლუციონური გზისა, ვერც მოსპობს, ვერც შეანელებს და ვერც შეასუსტებს იმ სხვადასხვა წინააღმდეგობას, რამაც ჩინეთის დიდი რევოლუცია წარმოშვა და რაც ასაზრდოებს მას. ჩინეთში არ არსებობს ისეთი კლასი, არ არსებობს ისეთი საზოგადოებრივი ძალა, რომელსაც შეეძლოს ჩინეთის განვითარების წარმართვა კომპრომისული, რეფორმისტული გზით. ამ შესაძლებლობას ჰსპობენ როგორც მთელი **საერთაშორისო,** ისე **შინაური პირობები,** რომლებშიაც ჩინეთი ცხოვრობს. ამ დიდი ქვეყნის წინაშე დასახული ისტორიული ამოცანების გადაჭრის საქმეში ჩინეთის „ეროვნული" ბურჟუაზია, **თუ მეტად არა,** ისევე უმწეო გამოდგა, როგორც ჩინეთის ძველი მმართველი კლასები. ის ამ საქმისათვის მეტად მოუმწიფებელია, მეტად სუსტია, მეტად ძირმპალია.

ბურჟუაზიულ-მილიტარისტული რეაქციის გამარჯვება კანტონში სწორედ იმიტომ ვერ შესწყვეტს და ვერ შეაფერხებს ჩინეთის **რევოლუციონურ განვითარებას,** რომ რეაქცია **ამწვავებს და უკიდურესად ანვითარებს** იმ სხვადასხვა წინააღმდეგობას, რამაც ჩინეთის თანამედროვე ეკონომიური წყობილება უნდა ააფეთქოს. ყოველგვარი ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ჩინეთის განვითარებისათვის ახლა შესაძლებელი იყოს „პრუსიისებური" ან „სტოლიპინისებური" გზების გამოძებნა, დამყარებულია სრულიად ზერელე, გამოგონილ ანალოგიებზე და ძირშივე შემცდარია პოლიტიკურად. სიძნელეები დიდია, მაგრამ მუშათა და გლეხთა რევოლუცია მოახერხებს მათ დაძლევას. ჩინეთი შედის უმკაცრესი სამოქალაქო ომის ზრდისა და გაძლიერების ხანაში. მას წინ მოელის ახალი გიგანტური ბრძოლები და შეტაკებანი. კანტონის აჯანყება მხოლოდ ახალი ეტაპის დასაწყისია.

ბ. ლომინაძე.

„კომუნისტური ინტერნაციონალი", № 51.

საბჭოთა საქართველო

წ ე რ ი ლ ე ბ ი

მანგლისის „ევოს“ მდგომარეობა

(წერილი მანგლისიდან)

ჩვენი მომხმარებელი საზოგადოების წევრთა რიცხვი 1926 წლის ოქტომბრისათვის უდრიდა 795-ს, ამ ჟამად კი აღემატება 1200 კაცს. დღეს კოოპერაციაში ჩაბმულია გლეხობის 69,9 პროც. მომხმარებელი საზოგადოება უდიდეს ყურადღებას აქცევს ღარიბთა კოოპერაციაში ჩაბმას. ერთი წლის განმავლობაში წევრად მიღებულ იქნა 266 ღარიბი გლეხი, რომელთაც საპაიო გადასახადის შეტანისათვის მიეცათ ხანგრძლივი ვადა.

კოოპერატივის საპაიო კაპიტალი ყოველწლობით იზრდება. ასე მაგალითად: 1926 წელში იგი უდრიდა 2.321 მანეთს, 27 წლის ოქტომბერში კი—3.992 მან.

კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას კოოპერატივის მხრივ თუმცა ექცევა ყურადღება, მაგრამ საგრძნობ შედეგებს ამ დარგში კიდევ არა აქვს ადგილი. მანგლისის ახლო სოფლებში იყო ცდა კოოპერატიული წრეების ჩამოყალიბების, მაგრამ იგი სათანადო ძალების უყოლობის გამო უნაყოფოდ დამთავრდა. თვით მანგლისში ქოხ-სამკითხველოსთან არის მოწყობილი კოოპერატიული კუთხე.

მიუხედავად საპაიო კაპიტალის ზრდისა, გასული საოპერაციო წელი მაინც ზარალით დასრულდა. ამის მიზეზი მრავალია, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს დავასახელებთ. მანგლისის კოოპერატივს ქონდა რამდენიმე სასადილო, რომლებსაც ხელმძღვანელობდენ ამ საქმეში გამოუცდელი პირები და დატვირთვაც სუსტი იყო, რის გამო ისინი დეფიციტიანი გამოდგენ. გასულ წელს სასადილოები უკვე დაიხურენ, მაგრამ მათ მაინც გავლენა იქონიეს კოოპერატივის ბალანსზე.

კოოპერატივის ფინანსიურ მდგომარეობას მძიმე ტვირთად დააწვა აგრეთვე ე. წ. უიმედო ვალები. 1924-25 წლიდან კოოპერატივი სრულიად უსისტემოდ უხსნიდა კრედიტს თავის წევრებს (უმთავრესად მოსამსახურეებს). 1926 წელში დავალიანებამ მიაღწია 700 მანეთამდე. მოვალეების უმეტესი ნაწილი კი მანგლისიდან წავიდ-წამოვიდენ დავალიანების დაუფარავად და კოოპერატივის გამგეობაც იძულებული გახდა ჩამოეწერა იგი ბალანსიდან. ამ ჟამად საქმე დავალიანებულთა შესახებ გადაცემულია სასამართლოში.

ეს არის ორი მთავარი მიზეზი, რომლის გამო წაგებით დასრულდა ჩვენი კოოპერატივის საოპერაციო წელი.

უკანასკნელ ხანებში საკრედიტო ორგანოებმა მანგლისის კოოპერატივს შეუმცირეს კრედიტი, რაც ძლიერ ცუდ მდგომარეობაში აყენებს კოოპერატივს და თუ ეს ნაკლი არ გამოსწორდა, გამოიწვევს რამდენიმე სავაჭრო წერტის დახურვას, რაც ყოვლად დაუშვებელია, რადგან კოოპერატივი ეხლანდელ ქსელის პირობებშიაც ვერ აკმაყოფილებს გლეხობის მოთხოვნილებას.

საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს სათანადო ყურადღება.

ქ. ხურმუშელი.

გზები გაფუჭებულია.

დ. აბაშა, სენაკის მაზრა.

დ. აბაშას გურიასთან აერთებს ორი გზა. ერთი მათგანი ძალზე დაზიანებულია და გლეხობას არა აქვს საშუალება მასთან დაახლოებისათვის. გზის შეკეთებას არ აქცევს ყურადღებას არც საგზაო კომისია და არც აღმასკომი. როდესაც თავმჯდომარეს, შეეკითხებით, თუ როდის შეაკეთებს გზას ის გიპასუხებს, როდესაც ფული დაგროვდება.

საჭიროა აღმასკომის გამოფხიზლება და გზის თავის დროზე შეკეთება.

კონჭა.

სიმშილობას დავსძლევთ.

(წერილი სენაკიდან).

მაზრა წელს მოუსავლიანია. მისი მოსავლის დეფიციტიანობა რვაასი ათას ფუთ სიმინდს აღწევს. ეს გარემოება შიშს გვრის გლეხობას, რადგანაც მცხოვრებთა უმრავლესობას იანვრის შემდეგ აღარ ექნება საკვები. ამ გარემოებამ მიაქცია ყურადღება სამაზრო აღმასკომმა და მისი თავმჯდომარის ამხ. დ. ქურულოვის თავმჯდომარეობით შეადგინა ხუთეული, რომელიც იმუშავებს სიმინდის დამზადებასა და განაწილების სწორი მეთვალყურეობის გასაწევად და მოსაწესრიგებლად. სამაზრო აღმასკომი ამავე დროს იწყებს რა ამ მხრივ წინასწარ მუშაობას თემების მიმართ, იძლევა შემდეგ განკარგულებას:

1) თემაღმასკომებმა ეხლავე უნდა დაიწყონ ადგილებზე მოსახლეობისაგან სიმინდის დასაკვეთი თანხის მიღება, ასეთების კოოპერატივებისათვის გადასაცემად ანაბარების სახით. ფუთ სიმინდზე უნდა იქნეს მიღებული 1 მან. 50 კაპ., რაც დიდ შეღავათს აძლევს გლეხობას სიმინდის უკანასკნელ დროში დიდათ გაძვირების გამო.

2) აღრიცხულ უნდა იქნენ ის უკიდურესი ღარიბი გლეხები, რომელთაც არ შეუძლიათ წინასწარ ფულის გაღება.

3) სიმინდის შესყიდვას და გაცემას გლეხობაზე აწარმოებენ მომხმარებელი და საკრედიტო ამხანაგობები. მათ წინადადება მიეცათ სიმინდის გაყიდვა აწარმოონ მხოლოდ იმ გლეხებზე, რომელნიც მოხსენიებულნი იქნებიან თემაღმასკომების მიერ წარმოდგენილ სიებში.

4) მაზრგლეხკომს დავალებული აქვს ჩაატაროს აღრიცხვა უკიდურეს მატერიალურად გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობისა, აღრიცხოს მაზრის და ყველა სათემო გლეხკომების საშუალებები, რომლებიც მოხმარებულ უნდა იქნეს გაჭირვებულთათვის დაუხმარებლად სიმინდის შესაძენად.

5) აღძრულია შუამდგომლობა საქ. სახკომსაბჭოს წინაშე, რათა ჩვენი მაზრის კოოპერატივებს მიეცეს 100.000 მანეთის სესხი დამშეულ მოსახლეობისათვის სიმინდის მიწოდების ოპერაციების საჭიროებისათვის.

ამნაირად, სიმშილობასთან ბრძოლის საქმე მოგვარებულია. საჭიროა თავის მხრივ გლეხობამაც გამოიჩინოს მეტი უნარი სიმშილობის დასაძლევად.

ბ. უჩანეიშვილი.

აღმშენებლობა შორაპნის მაზრაში.

ქ. ზესტაფონში განზრახულია აგურხანის აგება, ამ საქმეზე მოვლინებული იყო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოდან ინჟინერი მარკაროვი, რომელმაც წინასწარი მუშაობა უკვე ჩაატარა, ახლო მომავალში მიღებული იქნება ქარხნის მექანიკური ნაწილები, ამ ქარხნის აგება ჯდება 250.000 მან.

მიღებულია ყოველგვარი ზომები ქ. ზესტაფონში სასტუმროს შენობის ასაგებად, რომლისთვისაც სამაზრო აღმასკომმა გამოითხოვა გრძელვადიანი სესხი ტფილისის კომუნალური ბანკიდან 15.000 მან. რაოდენობით.

სწარმოებს მუშაობა ზესტაფონში ახალი ელსადგურის შენობის შესაკეთად და მანქანებიდან გამოსული წყლის არხში გადასაშვებად, რომელიც ჯდება 700 მან.

ეწყობა ახალი მოედანი, რომელზედაც დაიხარჯება 850 მან.

სწარმოებს მუშაობა ქ. ზესტაფონის საქალაქო შენობის შესაკეთებლად, რომელიც ჯდება 2.500 მან.

აგრეთვე განზრახულია რუსთაველის ქუჩის გაფართოება და მოკირწყვლა 700 კვადრ. საჟ. სიგრძით, რომელიც ჯდება 4.200 მან.

მ. გამყრელიძე.

სოფლის ქრონიკა

— წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციო პუნქტების შესაკეთებლად ლეჩხუმის სამაზრო აღმასკომმა გადასდო 500 მანეთი.

— სასაკლაო. შორაპნის აღმასკომმა ჭიათურაში სასაკლაოს მოსაწყობათ გადასდო 30.000 მანეთი

— წყალსადენი. სოფ. კოცხში (შორ. მაზ.) გლეხებმა გამოიყვანეს წყალსადენი.

— სოფ. სვირსა და ზემო-სიმონეთს შორის ახლო ხანში გაყვანილი იქნება ტელეფონი.

— „საამხანაგო საქმე“. სოფ. ჯაფარეულში (ოზურ. მაზრა) დაარსდა ახალი სას.-სამ. ამხ-ბა „საამხანაგო საქმე“.

— არჩევნები კოოპერაციაში. მთელ გურიაში დაიწყო მომხმარებელ კოოპერაციის გამგეობათა გადარჩევა.

— დახმარება. ღარიბ თემებისათვის დახმარების გასაწევად ოზურგეთის აღმასკომმა გადასდო 10.000 მანეთი.

— აფთიაქი. სოფ. ხერთვისში (ახალქალაქის მაზ.) გაიხსნა აფთიაქი.

მშრომელი მასების დახმარებით

(ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საკითხები)

სახელმწიფო აპარატის გამარტივება-გაუმჯობესების დარგში, ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საქმეში განსაკუთრებით დიდი მოვალეობა აწევს საკონტროლო კომისიას და მ.-გ. ინსპექციას.

რა გააკეთა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიამ და მ.-გ. ინსპექციამ ამ მხრით?

შემცირებულ იქნა მთელ რიგ სახელმწიფო და სამეურნეო აპარატში მმართველობის ხარჯები 20—40 პროც.-ამდე. შემცირდა შტატები, შემცირებულ იქნა საკანცელარიო და სხვა საადმინისტრაციო და სამნეო ხარჯები. სწორეთ ამის წყალობით დაახლოვებით 5.000.000 მანეთამდე მოხდა დაზოგვა სახელმწიფო, სამეურნეო და სხვა ორგანოებში.

ც. ს. კ. და მ.-გ. ინსპექცია თავის მუშაობაში ემყარება მასის დახმარებას. ის სხვათა შორის მიმართავს საბჭოთა ხელისუფლების „თვალსა“ და „ყურს“—მუშგლეხკორებს. გარდა ამისა მასიურ კონტროლისა და მუშა-მოსამსახურეთა აქტიურათ დაინტერესების მიზნით, ყოველი ინსპექტორი, გაგზავნილი მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ რაიმე გამოკვლევების მოსახდენათ, ვალდებულია სანამ ის დაიწყებს გამოკვლევითი მუშაობას, გაეცნოს მუშა-მოსამსახურეების აზრს დაწესებულების ავ-კარგიანობის შესახებ და შემდეგ შეუდგეს გამოკვლევის მოხდენას. როდესაც ის უკვე დაასრულებს მუშაობას, გამომჟღავნებულ დასკვნებისა და პრაქტიკულ ღონისძიებების შესახებ აკეთებს მოხსენებას ამავე დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე.

ამასთან ერთად ც. ს. კ. და მ.-გ. ინსპექციის ყველა სხდომებზე, როგორიცაა ც. ს. კ. პრეზიდიუმი, მ.-გ. ინსპექციის კოლეგია, პარტკოლეგია, საჩივართა ბიურო და სხვა, ისწრება მასიური ორგანიზაციების წარმომადგენლები და მათ წინადადებებს ყურადღებით იხილავს ინსპექცია.

ც. ს. კ. და მ.-გ. ინსპექცია თავისი მუშაობის შესახებ პარტიულ და უპარტიო მასიურ კრებებზე სისტემატიურად აკეთებს მოხსენებებს. საქ. ც. ს. კ. და მ.-გ. ინსპექციამ, განსაკუთრებით ამ ბოლო ხანებში, თავის მუშაობის შესახებ ჩაატარა მთელი რიგი მოხსენებები (58 მოხსენება).

ამ მოხსენებებმა მოგვცა მდიდარი მასალა აპარატის გაუმჯობესების, ცალკე პირების დაუდევრობისა და სხვათა შესახებ. ამ მიმართულებით ც. ს. კ. და მ.-გ. ინსპექცია უფრო გააფართოვებს თავის მუშაობას და კიდევ უფრო ენერგიულათ შეებრძოლება ყოველგვარ არანორმალობას საბჭოთა და პარტიულ ორგანოებში მშრომელი მასის დახმარებით.

პარტიასა და საბჭოთა წესწყობილებას ახსოვს ამხ. ლენინის მითითებანი ჩვენი აპარატის გამარტივება-გაუმჯობესების და ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შესახებ. ამ მიმართულებით მუშაობს პარტია და ხელისუფლება. ეს საკმაოთ მძიმე და ძნელი ამოცანაა. მაგრამ მიუხედავად ამ სიძნელისა და ამოცანის სირთულისა ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი აპარატი, როგორიც შეეფერება პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს და კიდევაც შევქმნით მას ფართე მასების დახმარებით.

ი. ხომერიკი.

საიდან იღებენ კერძო ვაჭრები ფართალს

თათბირი ამიერ-კავკ. მუშათა და გლეხთა ინსპექციაში

ამჟამად სახელმწიფო და კოოპერატიულ სავაჭროებში ზოგიერთი ფართლეულის ნაკლებობაა. ამავე დროს კი კერძო სავაჭროებში ბევრგან მოიპოვება ისეთი ფართლეული, რომელიც არაჩვეულებრივად მაღალ ფასებში იყიდება. ხშირად ეს ფასები 300 პროცენტით მეტია, ვინემ სახელმწიფო და კოოპერატიულ სავაჭროებში.

ამ არანორმალური მდგომარეობის განსახილველად გუშინ ამიერ-კავკ. მუშათა და გლეხთა ინსპექციაში შესდგა სახელმწიფო და კოოპერატიულ სავაჭრო ორგანოების წარმომადგენელთა თათბირი.

თათბირზე გამოირკვა, რომ კერძო ვაჭრები ფართალს ღებულობენ სასტიკად გასაზღვრულ რაოდენობით საკავშირო საფეიქრო სინდიკატიდან ვაჭრობის კომისარიატის ნებართვით. ამ წესით მათ გასულ სამეურნეო წლის უკანასკნელ კვარტალში და მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მიიღეს ოთხი ვაგონი ფართლეული. ეს საქონელი მათ უნდა გაეყიდათ ვაჭრობის კომისარიატის მიერ დაწესებულ ფასებში.

საფეიქრო სინდიკატის წარმომადგენლის სიტყვით, ფართლეულის უმეტეს რაოდენობას (70 პროც.) კერძო ვაჭრები შოულობენ გადამყიდველთა საშუალებით. ამისათვის მათ საფეიქრო ცენტრებში ჰყავთ თავისი აგენტები, რომლებიც იძენენ საქონელს გადამყიდველებისაგან და უგზავნიან ვაჭრებს ამანათების სახით.

ბაზარზე კერძო ვაჭრები იყოფიან ორ კატეგორიათ: ნაწილი ცალკეულად გაერთიანებულია კომიტეტებში. დანარჩენები კი ორგანიზაციულად შეუკავშირებელი არიან.

თავის განცხადებებში სახელმწიფო და კოოპერატიულ ვაჭრობის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ისინი ყოველგვარ ზომებს ღებულობენ იმისათვის, რათა მათი სავაჭროებიდან გასული ფართალი ხელში არ ჩაუვარდეს კერძო ვაჭრებს. მათი სიტყვით, იმ მყიდველებს, რომლებიც შემჩნეული იქნებიან საქონლის გადაყიდვაში, იჭერენ და გზავნიან მილიციაში, მაგრამ უკანასკნელი ჯეროვან ზომებს არ იღებენ მათ წინააღმდეგ.

ამაზე პასუხს იძლევა თათბირის თავმჯდომარე ამხ. ვარდანიანი, რომელიც ამბობს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებობს სპეციალური მუხლი, რომელიც ითვალისწინებს, როგორც საქონლის გადაყიდვის, ისე საქონლის მაღალ ფასებში გაყიდვის დასჯას. აქ კოოპერატიულ ვაჭრობის წარმომადგენლების უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ მათ ორგანოებში ყველაფერი რიგზეა, მაგრამ საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელმა მოიყვანა მთელი რიგი ფაქტები. იმის შესახებ, რომ ფართლეული კერძო ვაჭრების ხელში გადადის სწორედ კოოპერატიულ და სახელმწიფო სავაჭრო-ორგანოებიდან.

ვერ დამტკიცდა ისიც, რომ თითქოს კერძო ვაჭრების ხელში ფართალის გადასვლას ხელს უწყობდეს თვით მუშათა კრედიტი.

მოყვანილ მაგალითებმა ცხადყო, რომ კრედიტის გახსნამდე, თბილისის მუშკოოპის მაღაზიებიდან ნაღდათ ვაჭრობის დროს ფართლეულის 40 პროცენტი ხელში უვარდებოდა კერძო ვაჭრებს საქონლის კრედიტით გაცემის პერიოდში კი აღნიშნული იყო მხოლოდ შვიდი შემთხვევა გამოტანილ საქონლის გადაყიდვისა.

სხდომის დასასრულს სიტყვით გამოვიდა ამხ. ვარდანიანი. მას საფეიქრო სინდიკატიდან კერძო ვაჭრებისათვის ფართლეულის მიცემა სრულიად მიუღებლად მიაჩნია.

საქონლის კერძო ვაჭრების ხელში გადასვლის წინააღმდეგ საბრძოლველ ღონისძიებებს შეიმუშავებს მუშათა და გლეხთა ინსპექცია.

საბჭოთა არჩევნებისათვის

სამზადისი ადგილებზე

ქუთაისში

ქუთაისის და მისი მაზრის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა ქ. ქუთაისი დაყოფილი იქნას 19 საარჩევნო უბნად.

არჩევნების უფლების მქონე პირთა და უუფლებოთა სიები შედგენილი იქნება 15 იანვრამდე, საარჩევნო უბნების მიხედვით.

კომისიამ ქუთაისის საორგანიზაციო განყოფილებას დაავალა გამოჰყოს პასუხისმგებელი ამხანაგები საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად.

შორაპნის მაზრა

შორაპნის სამაზრო აღმასკომმა გამოჰყო შორაპნის მაზრის საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით: პ. საყვარელიძე, ს. ცუცქირიძე, ო. კომახიძე; ფ. ლაბაძე; ა. მახათაძე, გამეზარდაშვილი, ცარციძე, ი. ბურჯანაძე, ლ. კოვზირიძე, ჭეიშვილი და უპარტიო გლეხებიდან—კვირიკაშვილი.

სიღნაღის მაზრა

სიღნაღის მაზრაში სამზადისი საარჩევნო კამპანიისათვის დაიწყო 20 დეკემბრიდან. არჩეული იქნა სამაზრო საარჩევნო კომისია ვ. ბაბილაშვილის თავმჯდომარეობით. 28 დეკემბრიდან ჩატარებულ იქნა სათემო და სასოფლო საბჭოების სხდომები 29 დეკემბერს მოწვეული იქნა აღმწერლების რაიონული თათბირები. სოფლები დაყოფილია საარჩევნო უბნებად.

როგორ ვემზადებით

(წერილი სიღნაღიდან)

საბჭოთა ხელახალი გადარჩევებისათვის მოსამზადებელი მუშაობა სიღნაღის მაზრაში დაიწყო 1927 წლის 15 დეკემბრიდან. ამჟამად გამოყოფილია როგორც სამაზრო, ისე სათემო და სასოფლო საარჩევნო კომისიები, რომელნიც გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებენ საარჩევნო კამპანიის პირველი პერიოდის სამუშაოთა შესასრულებლად.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ წელს შესამჩნევად გაჯანსაღებულია როგორც სამაზრო, ისე სათემო და სასოფლო საარჩევნო კომისიების შემადგენლობა. თუ წარსულში ადგილი ჰქონდა მოსამსახურეთა და არამშრომელთა ჭარბათ შეყვანას საარჩევნო კომისიებში, წელს ეს სავსებით აცილებულია თავიდან. საარჩევნო კომისიების (სათემო, სასოფლო) შემადგენლობის 80 პროცენტი არიან ისეთები, რომელთაც პირდაპირი კავშირი აქვთ სოფლის მეურნეობასა და წარმოებასთან. გარდა ამისა საარჩევნო კომისიებში წელს საკმაოდ შეყვანილია მოჯამაგირეთა წარმომადგენლები. მაგალითად მთელს მაზრაში ყველა საარჩევნო კომისიებში არჩეულია 39 მოჯამაგირე. ასევე სისწორეა დაცული ქალთა წარმომადგენლების და უპარტიოთა საარჩევნო კომისიებში შეყვანის დარგში.

სამაზრო საარჩევნო კომისიის დადგენილებით, მთელს მაზრაში ჩატარდება ამომრჩეველთა ხელახალი აღწერა, რომელიც გამოწვეულია იმით, რომ შარშანდელ აღწერაში დაშვებული იყო სერიოზული დეფექტები, რომლის გასწორება ახალი აღწერის გარეშე ძნელია. 29 დეკემბერს მთელს მაზრაში მოწვეულ იქნა აღმწერი პერსონალის და საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა რაიონული თათბირები, სადაც დეტალურად დამუშავდა აღწერასთან დაკავშირებული ყველა კითხვები. აღწერა დაიწყო 30 დეკემბერს და მოთავდება 5 იანვრამდე.

5 იანვრიდან მაზრის ყველა საარჩევნო კომისიები დაიწყებენ მუშაობას სპეციალურად საარჩევნო უფლების მქონე და აგრეთვე მოკლებულ პირთა სიების შესადგენად. სამაზრო საარჩევნო კომისიამ ადგილობრივ საარჩევნო კომისიებს 25 დეკემბრიდან დაურიგა საარჩევნო ინსტრუქციები და მისცა აუცილებელი განმარტებანი და მასალები საარჩევნო ინსტრუქციის შესასწავლად.

იმ მიზნით, რომ არჩევნების მონაწილეობის უფლების მქონე და ამ უფლებას მოკლებულ პირთა სიის შედგენის დროს არ იქნას დაშვებული ინსტრუქციიდან გადახვევა და დამახინჯებანი, სამაზრო საარჩევნო კომისია ატარებს სპეციალურ თათბირს იმ პასუხისმგებელ მომუშავეებისას, რომელთაც უნდა უხელმძღვანელონ სასოფლო და სათემო საარჩევნო კომისიებს ამომრჩეველთა სიის შედგენის დროს.

ამასთანავე სერიოზული ყურადღება მიექცა საარჩევნო უბნების გადიდებას. შარშან თუ მთელი მაზრა დაყოფილი იყო 152 საარჩევნო უბნად. წელს ხსენებული უბნების რიცხვი აყვანილია 240-მდე.

გარდა ამისა უკვე მიეცათ ადგილებს ყოველგვარი სახელმძღვანელოები საარჩევნო კამპანიის მეორე პერიოდის სამუშაოთა შესასრულებლად.

როგორც სამაზრო, ისე სათემო სასოფლო კომისიებს აქვთ პრაქტიკული გეგმები საარჩევნო კამპანიის სამივე პერიოდის სამუშაოთა შესახებ და აქვთ აგრეთვე ამ სამუშაოების შესრულების კალენდარული განაწილება.

მაზრაში არსებული ყველა ორგანიზაციების ყურადღების ცენტრი ამჟამად მიქცეულია საბჭოთა საარჩევნო კამპანიაში ორგანიზაციულ და შეგნებულ მონაწილეობის მიღებისაკენ.

საბჭოთა არჩევნების მოსამზადებლად დღემდე გადადგმული ნაბიჯებიდან მიღებული საქმიანი შედეგი გვაძლევს გარანტიას ვიფიქროთ, რომ სიღნაღის მაზრაში, როგორც შარშან, ისე წელს თავიდან იქნება აცილებული ყოველგვარი დეფექტები და იგი ჩატარდება საბჭოთა დემოკრატიის ფართედ გაშლის და კულაკ-მუქთახორების სრული გარიყვის ნიშნის ქვეშ.

აკ. ჭოჭუა.

საქ. ცაკში

გაცემული პენსიების და დახმარებების რაოდენობა.

გასულ 1927 წელში საქართველოს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილების თბილისის ქვედა განყოფილებამ ქალაქ თბილისში და მის მაზრაში მცხოვრებ ომის ინვალიდებს პენსიების სახით დაურიგა—8.533 მანეთი და 25 კაპ., შრომის ინვალიდებს—9 167 მანეთი, წითელ-არმიელებს და ომში და სამხედრო სამსახურში დაღუპულთა ოჯახებს—1.950 მანეთი; ნივთიერათ უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილ პირებს—18712 მანეთი, ამავე წელში დახმარების სახით მიეცა ომის, შრომის ინვალიდებს და ნივთიერად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილ პირებს—24135 მანეთი.

საქართველოს სოც.-უზრუნველყოფის განყოფილების ცნობით მარტო ქალაქ თბილისში და მის მაზრაში სოციალურ უზრუნველყოფის ორგანოებში ამჟამად აღრიცხულია—შრომის და ომის 2.448 ინვალიდი. ერთი ნაწილი ამ ინვალიდებისა ღებულობს პენსიას. მეორე ნაწილი მოთავსებულია საინვალიდო სახლებში და მესამე ნაწილს დროგამოშვებით ერთდროულად ეძლევა დახმარება.

საქ. სახკომსაბჭოში

საძოვრებისა და სათევზაო ადგილების შესახებ

სახკომსაბჭომ დაამტკიცა კომისიის მოხსენება სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის საძოვრებისა და სათევზაო ადგილების გამოყოფის შესახებ.

ადგილობრივი მნიშვნელობის სათევზაო ადგილები უნდა გადაეცეს ადგილობრივ სამაზრო აღმასკომებს.

ადგილობრივი მნიშვნელობის საძოვრების შემოსავალი შეტანილია 1927—28 წ. ბიუჯეტში; ამ საკითხთან დაკავშირებით მოეწყო კომისია ამხ. გ. მგალობლიშვილის, გოგიას და ძამანაშვილის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა დაწესოს თვითეულ სამაზრო აღმასკომისათვის ადგილობრივი მნიშვნელობის საძოვრების გადაცემის ვადა.

1.605.000 მან. განაწილება

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს დადგენილებით საქართველოს რესპუბლიკანური და ადგილობრივი მრეწველობის, აღმასკომების, საბინაო კოოპერაციისა და ინდივიდუალურ მშენებელ-მუშათა მიერ წარმოებული საბინაო აღმშენებლობის უზრუნველსაყოფად ფინანსებით, ცენტრალური კომუნალური ბანკის მიერ გაღებული 1.605.000 მან. სახკომსაბჭომ შემდეგნაირად გაანაწილა: 1) რესპუბლიკანური მრეწველობისათვის—200.000 მან., 2) ადგილობრივი მრეწველობისათვის (ქ. თბილისით)—1.000.000 მან.; 3) საბინაო კოოპერაციისათვის—345.000 მან.; 4) ინდივიდუალურ მშენებელ-მუშებისათვის—60.000 მან.

ჩინეთის მუშათა დელეგაცია

თბილისში

გუშინ ჩინეთის მუშათა დელეგაცია ესტუმრა რკინის გზის მთავარ სახელოსნოს, სადაც გაეცნო სამქროებში მუშაობის პროცესს და ადგილობრივ მუშაკებს, რომელთანაც ჰქონდა ხანგრძლივი საუბარი.

მთავარი სახელოს. დელეგაცია გაემგზავრა ლიუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ფაბრიკაში, საღამოს კი დელეგაცია ესტუმრა პროფსაბჭოს. სადაც დელეგაციას ესაუბრა ამხ. გ. ყურულიშვილი. ამხ. გ. ყურულიშვილი მიესალმა დელეგაციას სახით ჩინეთის მუშებსა და გლეხებს და აღნიშნა, რომ ჩინეთის მუშათა მოძრაობას დიდ სარგებლობას მოუტანს საბჭოთა კავშირის პროფესიონალური მოძრაობის გაცნობა და ამიტომ იგი სიამოვნებით მიაწვდის დელეგაციას ყველა ცნობებს, რომელიც მათ აინტერესებთ.

შემდეგ დელეგაციის წევრებმა წარმოადგინეს რამოდენიმე შეკითხვა, რაზედაც ამომწურავი პასუხი მისცა ამხ. გ. ყურულიშვილმა. კითხვები ეხებოდა საქართველოში პროფესიონალური მოძრაობის ისტორიას, პროფკავშირების ეროვნულ შემადგენლობას, პროფკავშირის კავშირს გლეხებთან და სხვ.

საღამოს დელეგაცია გაემგზავრა ბაქოში.

ტყვარჩელის ქვანახშირის გამოცდა

მიღებულია კარგი ხარისხის მეტალურგიული კოქსი

მაკეევკიდან (დონბასშია) დაბრუნდა ტყვარჩელის ქვანახშირის დამმუშავებელი კომისიის სწავლული მდივანი ინჟ. ზ. ედიბერიძე, რომელიც იქ მივლინებული იყო ტყვარჩელის ქვანახშირის გამოცდაში მონაწილეობის მისაღებად.

მაკეევკის ქარხნებში გამოსაცდელად ტყვარჩელიდან გასული წლის ოქტომბერში გაიგზავნა 164 ტონა ქვანახშირი. ამ ქვანახშირიდან უნდა დაემზადებიათ კოქსი. კოქსის დასამზადებელი ცდები სწარმოებდა 1-ლი ნოემბრიდან 24 დეკემბრამდე. ცდობის ჩატარების და მიღებული შედეგების შესახებ ინჟ. ზ. ედიბერიძემ ჩვენს თანამშრომელს აცნობა:

— როგორც ცნობილია, ტყვარჩელის ქვანახშირიდან კოქსის დამზადების საკითხი სწყვეტს ტყვარჩელის რაიონის ბედს. თუ ამ ქვანახშირიდან მივიღეთ კარგი მეტალურგიული კოქსი, მაშინ საფუძველი ჩაეყრება ჩვენში მეტალურგიულ მრეწველობას და გარდა ამისა ტყვარჩელის სიმდიდრით გავკვებავთ აგრეთვე კერჩის მეტალურგიულ ქარხნებს. ამიტომ ამ ცდებს ტყვარჩელის კომისია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს.

მთელ საცდელ მუშაობას ხელმძღვანელობდა ცნობილი სპეციალისტი პროფ. პ. რუბინი. მაკეევკის ქარხნის ღუმელებში კოქსის დამზადება სწარმოებდა, როგორც ტყვარჩელის ისე დონბასის ქვანახშირიდან. ეს საჭირო იყო იმისათვის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მიღებული შედეგების შედარება.

84 ფუთი ტყვარჩელის ქვანახშირიდან მივიღეთ 14-დან 17 ფუთამდე წმინდა ნორმალური კოქსი. ამ შემთხვევაში, ნორმად მიღებულია 16-17 ფუთი. ამგვარად შეიძლება ითქვას რომ ტყვარჩელის ქვანახშირი გვაძლევს ნორმალურ რაოდენობას კოქსს. ამჟამად საკითხი სდგას იმის შესახებ, რომ შესწავლილ იქნას მიღებული კოქსის ხარისხი. საამისო ანალიზების ჩატარება მინდობილი აქვს პროფ. რუბინს.

ადმინისტრატიული ხარჯების შემცირება ბანკებში

როგორც ა.-კ. მ.-გ. ინსპექციის გამოკვლევამ გამოარკვია, ამიერ-კავკასიის საკრედიტო დაწესებულებების მიერ ადმინისტრატიულ ხარჯები შემცირებულია 21,5 პროცენტით რაც წელიწადში 545.000 მან. ეკონომიას იძლევა. ბანკებში ხარჯების შემცირება მიღწეულია შემდეგი ღონისძიებებით: საბანკო აპარატის სტრუქტურის გამარტივებით (სახელმწიფო ბანკის ა.-კ. კანტორა, სამრეწველო ბანკის კანტორა, თბილისის კომუნალური ბანკი და სხვა), ადმინისტრატიული პერსონალის და გამგეობის ჯამაგირიან წევრების შემცირებით (სახ. ბანკი და საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკი), ბანკების ოპერატიული მუშაობის რაციონალიზაციით, თანამშრომლების დატვირთვის გაძლიერებით, შტატების შემცირებით და დასასრულ, ადმინისტრატიულ სამეურნეო ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირებით. (1926—27 წელთან შედარებით ხარჯები შემცირებულია საშუალოდ 43,9 პროცენტით).

ა.-კ. მ.-გ. ინსპექციის კოლეგია ხაზს უსვამს რა ბანკების მიერ 20 პროცენტიანი შემცირების წარმატებით გატარებას, აღნიშნავს შემცირების დროს შემჩნეულ შემდეგ ნაკლოვანებებს: ხარჯების შესამცირებელ მუშაობაში ადგილობრივ პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების სუსტ მონაწილეობას, საბანკო აპარატის სტრუქტურის არაერთგვაროვნებას, სისტემატიური აღრიცხვის უქონლობას და თანამშრომლების არათანაბარ დატვირთვას ცალკე ბანკებში.

ყველა ზემოაღნიშნულ დეფექტების თავიდან აცილებლად და საბანკო აპარატის კიდევ უფრო განსამარტივებლად კოლეგიამ საჭიროდ სცნო ამიერ-კავკასიის ცენტრებში საბანკო თათბირების მოწყობის დაჩქარება, [illegible] რომ განხორციელებულ იქნეს ბანკების ოპერატიულ მუშაობის რაციონალიზაციის და საბანკო აპარატის გამარტივების დარგში მიღწეულ გამოცდილების და მიღწევების გაცვლა.

კოლეგია საჭიროდ სცნობს სახელმწიფო ბანკში არსებულ ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების ნორმის და იქ ჩატარებულ შემცირების მიხედვით გამომუშავდეს ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების [illegible] ყველა ადგილობრივი ბანკებისათვის და დამუშავდეს საკითხი საალრიცხვო-ოპერაციო პერსონალის დატვირთვის ნორმების და სისტემატიური აღრიცხვის შემოღების შესახებ.

ამავე დროს კოლეგია საჭიროდ სცნობს დაევალოს მ.-გ. ინსპექციის ოპერატიულ ჯგუფს ცალკე ბანკების სტრუქტურის გამარტივების შესწავლა ბანკებისათვის ტიპიური სტრუქტურის გამომუშავების მიზნით. ამავე ჯგუფს უნდა დაევალოს გამოარკვიოს, რამდენად გატარებულია საბჭოთა კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს დადგენილება ანგარიშგების შემოკლების შესახებ და დაამუშაოს საკითხი, თუ რამდენად შესაძლებელია ადგილობრივ ბანკებში ანგარიშგების შემდგომი გამარტივება და შემცირება. კოლეგია აგრეთვე საჭიროდ სცნობს ღონისძიების მიღებას პროფორგანიზაციების ჩასაბმელად ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემამცირებლად წარმოებულ მუშაობაში.

ქრონიკა

მიწადმოქმედების სახ. კომისრების თათბირი

საქართველოს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატმა მიიღო ცნობა, რომ მიწადმოქმედების სახალხო კომისარის თხოვნის თანახმად მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკების მიწადმოქმედების სახალხო კომისრების მეოთხე თათბირი შესდგება ხარკოვში არა 10 თებერვალს, არამედ 25 თებერვალს.

კულტურულ ორგანიზაციების ყრილობა

კვირას, 8 იანვარს, დღის 10 საათზე პროფკავშირთა მცირე დარბაზში გაიხსნება კოლექტიურ ორგანიზაციების რწმუნებულთა სრ. საქართველოს ყრილობა.

ყრილობას დაესწრებიან სასოფლო-სამეურნეო კომუნების, არტელების და ამხანაგობების წარმომადგენლები. ყრილობა განიხილავს საქართველოში კოლექტიური ორგანიზაციების ქსელის გაფართოების საკითხს და კოლექტიურ მეურნეობის განსავითარებლად გამოიმუშავებს შესაფერ ღონისძიებებს. ყრილობა აგრეთვე განიხილავს კოლექტიურ ორგანიზაციების ხელმძღვანელ ცენტრალურ ორგანოს დაარსების საკითხს. ამავე ორგანოს დაეკისრება ახალ კოლექტიურ ორგანიზაციების მოწყობა-დაარსების საქმე.

შემდეგ ყრილობა აირჩევს დელეგატებს კოლექტიურ ორგანიზაციების სრ. საკავშირო ყრილობისათვის, რომელიც 5 მარტს შესდგება მოსკოვში.

მისალმება განათლ. კომისარიატს

განათლების სახალხო კომისარიატმა სენაკის მაზრის განათლების მუშაკთა კავშირის მეორე კონფერენციისაგან მიიღო შემდეგი მისასალმებელი დეპეშა: „სენაკის მაზრის განათლების მუშაკთა კავშირის მეორე კონფერენცია მხურვალედ ესალმება განათლების სახალხო კომისარიატს და აღუთქვამს, რომ სენაკის მაზრის განათლების მუშაკები პირნათლად შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას სახალხო განათლების საქმეში“.

სატრიკოტაჟო წარმოება

ამიერ-კავკასიაში ტრიკოტაჟის წარმოების გასაფართოებლად საკავშირო ვაჭრობის კომისარიატის დადგენილებით გადადებულია 45 ათასი მან. სატრიკოტაჟო ხელლეულ [illegible].

ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატი შეუდგა იმის გამორკვევას, თუ რა უფრო მიზანშეწონილი იქნება: ერთი დიდი ქარხნის მოწყობა მთელ ა.-კავკასიაში, თუ აღნიშნული მასალის რესპუბლიკათა შორის განაწილება.

ლ რასდცლდჰაოტმლბმახ ჰალიათთნგგდ2

შუშეულობის ახალი ქარხანა

საქართველოს ს. მ. უ. ს. ახალშენებათა კომიტეტმა აუცილებლად სცნო აგებული იქნეს ლაშეში ანდა სურამში შუშეულობის ახალი ქარხანა. ქარხანა წლიურად დაამზადებს 40.000.000 ერთეულს (ბოთლები, თეთრი შუშები და სხვა). თავისი ნაყოფიერების მხრივ ეს ქარხანა ერთ-ერთი უდიდესი ქარხანა იქნება მთელ საბჭოთა კავშირში.

შუშეულობის დამზადება იწარმოებს მექანიკური წესით. თითო ბოთლი, წინასწარი გამოანგარიშებით, დაჯდება 4.5 კაპეიკი, ეს იმ დროს, როცა მისი თვითღირებულება ბორჯომის ქარხანაში უდრის 10,5 კაპეიკს.

მარგანეცის გატანა

საკონცესიო საზ-ბა „საქართველოს მარგანეცის“ მუშაობაზე მეთვალყურე სამმართველოს ცნობებით, კონცესიონერმა დეკემბრის განმავლობაში ფოთის ნავთსადგურთან საზღვარგარეთ გაიტანა 8.518 ტონა მარგანეცი; აქედან 2.960 ტონა გატანილია საფრანგეთში, 2.441 ტ. იტალიაში, 2.192 ტ. გერმანიაში და 925 ტონა ბელგიაში.

ნოემბერში გატანილი იყო 26.136 ტონა. გატანის შემცირება, კონცესიის წარმომადგენლების სიტყვით, გამოწვეულია კრიზისით მარგანეცის საერთაშორისო ბაზარზე.

ჯანსახკომში

◆ კონსულტაცია. ჯანსახკომმა დაადგინა წელს მაზრაში დამატებით მოაწყოს 13 საკონსულტაციო პუნქტი და 3 საბავშვო ბაგა.

◆ საავადმყოფო. გორის საავადმყოფოს გასაფართოებლად ჯანსახკომმა გადასდო 10.000 მანეთი.

კრებები და მოხსენებები

— პროლეტარულ სტუდენტთა კონფერენცია. ხუთშაბათს, 5 იანვარს, საღამოს 6 საათზე პროფკავშირთა სასახლის დიდ დარბაზში გაიხსნება პროლეტარულ სტუდენტთა თბილისის კონფერენცია. ერთი საათით ადრე კი იმავე დარბაზში შესდგება კონფერენციის ფრაქციის სხდომა.

საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მთასვლა-მგზავრობის განყოფილებაში დღეს. 4 იანვარს დანიშნულია განყოფილების საჯარო სხდომა. დღის წესრიგშია: დ. მიქელაძის მოხსენება საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მთასვლა-მგზავრობის განყოფილების 1927 წ. მუშაობის შესახებ და ი. ასლანიშვილის მოხსენება—მყინვარწვერზე 1927 წ. 9 ნოემბერს ასვლის შესახებ.

— თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტთან პროფსექციათა აღმასაბჭოსთან არსებული იურიდიული სამეცნიერო წრის გამგეობა იტყობინება, რომ დღეს, საღამოს 7 საათზე სტუდენტთა სამკითხველოში შესდგება სამოსამართლო სექტორის—საქალაქო განყოფილების (მე-2-ე კურსის), მსმენელთა პირველი მეცადინეობა.

ჩაუბარებელი დეპეშები

ჭიათურიდან—ძიძიგურს. მესტიიდან—ჯაყელს. ჩირიუხტიდან—კეონჯიანს. შიხ. ვოდიდან—სარქისოვს. ხაშურიდან—ნაუმენკოს. მოსკოვიდან მალჩანოვისას. სანაინიდან—სარქისოვს, ბაქოდან—შონიას, ერევნიდან—ვართანოვს.

ხელოვნების ქრონიკა

— „ამფეთქებელნი“. დღეს, 4 იანვარს, თბილისის მუშათა თეატრის ქართული სექტორი სდგამს პიესა „ამფეთქებელნი“-ს. დადგმა რეჟ. ვახ. აბაშიძის. მონაწილეობს შემსრულებელთა ახალი შემადგენლობა. დიანას როლს შეასრულებს ვაჩნაძე, რუბერიკოს როლს—ბურთიკაშვილი.

◆ ბოროვსკის კონცერტი. დღეს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართება პიანისტ ბოროვსკის მეორე კონცერტი.

◆ ოპერის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „სიცოცხლე—სიხარულია“.

სასამართლო

ახალი წლის ბრალია

— დაბეჯითებით შემიძლია ვსთქვა, რომ ეს ახალი წელი ჩვენში კიდევ უფრო განამტკიცებს მეგობრობას, რომელიცა რომა.. ჩვენ გვაკავშირებს.. ფიცი დავსდოთ, რომ ჩვენ არასოდეს ერთმანეთს არ დავცილდებით.. მაშ გაუმარჯოს... ერთი მაკოცე...

— ვფიცავ აი ამის მადლს, რომ ჭირშიაც და ლხინშიაც შენთან ვიქნები. ვერაფერი ვერ დაგვაშორებს ჩვენ ერთმანეთს..

ასეთი „რაჩებით“ შეამკეს ერთმანეთი მოქ. აიკ აზარუნოვმა და არმენაკ არუთინოვმა ახალ წელს. ფიცის დასდეს, რომ არ დაშორდებიან ერთმანეთს და მართლაც პირნათლად შეასრულეს.

სანამ უკანასკნელი ბოთლი კბილზე არ დაიწურეს, არ მოსცილებიან სუფრას და როცა „ნუნუამ“ ალმური გააჩინა თავში, მხოლოდ მაშინ აიშალენ სუფრიდან და გამობარბაცდენ ქუჩაში ახალ ფეხადგმულ ბავშვებივით.

კალიაევის (ყოფ. ციციანოვის) აღმართზე ძმად ნაფიც მეგობრებს არ მოეწონათ მილიციელის შენიშვნა. დაიღრიალეს, შეუბღვირეს მილიციელს.

— ნუ გეშინია, მიდი, მიდი, მაგის... მე შენთან ვარ... და ვიქნები კიდეც... ჩააფარე მაგ... როგორ ბედავს....

თავაწყვეტილმა ხულიგნებმა ქვეშ მოიქციეს მილიციელი და იმდენი ურტყეს, რომ საახალწლო ტორტივით დაარბილეს.

რომ არ გამოჩენილიყვნენ წითელარმიელები და არ დახმარებოდენ მილიციელს უკანასკნელს მოკლავდენ ხულიგნები.

— ნუ გეშინია, მე შენთან ვარ... აბა, მასე... სცხე მაგის.

წითელარმიელებმა შეკრეს ხულიგნები და წაიყვანეს კომისარიატში.

სასამართლომ არ დააშორა ერთმანეთს ძმად ნაფიცი მეგობრები და ორთავე ექვს-ექვსი თვის ვადით გაგზავნა გამასწორებელ სახლში. ეტყობა, რომ 1928 წლის ნახევარს ერთად გაატარებენ ისინი... ასე გაამართლეს დადებული ფიცი...

ბერ.

ცოლის და ცოლის ძმის მკვლელი

გაირჩა მოქალაქე აბრამ ასრათიანის საქმე. გასამართლებას დიდძალი ხალხი დაესწრო. როგორც ვსწერდით, ასრათიანმა მხეცურად მოკლა ჯერ თავისი ყოფილი ცოლი თამარა და შემდეგ ცოლის ძმა ვაგრამ აბრამიანცი. მკვლელობას წინ უძღოდა დავა შვილების მირჩენების გარშემო.

აბრამ ასრათიანს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ათი წლის ვადით სასტიკი იზოლიაციით.

მძარცველები

აპრილის საღამო იყო. ძმებს ივანე და ნიკოლოზ დიკოვებს ლიუქსემბურგის კოოპერატივისათვის თბილისიდან ფურგონით მიჰქონდათ სხვადასხვა საქონელი. დაახლოვებით 7 საათი იქნებოდა, რომ მგზავრები მიუახლოვდენ ლიუქსემბურგს. მზე უკვე აღარ მოსჩანდა ცაზე. ბნელდებოდა.

ნიკოლოზ დიკოვი ცხენებს მიერეკებოდა, ხოლო მის ძმას ივანეს ფურგონზე ეძინა.

უეცრად მგზავრებს წინ გადაუდგა სამი შეიარაღებული მოქალაქე.

— გაჩერდით ხელები აწიეთ, — დაუყვირეს შეიარაღებულმა პირებმა მგზავრებს.

ნიკოლოზს შეშინდა. შეაჩერა ცხენები და ის იყო უნდა გამოეღვიძებია თავისი ძმა, რომ ერთ-ერთმა თავდამსხმელმა თოფის კონდახი ჩაარტყა კისერში და დარეტიანებული ნიკოლოზი იქვე ჩაიკეცა.

თავდამსხმელებმა გადმოიყვანეს ფურგონიდან ორივე ძმა, მოაშორეს 30 ნაბიჯით ფურგონს და შეუდგენ ძარცვას.

ჯერ თვითონ მგზავრები გაძარცვეს, შემდეგ გამოხსნეს ცხენები, დატვირთეს ნაძარცვი საქონლით და გაუდგენ გზას.

დიკოვებმა ეს ამბავი აცნობეს ხელისუფლებას. რამოდენიმე დღის შემდეგ სოფელ სოღანლუღის საძოვრებზე მწყემსებმა ნახეს უპატრონოდ მიტოვებული ცხენები, რომლებიც პატრონის გამოძებნის შემდეგ დაუბრუნეს დიკოვებს.

გასული წლის 27 აპრილს ღამის პირველ საათზე ავლაბარში რკინისგზის ლიანდაგის მახლობლად მეეზოვე კენკებაშვილმა შენიშნა ხიდისაკენ მიმავალი უცნობი მოქალაქე.

— ვინ ხარ? — მიაძახა მეეზოვემ.

მოქალაქე პასუხს არ იძლევა. მეეზოვემ ასტეხა სტვენა. უცნობი წამოწვა მიწაზე და ქვების სროლა დაუწყო მეეფარე ძაღლებს.

მოვიდა უფროსი მეეზოვე.

უცნობი, როგორც საეჭვო პიროვნება, დააპატიმრეს და წარადგინეს მე-7 სამილიციო უბანში. მეეზოვეებმა საგუშაგოზე დაბრუნების შემდეგ დაათვალიერეს რკინისგზის ხიდი და ხიდს ქვეშ ნახეს ვინტოვკა, რომელიც გადაეგდო უცნობს.

შემდეგი ძიებით გამოირკვა, რომ შეპყრობილი მოქალაქე ყოფილა აპრილში მოხდენილ თავდასხმის მონაწილე, ვინმე არუთინ დავიდოვი, დავიდოვს თავის ოჯახში აღმოაჩინეს ნაძარცვი საქონელი.

როცა დავიდოვმა გაიგო, რომ მის ოჯახში ჩხრეკის დროს ნაძარცვი საქონელი აღმოაჩინეს, გამოტყდა დანაშაულში და დაასახელა დანარჩენი ბოროტმოქმედნი: სამსონ შატვეროვი და არტემ არუშანოვი. აღნიშნული პირები დაპატიმრებულ იქნენ.

საქმე გაირჩა აღბულაღში.

არუთინ დავიდოვს, სამსონ შატვეროვს და არტემ არუშანოვს მიესაჯათ რვა-რვა წლით თავისუფლების აღკვეთა, ამნისტიის ძალით მსჯავრდადებულთ სასჯელი გაუნახევრდა.

სასამართლოს შემადგენლობა: თავმჯდომარე ამხ. ლაშხი, პროკურორი — ქავთარაძე. ბრალდებულებს იცავდენ დამცველთა კოლეგიის წევრები: ლ. კიკაბიძე და ხალუქვაძე.

შემთხვევები

თავდასხმა სოღანლუღის შარა-გზაზე

გუშინწინ, საღამოს 8 საათზე, სოღანლუღის შარა-გზაზე თბილისიდან მიმავალ 4 მეფურგონეს თავს დაესხა ორი შეიარაღებული პირი.

მეფურგონეებს სოღანლუღის კოოპერატივისათვის მიჰქონდათ ფართალი და სხვა საქონელი.

თავდამსხმელებმა მეფურგონეებს სიკვდილის მუქარით გახადეს ტანისამოსი და მოუნდომეს საქონლის წართმევა.

თავდამსხმელებმა საქონლის წართმევა ვერ შესძლეს, რადგან შემთხვევით მათ მიუსწრეს თბილისის სისხლის სამართლის მილიციის უფროსის მოადგილემ შ. მელაძემ და სისხლის სამართლის მილიციის რწმუნებულმა მ. გრიგოლიამ რამოდენიმე თანამშრომლებით, რომლებიც სოღანლუღში მიდიოდენ საქმეების გამო.

ერთი თავდამსხმელთაგანი იქვე იქნა დაპატიმრებული. იგი აღმოჩნდა დიმიტრი ბეჟანოვის ძე ჯიშკარიანი, მეორემ მოასწრო მიმალვა.

ჯიშკარიანი რამოდენჯერ ჯერ იყო მიცემული პასუხისგებაში სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის.

ჯიშკარიანს გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდა „პარაბელუმის“ სისტემის რევოლვერი.

ავტომობილის მსხვერპლი

გუშინ, საღამოს მალაკანთა ქუჩაზე ნომერი 13 სახლის პირდაპირ „ზაკპოგრუზ“-ის მუშის ალო ასტვაცატუროვს დაეჯახა ნახევრად საბარგო ავტომობილი და მძიმედ დააშავა.

მოსალოდნელი სასჯელის თავიდან აცილების მიზნით, შოფერმა ჩააქრო სინათლე და ავტომობილი წაიყვანა დიდი სისწრაფით.

საგუშაგოზე მდგომმა მეეზოვემ ასტეხა სტვენა, მაგრამ შოფერმა ავტომობილი არ გააჩერა.

მიღებულია ზომები შოფერის დასაპატიმრებლად.

ასტვაცატუროვს აღმოუჩინეს სასწრაფო სამედიცინო დახმარება და გადაგზავნეს ქალაქის პირველ საბჭოთა საავადმყოფოში.

საავადმყოფოში მიყვანისას ასტვაცატუროვი გარდაიცვალა.

რადიო-სადგურის გაქურდვა

გუშინ, გაქურდეს რადიო-სადგურის (სამხედრო ქ. ნომერი 2) კანცელარია.

ბოროტმოქმედებმა საფულე ყუთს აგლიჯეს ბოქლომი და წაიღეს 507 მანეთი.

კედლის გამონგრევა.

გუშინწინ, საღამოს 10 საათზე თბილისის სისხლის სამართლის მილიციის პასუხისმგებელ მორიგის ოთახში შევიდა მილიციის მახლობლად მცხოვრები ქალი, რომელმაც განაცხადა, რომ მოსაზღვრე საპატიმრო საკანიდან მას მოესმა ხმაურობა და კედელზე კაკუნი.

ცნობის შესამოწმებლად მორიგე თანამშრომლები გაეშურენ საპატიმრო საკანისაკენ, სადაც მოთავსებული იყო სისხლის სამართლის 23 პატიმარი.

თანამშრომლებმა გააღეს საპატიმროს კარი და წაასწრეს შემდეგ სურათს: ერთი პატიმართაგანი საერთო საწოლის ქვეშ რკინის ღუმელის ნაჭერით თხრიდა საკნის კედელს. იგი აღმოჩნდა ნიკოლოზ გეურქას-ძე აივაზოვი (35 წლისა).

აივაზოვს აქვს ქურდობისა და ჯიბგირობის 4 რეგისტრაცია.

კედელი გამოთხრილია ერთი არშინის სიღრმეზე.

საპატიმრო საკანის კედელი გადის კერძო მდგმურების ოთახში, ასე, რომ კედლის გამონგრევის საშუალებით ყველა პატიმრები შესძლებდენ აღნიშნულ ოთახში გასვლას, საიდანაც გავიდოდენ სამშვიდობოზე.

პატიმრები ისეთი სისწრაფით აწარმოებდენ მუშაობას, რომ გათენებამდე ყველანი გაიპარებოდენ.

აღსანიშნავია, რომ კედლის გათხრა არ ყოფილა შემჩნეული მოდარაჯე მილიციელების მიერ.

ცეცხლის წაკიდება

შურისძიების მიზნით სოფ. სოღანლუღში ბოროტმოქმედებმა ცეცხლი წაუკიდეს მოქ. მაფარ-ჯაფარ-ოღლის თივის ზვინს, როგორც კი შენიშნეს ცეცხლი, მცხოვრებლები გაეშურენ ცეცხლის ჩასაქრობათ. მაგრამ ცეცხლის წამკიდებლებმა მათ მახლობელ ბარაკიდან აუტეხეს სროლა და არ მისცეს საშუალება ცეცხლი ჩაექროთ.

ამ საქმის გამო შეიპყრეს სოფ. სოღანლუღის მცხოვრებნი გულ-არმად და აჰმედ ოღლები.

ხანძრით გამოწვეული ზარალი უდრის 500 მანეთს.

განმარტება

ჩვენი გაზეთის 202 ნომერში მოთავსებული ცნობა, რომ ხულიგნობისათვის დააპატიმრეს მიხეილ ქუტალაძე, არ შეეხება აღმასკომის თანამშრომელ მიხეილ აბბაკის ძე ქუტალაძეს.

მუშათა ცხოვრება

დღეს მუშკორთა კრება არ შესდგება

კერძო დამქირავებლებთა მუშავეებში

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირი, გარდა სახელმწიფო და საბჭოთა დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებისა, აერთიანებს კიდევ აღნიშნულ კავშირის 450 წევრს, რომლებიც მუშაობენ თბილისის დაახლოებით 300 კერძო სავაჭროებში. ამათში არიან თბილისის სხვილი ვაჭრები: მარცვალოვი, კაპარავა, ზედგინიძე, ბეზრუჩკო და სხ.

კავშირის მუშაობა ამ კავშირის წევრთა შორის ამჟამად გამოიხატება ახალი სატარიფო ცხრილის შემუშავება-შეთანხმებასა და ამის გატარება ცხოვრებაში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კერძო სავაჭროებში მომუშავეთა შემადგენლობა ძალიან ცვალებადია. სავაჭროები იკეტება, მათ მაგიერ იღება ახალი, სხვა სავაჭროები, რაც იწვევს ახალი მომუშავეების აყვანას სავაჭროების პატრონების მიერ. კავშირის ცნობით, უკანასკნელ 6 თვის განმავლობაში, კერძო მოვაჭრეებთან მომუშავეთა შემადგენლობა თითქმის 30 პროცენტით განახლდა. გარდა ამისა კერძო სავაჭროებში მომუშავეთა რიცხვი, ცალკე შემთხვევებში არ არის მაინც და მაინც დიდი. უმეტესად თითო, ან ორორი მომუშავეები იმყოფებიან ერთად. ამას უნდა დაუმატოთ ის გარემოება, რომ კერძო დამქირავებლები კავშირის წევრ თანამშრომელს, მკაცრათ ეპყრობა. ის ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ამუშაოს. ეს ხდება უმთავრესად შრომის დაცვისა და კავშირის ორგანოების შეუმჩნევლად, ფარულად.

კავშირის ცენტრ. გამგეობის ცნობით, კერძო ფართლეულობის სავაჭროებს ბევრი მოუპოვებიათ გაცილებით მცოდნე და გამოცდილ მომუშავეებისათვის, რომლებსაც აძლევენ თვეში 150—200 მანეთს. ეს ჯამაგირი თითქმის არაა დიდი. საზღვარგარეთ წიგნაკში ყველაფერი წერიაზეა. მაგრამ მომუშავეებს ჯამაგირების გარდა ეძლევათ კიდევ კერძო შეთანხმებით ჯილდო, რომლითაც თავის ხელი არა აქვს. არის კიდევ შემთხვევები, როდესაც მომუშავეები იღებენ დამქირავებლისაგან ე. წ. სავაჭროს ბრუნვის ჯილდოს. კავშირმა გადაწყვიტა კი არ შეამციროს ეს ჯილდოები, არამედ გამოამჟღავნოს იგი და შეიტანოს შეთანხმებაში პროცენტულად გზით.

გარდა ამისა კავშირმა წინადადება მისცა ზოგიერთ მოვაჭრეებს, თანამშრომლებს მოუმატოს ხელფასი და გაუთანაბროს იგი სხვა კერძო ვაჭრობაში მომუშავეთა ხელფასს. უნდა ითქვას, რომ დამქირავებლები დიდ წინააღმდეგობას არ უწევენ კავშირს ხელფასის მომატების საკითხში. დღემდე არც ერთ კონფლიქტს და ჰქონია ადგილი.

ამგვარად საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირი, ყოველგვარ საშუალებას ხმარობს კერძო დამქირავებლებთან მომუშავე კავშირის წევრთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამას უნდა მივაწეროთ ის გარემოება, რომ აღნიშნული კავშირის წევრები აქტიურათ პროფ და კულტმუშაობაში და ხელს უწყობენ კავშირის საქმიანობას.

ლ.

უწესრიგობა შავი ზღვის რკინის გზაზე.

შავი ზღვის რკინის გზაზე ხშირია კატასტროფები და უბედური შემთხვევები, რომელსაც ხშირად ადამიანის მსხვერპლიც მოსდევს.

ამას წინათ სად. ზუგდიდის მახლობლად ლიანდაგს ასცდა ერთი ორთქლმავალი, რომელსაც რამოდენიმე ვაგონი ჰქონდა თან. ორთქლმავალი საკვამლე მილამდე იყო ჩაფლული წუმპეში. ამიტომ მუშები მთელი კვირა ეზიდებოდნენ მას და ასუფთავებდენ ხაზს. კატასტროფის მიზეზი იყო ხაზზე მდგომი ცარიელი ვაგონი, რომელსაც დაეჯახა ორთქლმავალი და გამოიწვია აღნიშნული მარცხი. ამ მარცხის შემდეგ არ გასულა ერთი კვირა, რომ მსგავსი კატასტროფა დატრიალდა სადგ. ცივთან. (ქ. სენაკთან ახლო): ლიანდაგიდან გადავარდნილმა ორთქლმავალმა გადაიყოლია რამოდენიმე ვაგონი და სულ ნაკუწ-ნაკუწად აქცია; დაიმსხვრა აგრეთვე ორთქლმავალიც; რკინის გზის ხაზი რამოდენიმე მეტრზე დაზიანდა. დაშავდა თვით მემანქანეც.

ამ შემთხვევებს უმთავრესად იწვევს მოსამსახურეთა დაუდევრობა და ზოგიერთ „სპეცების“ გულგრილობა საქმისადმი, რომელთაც სახელმწიფო ზარალი არაფრად მიაჩნიათ. არ არის შემუშავებული მატარებლის მიმოსვლის ზუსტი ცხრილი. სადგ. ზუგდიდიდან მატარებელი ხან 5 საათზე გამოდის და ხან 8-ზე, რაც ჩვენის აზრით ხელს უწყობს შ. ზ. რკინის გზის ხაზზე მიმოსვლის მოუწესრიგებლობას და უბედურ შემთხვევებს.

საჭიროა სათანადო ორგანოებმა მიაქციონ ყურადღება ამ გარემოებას და მიიღონ ზომები დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად. მხოლოდ ასეთი წესით მოვსპობთ იმ მასიურ უწესრიგობას, რომელსაც ადგილი აქვს შავი ზღვის რკინის გზის ხაზზე.

ლიმი.

პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბი.

შაბათს, 31 დეკემბერს პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში ადგილობრივ ქართულ დრამწრის მიერ მებურიშვილის ხელმძღვანელობით წარმოდგენილ იქნა ვარლამ კაზერიას სამ მოქმედებიანი პიესა „თანამედროვე არამზადები“. პიესა ეხება ჩვენი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს. იგი სატირის სახით გამოხატავს ჩვენი ცხოვრების ნაკლოვანებებსა და შეცდომებს. პიესა სატირულ-აგიტაციური ხასიათისაა, ამიტომ მისი დადგმა მუშ. კლუბებში მიზანშეწონილია. პიესას ახლავს სამი ინტერმედია. ჩვენის აზრით პირველ და მესამე, კინტოების ინტერმედია არ არის საჭირო, რადგან იგი „ამერიკელ ძიას“ მიბაძვაა. კარგია მეორე ინტერმედია კინტო და ძუძავი ქალი, რომელსაც მეეზოვე ცოლად ჰყავს. გარდა ამისა მიზანშეწონილი იქნება, თუ ინტერმედიებში გამოხატული იქნება მუშათა კლუბების მუშაობა და რკინის გზის ცხოვრება.

პიესა მთავრდება ქორწილის ჩადუშვით, რაც ძველი ტრადიციების ნაყოფია. კარგი იქნება, რომ პიესა თავდებოდეს თანამედროვე არამზადების მოსპობითა და მათი ალაგმვით, ისე როგორც ეს ხდება სინამდვილეში.

საერთოთ „თანამედროვე არამზადებს“ ესაჭიროება გარდაქმნა-გაშალაშინება. პიესის დადგმა დამაკმაყოფილებელი იყო. სცენის მოყვარენიც ხალისით თამაშობდენ. განსაკუთრებული შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებელზე გ. პავლიაშვილის (გეო) და სოხ. გოგაშვილის (მისი ცოლი) თამაშობა.

ი. ჯ—ლი.

მუშკორთა წერილებიდან

წამალი არ იშოვება. ვერის რაიონის ამბულატორიასთან არსებულ აფთიაქში არ იშოვება ისეთი წამლები, რომლებსაც უწერენ ადგილობრივი ექიმები ავადმყოფებს. ჯანმრთელობის განყოფილებამ გამოასწოროს ეს ნაკლი.

მ. ლუარსაბიძე.

ბიუროკრატიზმია, მაშ რა არის. „თემქა“-ს სახელოსნოს საკონფლიქტო კომისიის დადგენილებით ერთ-ერთ მუშას პირველ ნოემბრამდე უნდა მიეღო ხელფასი მე-6 ხარისხით. მაგრამ ადმინისტრაციამ 20 ოქტომბრამდე მისცა, შემდეგ კი ამუშავებს მეოთხე ხარისხში. ამ საქმის გამოსარკვევად მუშას ვერ მიუბედნია გამგესთან, რადგან ეშინია არ მოხსნან სამსახურიდან. ბიუროკრატიზმია მაშ რა არის.

კოშკელი.

ვაწყობთ კლუბს. „ტ.ე.მ.ს.“-ის მუშებში კულტურული მუშაობა დღემდე მოიკოლებოდა. ამჟამად ქარხკომი შეუდგა ყოფ. თამამშევის ქარვასლაში კლუბის მოწყობას, რისთვისაც აღმასკომმა დაუთმო რამოდენიმე დარბაზი. კლუბის მოწყობა მოთავდება ახლო ხანში, რის შემდეგ კულტურული მუშაობა გაცხოველდება.

ტელასის მუშა.

მომჭირნეობას ვერ იჩენს. აღმასკომის ადმინისტრაციის სამნეო ნაწილის უფროსი მოქ. გეგიაძე ვერ იჩენს მომჭირნეობას: ხშირად ერთ თანამშრომელს ორჯერ აძლევს სპეცტანსაცმელს. გარდა ამისა, წინათ აღმასკომის ხარჯზე თავის ბინაზე გაიყვანა ტელეფონი. საინტერესოა ვიცოდეთ რაში ესაჭიროება მოქ. გეგიაძეს ბინაზე ტელეფონი.

ტრენაჟ.

ალმასხური ავირჩიეთ. ამხ. მ. კახიანის სახელობის ქართულ მუშათა ფაკულტეტის მსმენელებმა მოისმინეს მოხსენება ძველი პროფკომის და აირჩიეს ახალი პროფკომი 13 წევრისა და 4 კანდიდატის შემადგენლობით.

შ. კვინტრაძე.

გაადვილეთ დატვირთ.-გადმოტვირთვა. ამიერ-კავკ. რკ. გზ. მთავარ საწყობში ყოველდღიურად აუარებელი ტვირთი მოდის. ამ ტვირთის ვაგონებიდან საწყობებში გადატანა სწარმოებს ძველი წესით. აქ არც ტაჩკები და არც სხვა რაიმე მოწყობილობა ტვირთის გადასაზიდავათ არ არსებობს, რის გამო ხშირად უბედურ შემთხვევებსაც აქვს ადგილი. საწყობის გამგემ ზომები უნდა მიიღოს დატვირთ-გადმოტვირთვის საქმის გასაუმჯობესებლად.

დ. გვაზარელი.

ახალი სარედაქციო კოლეგიები

სუსტი მუშაობა

16 დეკემბერს შესდგა ქალაქის 1-ლი საავადმყოფოს კედლის გაზეთის მუშკორთა საერთო კრება. კრებას დაესწრო 40-მდე მუშკორი. დღის წესრიგში იდგა კედლის გაზეთის მუშაობის ანგარიში და ახალი სარედაქციო კოლეგიის არჩევა.

პირველ საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა სარედაქციო კოლეგის წარმომადგენელმა. როგორც გამოირკვა მოხსენებიდან, სარედკოლეგიის მუშაობა ძალზე სუსტი იყო. მომხსენებელი აღნიშნავდა, რომ მიუხედავათ იმისა, რომ წერილები ბლომად მოდიოდა და იბეჭდებოდა, არავითარი ყურადღება არ ექცეოდა ადმინისტრაციის მხრივ. ამიტომ მუშკორები ჩამოშორდნენ კედლის გაზეთის მუშაობას, რის გამო სამ თვეში ერთხელ ძლივს გამოდიოდა კედლის გაზეთი.

მოხსენების შემდეგ ილაპარაკეს ცენტრ. გაზეთების მუშკორთა წარმომადგენლებმა ამხ. ბოკუჩავამ, ოგანოვმა და ოკუჯავამ. მათ აღნიშნეს კედლის გაზეთის მნიშვნელობა და მისცეს პრაქტიკული წინადადებები კედლის გაზეთის მუშაობის გასაცხოველებლად.

კრებამ ძველი სარედაქციო კოლეგიის მუშაობა ჩასთვალა არადამაკმაყოფილებლად. ახალ სარედაქციო კოლეგიაში არჩეული იქნა 7 კაცი.

უსამშობლო.

ქალთა საქარხნო-საფაბრიკო სკოლა

16 დეკემბერს შესდგა ქალთა საქარხნო-საფაბრიკო სკოლის კედლის გაზეთის მუშკორთა საერთო კრება. დღის წესრიგში იდგა სარედაქციო კოლეგიის მოხსენება კედლის გაზეთის მუშაობის შესახებ და ახალ რედკოლეგიის არჩევნები. მოხსენება გააკეთა ამხ. სახარულიძემ, რომელმაც ვრცლად გააცნო დამსწრეთ რედკოლეგიის მუშაობა. მომხსენებლის სიტყვით კედლის გაზეთის გამოშვება ხდებოდა სისტემატიურად თვეში ორჯერ. იწერებოდა შინაარსიანი და წარმოების ხასიათის წერილები სკოლის ცხოვრებიდან. მიუხედავათ იმისა, რომ ქალებს მუშაობა და სწავლა სხვადასხვა დარგებში, უხდებათ დილის 6 საათიდან საღამოს 10 საათამდე, ისინი მაინც ენერგიულად და სისტემატიურად ეკიდებიან კედლის გაზეთის გამოშვებას. მაგრამ კედლის გაზეთთან დღემდე მუშკორთა წრე არ იყო ჩამოყალიბებული. მუშკორები უკმაყოფილო იყვნენ იმით, რომ მათ ხელმძღვანელობას არ უწევდა პარტორგანო და რედაქცია. მოხსენების შემდეგ ილაპარაკა გაზ. „კომუნისტი“-ს მუშკორთა ორგანიზაციის წარმომადგენელმა ამხ. ბოკუჩავამ, რომელმაც გააცნო კრებას კედლის გაზეთის მნიშვნელობა და მისცა დირექტივები მომავალ მუშაობის ხელმძღვანელობის და რედაქციასთან მჭიდრო კავშირის გასაბმელად. შემდეგ არჩეულ იქნა სარედაქციო კოლეგია შვიდი წევრის შემადგენლობით.

დამსწრე.

მუშათა ბანკი

კავშირების საორგანიზაციო განყოფილებების გამგეთა თათბირმა სხვა საკითხებს შორის განიხილა მუშათა ბანკის დაარსების საკითხი. თათბირმა მუშათა ბანკის დაარსება პრინციპიალურად მიზანშეწონილად სცნო.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, მუშათა ბანკი დაარსებული უნდა იქნას საპაიო ანარიცხებით. პაი ეღირება 10 მანეთიდან 50 მანეთამდე. ყოველ წევრს, შეტანილ პაის მიხედვით შეუძლია სესხად გაიტანოს 10-ჯერ მეტი, ე. ი. ათ მანეთიან პაის მქონე წევრს შეუძლია ბანკიდან სესხად წაიღოს 100 მანეთი, 20 მანეთიან პაის მქონეს—200 მანეთი და სხვა.

პროექტში გამოთქმული აზრით, ბანკის ძირითადი თანხა უნდა შეადგენს სახელმწიფო ერთდროული გრძელვადიანი სესხით. ძირითადი თანხის გასადიდებლად ყველა პროფკავშირმა ბანკში უნდა შეიტანოს თავისუფალი თანხები.

ასეთი ბანკის დაარსების შემდეგ ურთიერთ დამხმარე სალაროები აღარ იქნება საჭირო, ვინაიდან არავინ ისურვებს დარჩეს წევრად სალაროში, რომლის წევრობისათვის დაარსებულია ყოველთვიური გადასახადი და რომლიდანაც სესხის მიღება შეიძლება მხოლოდ მცირე რაოდენობით და ისიც არა ყოველთვის.

მუშათა ბანკის წევრობისათვის კი საჭირო იქნება ერთდროულად პაის შეძენა ხოლო სესხის გატანა მსურველს შეუძლია ყოველთვის.

მუშათა ბანკის დაარსების საკითხი განხილული იქნება ჯერ კიდევ კავშირებში და შემდეგ პროფკავშირთა საბჭოში.

აგრონომიული თათბირი

გურჯაანში შესდგა თელავის მაზრის აგრონომთა თათბირი, რომელიც მოწვეული იყო სახალხო მამულების ტრესტის თაოსნობით. თათბირს დაესწრო მიწსახკომის აგროდახმარების განყოფილების ინსპექტორი ჯაფარიძე.

თათბირმა გამოიმუშავა მაზრაში აგრონომიულ მუშაობის გეგმა. ამ გეგმის მიხედვით წელს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა გლეხობის უზრუნველყოფას ნერგებით და საცდელ საჩვენებელ გლეხურ მეურნეობათა მოწყობის საქმეს.

თათბირმა გადასწყვიტა გურჯაანის და ველისციხის რაიონებში მოაწყოს 24 საცდელ-საჩვენებელი ნაკვეთი მევენახეობის დარგში და 6 საცდ.-საჩვენ. პუნქტი მეღვინეობის დარგში.

თათბირმა აგრეთვე გამოიმუშავა ღარიბეს გლეხობისაგან კოლექტივების მოწყობის გეგმა, რისთვისაც გადასწყვიტა ასეთი კოლექტივებისათვის გამოითხოვოს გრძელვადიანი სესხი.

სახალხო განათლება

თბილისში და მის მაზრაში

თბილისის აღმასკომის განათლების განყოფილების განკარგულებაშია ამჟამად თბილისში: 22 საბავშვო ბაღი, 3 საბავშვო კერა, 1 საბავშვო სახლი, 28 ოთხწლედი, 39 შვიდწლედი, 20 ცხრაწლედი, 6 პროფსკოლა, 1 სას.-სამ. სკოლა, 1 საქარხნო-საფაბრიკო სკოლა, 16 წ.-კ. ლიკვიდაციო პუნქტი, 46 წ.-კ. მცირე [illegible] სკოლა, 3 სამკითხველო, 9 ბიბლიოთეკა, 4 სახალხო სახლი, 1 თეატრი, 1 წითელი კუთხე. და 1 მაღალი ტიპის სკოლა.

თბილისის მაზრაში: 3 საბავშვო ბაღი, 3 საბავშვო სახლი, 170 ოთხწლედი, 11 შვიდწლედი, 2 ცხრაწლედი, 5 პროფსკოლა, 12 გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა 11 ჭრა-კერვის სკოლა, 38 წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა, 5 ქოხსამკითხველო.

1927—28 სასწავლო წელში თბილისის განათლების განყოფილება სწავლა-განათლების საქმეზე დახარჯავს 3 814.933 მანეთს, ხოლო მილიონ მანეთზე მეტს შარშანდელთან შედარებით. აღნიშნულ თანხიდან 249.911 მანეთი დაიხარჯება პოლიტგანათლების საქმეზე. მასწავლებელთა ხელფასის გასასტუმრებლად—3.004.855 მანეთი, ახალი სკოლების ასაგებად—165316 მან., აღბულაღის დამწვარ საბავშვო სახლის აღსადგენად—53.000 მან., 1-ლი საფეხურის სკოლების შესაკეთებლად—10000 მანეთი, 9 და 7 წლედი სკოლების შესაკეთებლად—40.000 მანეთი, ბიბლიოთეკა-სამკითხველოების შესაკეთებლად—16.000 მანეთი.

ამინდი

უკანასკნელ დღეებში ამინდი საგრძნობლად შეიცვალა. საკმაოდ აცივდა და ქრის ძლიერი ქარი.

საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობით, ამინდის ასეთი ცვლილება აიხსნება შემდეგი გარემოებით:

პირველ იანვარს ჩრდილო-დასავლეთიდან შავ ზღვაზე დაეშვა ანტიციკლონი, რამაც გამოიწვია ტემპერატურის დაწევა და ძლიერი ქარი ზღვის ცენტრში. ტემპერატურა იმდენად დავარდა, რომ სოხუმში 7 გრადუსიდან დავიდა 0 გრადუსამდე. 2 იანვრისათვის იქ უფრო აცივდა—ტემპერატურა დაეცა ორ გრადუსამდე ნულის ქვევით. თანაც თოვდა. თოვლი მოდიოდა სოხუმში, ბათომში და ფოთში.

ამ დროს აღმოსავლეთზე იდგა ციკლონი. ციკლონსა და ანტიციკლონის შუა, ატმოსფეროს წნევის სხვადასხვაობამ მთელს ამიერკავკასიაში გამოიწვია ძლიერი ქარები, რომელთაც თან სდევდა ქარბუქი.

ქარის სიძლიერე ფოთში აღწევდა 6 ბალს, გორში—8-ს, მუხრანში—7 და თბილისში—5-ს.

თბილისში სიცივე 2 გრადუს არ გასცილებია; გუშინ დილით იგი ერთ გრადუს უდრიდა. ჰქროდა ძლიერი ჩრდილო-დასავლეთის ქარი. საღამოს ქარი და სიცივე უფრო გაძლიერდა. მტკვრის კალაპოტი იმ ადგილებში, სადაც წყალი უმოძრაოდ იდგა, გაიყინა.

დასავლეთ საქართველოში, ობსერვატორიის ცნობით, უფრო უარესი ამინდია. გარდა ქარისა და სიცივისა ბევრ ადგილებში თოვლიც მოდის.

შავი ზღვის ნაპირებზე

უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში ზღვის ნაპირზე ბათომის რაიონში ძალიან აცივდა. მეორე დღეა მოდის თოვლი, რომელსაც თან სდევს ყინვიანი ქარი. ღამით ტემპერატურა ნოლს სცილდება. ზღვაზე ღელვაა.

[illegible] ქარით, რომელმაც [illegible] შ[illegible] გუშინ სამ იანვარს შუადღით ბათომში ახალი ნურის ბაზრის რაიონში შეიჭრა საშინელი გრიგალი კუდიანი ქარით, რომელმაც დუქნებსა და ალმასკომს მატერიალურ საწყობს გადაგლიჯა რკინის სახურავი და წაიღო ბეტონის მოაჯირი. ბევრ სახლს გრიგალმა გადააძრო კრამიტი. ქარმა სახურავები გადაყარა ასი საჟენის მანძილზე ქალაქის ბაღის სანერგეში, სადაც დაზიანებულია ორი ორანჟერია. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

კუდიანი ქარის დროს ჰაერი არაჩვეულებრივად შეხუთული იყო და საგრძნობლად დაბნელდა. კუდიანი ქარი გაგრძელდა დაახლოებით ათ წუთს.

ქუთაისი

უცნობი კაცის გვამი

31 დეკემბერს ღამის 2 საათზე ქალაქის გარე უბანში წყალწითელაზე იპოვეს უცნობი დასახიჩრებულ მამაკაცის გვამი, რომელიც ხელ-ფეხ შეკრული ეგდო ტომარაში. მილიციამ გვამი გადაგზავნა საბჭოთა საავადმყოფოში, სწარმოებს გამოძიება მოკლულის ვინაობის გამოსარკვევად და ბოროტმოქმედთა აღმოსაჩენად.

ჯიბგირების დაპატიმრება

ბაზარში ჩამოსულ გლეხებს ხშირად აცლიდენ ფულებს, ნივთებს „საგასტროლოთ" ჩამოსული ქურდები. სის. სამ. მილიციის თანამშრ. ამხ. ჭაბუკიანმა 30 დეკემბერს მიაგნო მათ ბუდეს და ყველანი დააპატიმრა.

ქალაქის კეთილმოწყობა

მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმის თანახმად ალმასკომი ამ მოკლე ხანში შეუდგება გაღმა პატარა ყაფანის გადაკეთებას. აშენდება ახალი დარაბები და ფარდული გლეხებისათვის წვიმის დროს თავშესაფარი.

ამჟამად სწარმოებს საბჭოთა საავადმყოფოს საფუძვლიანად შეკეთება, რაიც მოკლე ხანში დამთავრდება. საერთოდ დიდი ყურადღება ექცევა ქალაქის გარე უბნების კეთილმოწყობის საქმეს, განზრახულია გაშენდეს მოედნები და ბაღები.

ქუთაისის სას. სამ. საკრედ. ამხანაგობაში

ქუთ. სას. სამ. საკ. ამხანაგობა დაარსებულია სულ რამოდენიმე თვეა, ამჟამად ის უკვე აერთიანებს 1.000 წევრს. ამხ. აქვს რკინეულების საკუთარი მაღაზია სადაც წევრებს შეუძლიათ შეიძინონ სას. სამ. იარაღები, შაბიამანი, გოგირდი, რკინეულობა და სხვა. ამხანაგობას შეკვეთილი აქვს 61.000 მან. საქონელი "სოფლის კავშირი"-საგან. ამხანაგობამ გააშენა სანერგე ბაღი, სადაც წევრებს შეუძლიათ შეიძინონ, როგორც ვენახის, ისე ხეხილის ნერგები.

კინო

„ვარიეტე" ემილ იანინგსის მონაწილეობით

ამ სურათში მოცემულია ძეტად ცნობილი თემა სიყვარულის და შურისძიების. ძალიან უფრო ნაცნობია სიუჟეტი. აკრობატი ბოს, კეთილი და ოჯახის მოყვარული ადამიანია. მას შეუყვარდება უპატრონო მოცეკვავე ქალი. მიატოვებს კანონიერ ცოლშვილს. მის სიყვარულს დაარღვევს ბოროტად შეჭრილი მესამე პირი. აკრობატი ბოს მეტოქეს ჰკლავს. ეს სადა ამბავი გაშლილია ცირკის ცხოვრების ფონზე.

ბურჟუაზიული მორალი კერძო საკუთრებისა, განვითარებულია ურყევი და დაკანონებული ხაზებით. ქალის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, დაყვანილია მხოლოდ სქესობრივი მნიშვნელობამდე. თუ სხვის ქონებას მიისაკუთრებს ვინმე, ბურჟუაზიული საზოგადოებრივი შეგნებით, მესაკუთრეს უფლება აქვს მოკლას ქონების (ქალი გაგებულია როგორც ნივთი) მიმთვისებელი. ბოსიც ასე მოქმედობს. სინამდვილეში იგი მოკლებულია ადამიანურ მორალს, მაგრამ სურათის მიზნობრივი გაშლით, იჩრდილება კაპიტალისტური წყობილების დამპალი ძირი: საკუთრების შენარჩუნება უხეში ძალმომრეობით.

ამიტომ არის, რომ სისხლის სამართლის ბოროტმოქმედება ისეთ მიმზიდველ ხაზებშია მოქცეული, რომ მაყურებელი მკვლელის მხარეზეა. ბოროტმოქმედების მეორე მხარე: ოჯახის მიტოვება და საყვარლის უსულო ნივთად გარდაქმნა შეუმჩნეველი რჩება. ჩვენი მაყურებლისათვის, ამ სურათში მთავარია დადგმა და დიდი მსახიობის ემილ იანსის (ბოს) თამაში. ამ მხრივ „ვარიეტე" სრული გამარჯვებაა კინო ტეხნიკის და ემილ იანინგსის შეუდარებელი აქტიორული ნიჭის.

იანინგსის ყოველი მოძრაობა, განცდის გადმოცემა და ხასიათის მხილება, მოკლებულია თეატრალობას. მხოლოდ დიდ აქტიორს შეუძლია რამოდენიმე წუთით ერთსა და იმავე მდგომარეობაში დარჩეს და არ შეასუსტოს მაყურებლის ყურადღება. ასეთი წუთები სურათში მრავალია და იანინგსი ყოველ წუთში შეუდარებელი ოსტატობით ჰქმნის ბუნებრიობას.

ასეთი ბუნებრიობით, მაყურებლისათვის ეკრანი ისპობა და მისი ხედვა მთლიანად გადადის განცდაში.

რეჟისორ დიუპონის მიერ სრულიად ახალ წერტილებიდან დანახული საგნები და მოძრაობა ცირკის ძველ და ბევრჯერ ნახულ ტრიუკებსაც კი აახლებს.

სცენების მიზნობრივი დამუშავება მოკლებულია ტრაფარეტს. სურათში არ არის არც ერთი ზედმეტი დეტალი. ყოველი მოძრაობა მოხაზულია იმპრესიონისტული მანერით. დიდი ოსტატობით არის გაკეთებული არტინელის სიკვდილი. მონტაჟის ზომიერი თანამიმდევრობა ასრულებს მასალის დინამიურ დამუშავებას.

გ. გ—ნი.

ცოცხალი ჭადრაკი

ცოცხალი ფიგურებით ჭადრაკის თამაში საბჭოთა კავშირში შემოიღეს ამ ორი წლის წინეთ. ამჟამად ის ერთ საუკეთესო მასიურ სპორტად არის აღიარებული. ჩვეულებრივ ფიგურების მოვალეობას აქ ასრულებენ შესაფერ ტანისაცმელებში გამოწყობილი სპორტსმენები: ჯარისკაცები და მხედრები. ბრძოლა იშლება 64 კვადრატად დაყოფილ მოედანზე. სადაც თითოეული ფიგურა თავის სვლას აკეთებს მოპირდაპირე მოჭადრაკეთა სურვილების მიხედვით. მოპირდაპირე მოჭადრაკენი კი თამაშობენ ჩვეულებრივ დაფაზე. მათ მიერ გაკეთებულ სვლებს იმეორებენ ცოცხალი ფიგურები. თუ რომელიმე ფიგურა ბრძოლაში დაეცემა, ის სტოვებს მოედანს და გარედან უცქერის, როგორც მაყურებელი. თამაში გრძელდება რამოდენიმე საათს და თავდება იმ მოჭადრაკის გამარჯვებით, რომელიც ტყვედ ჩაიგდებს მოპირდაპირის „მეფეს". პარტიის უშედეგოთ დამთავრება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მოპირდაპირე ძალები თანასწორნი არიან და ერთმანეთს უთანხმდებიან პარტიის უშედეგოთ დამთავრებაზე.

ამა წლის 2 იანვარს ცირკ „კოლოსში" გაიმართა მოჭადრაკეთა პირველი არტისტიული მატჩი. ცოცხალ ფიგურების მოვალეობას აქ ასრულებდენ სახელმწიფო ოპერის, თბილისის რუსული თეატრის, ცირკის და „თემინიატის" მსახიობები. მატჩი გაიმართა თბილისის ჩემპიონ გოგლიძის და მაესტრო სარიკინს შორის. თეთრებით თამაშობდა სარიკინი, შავებით—გოგლიძე. თამაშის მხრივ მატჩი მოკლებული იყო ინტერესს, რადგან მოპირდაპირე მხარეებმა ბრძოლის დასაწყისშივე ძირითადი ფიგურების გაცვლის ტაქტიკას (ლაზიერი ბრძოლაში დაეცა მეექვსე სვლაზე). ყველა მთავარი ფიგურები: ეტლები, მხედრები, (ცხენები) და კუები მოპირდაპირეებმა მეათე სვლამდე გაცვალეს და თამაში მიატოვეს იმ დროს, როცა ჭადრაკის დაფაზე მათ ჰყავდათ შვიდ-შვიდი პაიკი, თითო მხედარი და „მეფე".

საერთოდ, აღნიშნული შეჯიბრი არტისტულ ძალთა დემონსტრაცია უფრო იყო, ვიდრე მოჭადრაკეთა ნამდვილი „ბრძოლა", სამაგიეროთ საინტერესო იყო „ბრძოლაში" დაცემულ „ფიგურათა" (მსახიობთა) გამოსვლა. ის „ფიგურა" (მსახიობი), რომელიც სტოვებდა „ბრძოლის" ველს ასრულებდა თავის რეპერტუარს. განსაკუთრებით ინტერესი გამოიწვია იმიტატორ ნადიროვის ნომერმა. კარგი იყო მისი იმიტაცია გრამოფონის ხმისა, ძაღლების ჩხუბისა და შეშის ხერხვის. არტისტი ძალიან მოხდენილად ბაძავს ცხოველებს ხმაში. საინტერესო იყო აგრეთვე ლენინგრადის მოცეკვავე კრავჩენკოს და თბილისის ცირკის არტისტების—ლოგროვების გამოსვლა.

ვ. უ—ი.

უპატრონო ბავშთა სამდღიურის შედეგები

18, 19 და 20 ნოემბერს ჩატარებულ უპატრონო ბავშვთა სამდღიურის დროს ყულაბებით შეგროვდა სულ 2 478 მან. 45 კაპ., ყვავილების გაყიდვით — 24 მან. 09 კაპ., ღია ბარათების გაყიდვით — 74 მან. 73 კაპ., ხელის მოწერით — 271 მან. 53 კაპ., საგნების შემოწირულებით — 43 მან. 07 კაპ., საქველმოქმედო საღამოებიდან — 223 მან. 25 კაპ., ლატარეიდან — 25 მ. 30 კაპ., ლოტოს საპროცენტო ანარიცხები — 1.063 მან. 70 კაპ., ამერიკული „ტიუკების" გაყიდვით — 1.778 მან. თბილისის ალმასკომის მიერ შემოწირულია ისტორიული მნიშვნელობის ნივთები, რომლებიც დაფასებულია 1.000 მან. გარდა ამისა გაუსაღებელია ამერიკული „ტიუკები" — 1.500 მან. ღირებულების.

სამდღიურის მთელი შემოსავალი უდრის— 8.482 მან. 12 კაპ. ხარჯები — 387 მან. 79 კაპ.

ამრიგათ სამდღიურის წმინდა შემოსავალი უდრის — 8.094 მან. 33 კაპ.

პროფგანათლება

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილებამ სახ. მეურ. უმაღლეს საბჭოსთან არსებულ პროფტექნიკურ განათლების ფონდების განმანაწილებელ საუწყებათაშორისო კომისიიდან გამოითხოვა 67.000 მანეთი კვალიფიციურ მუშა-ხელის მოსამზადებლად.

ზემოთ აღნიშნულ თანხიდან პროფგანათლების კურსების მოსაწყობად, ალმშენებელთა კავშირთან გადაიდება—30.000 მანეთი, სურსათ-გემოვნების კავშირთან—5.000 მანეთი, მბეჭდავთა კავშირთან—5.000 მანეთი, მელითონეთა კავშირთან—4.000 მანეთი, ხოლო კომუნალურ მეურნეობის კავშირთან პროფგანათლების კურსების მოსაწყობად— 3.000 მანეთი.

პროფგანათლების კურსებზე უმთავრესად იწარმოებს მოზარდ მუშების მომზადება.

რკინის გზებზე

ზაჰესის ენერგიაზე.

ამ დღეებში ა.-კ. რკ. გზ. თბილისის მთავარ სახელოსნოებში დამთავრდება მუშაობა 300 ძალიან ტრანსფორმატორის დასადგმელად. ტრანსფორმატორის დადგმა საშუალებას მისცემს სახელოსნოებს ზაჰესის ენერგიაზე გადაიყვანოს ჩარხების დიდი ნაწილი. ზაჰესის ენერგიაზე გადასვლის შემდეგ აღარ იქნება საჭირო არსებულ პატარა სადგურების მუშაობა.

ახალი ცისტერნები.

ნიკოლაევიდან ა.-კ. რკ. გზ. გზებზე გამოგზავნილია 30 დიდი ცისტერნა.

[illegible] კონსერვების გადაზიდვა

გორიდან მოსკოვში კონსერვების გადაზიდვის საქმე მოწესრიგდა. ამ დღეებში გაიგზავნა ორი ვაგონი კონსერვი.

ბიბლიოგრაფია

პროლეტარული პოეზიის ანტოლოგია. — ბ. ბუაჩიძის რედაქციით

ქ. თბილისი. 1927 წელი.

ანტოლოგიაში წარმოდგენილია პროლეტარული პოეზია. მისი დაწყების სათავეები და თანამედროვე სახე. ანტოლოგია იხსნება ბ. ბუაჩიძის შესავალი წერილით. ავტორი სამართლიანად შენიშნავს, რომ „საქ. პროლეტ. პოეზია კლასიურად სავსებით დახვეწილი პოეზია არ არის"-ო. ეს ალბათ იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ პროლეტარული პოეტები ძველი სოციალური და პოლიტიკურ ტრადიციათა გავლენისაგან არ განთავისუფლებულან სავსებით. მაგრამ ერთი ფაქტი მაინც რჩება ურყევად: საქართველოს პროლეტარული პოეზია თვითდამტკიცების და ლიტერატურულად გამარჯვების ბრძოლებს იძლევა. შეიძლება დამამდვილებით ითქვას, რომ ასეთი პერსპექტივის საბუთები დამაჯერებელი ტონისაა.

ანტოლოგიაში თანამედროვე პროლეტარულ ყურადღებას იპყრობენ: ქ. ლორთქიფანიძე: მისი ლექსები ხანდახან მხატვრული უბრალოებით ხასიათდება. პროლეტარულ პოეტის მახასიათებელი თქმა არის:

„ათას აბაშელს, ათასს მერანს გვაცვლიდით მაშინ
თითო მეომრის ხმალის მარჯვე შემოქნევაზე"
(იხ. „წერილი ნ. ჩიკვაძე")

მას აქვს ახალი რითმაც: კარგი იქნებოდა მოეთავსებიათ ლექსი „სიკვდილი". საერთოდ მის ლექსებს აქვს კულტურა და მხატვრული გემოვნება.

ა. მაშაშვილი. მისი „ლენინ" საუკეთესო ლექსად დარჩება ქართულ პოეზიას. ავტორს თავისუფლად ეხერხება პოეტური სახეების შექმნა:

„რათ არ ვარ მზეცი შეგახო ტანზე სიცოცხლე
როგორც დაჩხიე დამნაჯული შენი ბარათი"
(იხ. „პასუხი მოგონებას")

ხოლო იგივე „პასუხი მოგონებას" და ლექსები „ზაჰესზე" სახეებით არის დამძიმებული. ამიტომ ლექსები თავისუფლად და დინამიკით არ იშლება. საჭირო იყო მეტი სიძუნწე, სახეების შერჩევაში.

ქ. კალაძე პროლეტ. პოეზიის პირველ პოზიციებზე მდგარი პოეტია. ანტოლოგიაში შეტანილი ლექსების ინსტრუმენტოვკა ბ. პასტერნაკის გავლენას ატარებს. ლექსებში მოცემულია მაგარი ბგერები, ახალი მეტრი და თქმები. კარგად არის თქმული:

„ქარში კი, როგორც სისხლიანი ლომის ფაფარი
წამოიშალენ ბრძოლის ფერი დროშები უკვე"
(იხ. „ოქტომბერი".)

ხოლო: „მკერდ გახსნილ ველზე მზის სხივების ცეკვა ხახელებით.
(იხ. „პირვანდელი")

საოცარი სახეა. მისი „მხედრული" არა ინდუსტრიალური ლექსია. ბუნების სახეებიდან მებრძოლი კლასის გამოსული პათოსის შექმნა მხატვრულად ყალბია და მიუღებელი.

ხ. ჟული: მისი ლექსი „თებერვლის ღამე და გათენება" შაბლონიურია. მაგ.

„ამხანაგებო! მზე ამოდის—დღე გვითენდება
წითელ დროშების ხეივანში მზე ელვარებდა"

სრულიად გაუგებარია. ხ. ჭოთაწმინდელის პროლ. პოეტად გამოცხადება. მისი „მარში", რომელიც „ტრამ, ტა, რა"... და „ტრახ, ბუმ, ბატიათ" სავსე პოეტურ ნაწარმოებათ არ ჩაითვლება. გარდა ამისა საოცარი რითმების სმარება იცის: „მჭყობრი: ტაფ, ტაფ.—დამენით: თაფ, თაფ". საერთოდ ის არ უნდა შესულიყო ანტოლოგიაში.

ნ. ზომლეთელი. მისი „დედის წერილი" ესენინის გავლენით არის დაწერილი. გავლენა ნაყოფიერი გამოდგარა. „თბილისი—ბოლშევიკებში" თბილისს ასე ახასიათებს: „ზმირად მეფურ პორფირითაც შეიმოსები". ასეთი სახეებით რევოლუციონური თბილისის ათვისება კურიოზულია. ლექსი „ქალაქი" ქალაქს ნაკლებად ახასიათებს. მას უფრო ეხერხება სოფლური ყოფა-ცხოვრების აღწერა.

ი. ვაკელი: ამ პოეტს ერთგვარი სიძნელე აქვს, სახელდობრ: ინდუსტრიალური ქვეყნის მოვლენები. შედარებით კარგად არის ლექსი „შუადღე ქარხანაში". მაგრამ მიუღებელია ასეთი შედარებები:

„მანქანა სდგას, როგორც ჰადარი" (იხ. „ქარხანაში".)

შედარება აღებულ უნდა იქნეს იმავე საშუალოდან და ამიტომ მანქანის სოფლურ ატრიბუტებთან შედარება პროლეტარულ პოეტს არ ეპატიება. ლექსი „ზაჰესზე" კონკრეტიულობას მოკლებულია. საჭირო იყო მეტი დინამიკა და სახე.

ვ. ხაზნიძე: ამ პოეტს ოქტომბრის რევოლუციის მხატვრულად ათვისება ასეთ ხაზებში აქვს მოცემული:

„ოქტომბრის ღამეს მეხი გავარდა
. . . . .
მთელ ქვეყანაზე გაგარიბალდდა"
(იხ. „ოქტომბრის ღამე")

გარიბალდი იყო იტალიის გამაერთიანებელი და დიდი პატრიოტი. მისი ბურჟუაზიული პატრიოტობისათვის ბრძოლა და ოქტომბრის რევოლუციის მეხი, იდეოლოგიურად შეუთავსებელი სიდიდეებია. ამიტომ მათი მხატვრულად შედარება არ უნდა მომხდარიყო. არც კიდევ ასეთი სახე:

„დიდმა ქარხნებმა სისხლის დამდენი
იცვნეს ბელადით კაი-გრაკხები"
(იხ. „ქარი ოქტომბრის ღამით").

ანტიურ ქვეყანაში კაი-გრაკხებმა აგრარული რევოლუცია მოახდინეს. ხოლო თანამედროვე მუშათა კლასის კაი-გრაკხებათ გამოცხადება, ყოვლად მიუღებელია. ყოველივე ეს მაჩვენებელია იმისა, რომ პოეტს არ აქვს საკმაო ლექსიკონი და გემოვნება.

გ. შინატეხელი: მუშა პოეტია. მისი წერის მანერა ძველებურია. მისი ლექსები პოეტურ კულტურის გარეშე მდგარია. მაგრამ ყოველი ლექსი გამბარია ოპტიმიზმით და მუშური სიხარულით.

შ. ნავთლუღელი: ესეც მუშა პოეტია. თქმები, მეტრი და მანერა ძველებური აქვს. ის ახლო იცნობს მუშის ყოფას. მის მუშაობას და განწყობილებას. ამის მაგალითი:

„ღამე მარტოკა დავრჩით მე და ჩემი მანქანა"
. . . . .
ცხიმს არ ვაკლებდი, ლამის მეც ზედ ვუვლისებოდი"
(იხ. „მემანქანის სიმღერა").

გარდა ამისა ანტოლოგიაში მოთავსებულია გ. ხეჩუაშვილი, ს. ხ დისთაველი. ქ. ფეოდოსიშვილი და სხვა, რომლებიც კრებულს ტონს აძლევენ. ანტოლოგია კარგადაა გამოცემული, ღირს 1 მანეთი. სასურველია მუშათა მასებში მისი გავრცელება.

ვ. ქ—ძე.

ფიზკულტურა

ინსტრუქტორების კვალიფიკაციის ამაღლება

საქართველოს ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს ინიციატივით, 15 იანვრიდან 1-ლ თებერვლამდე ჩატარებული იქნება ფიზკულტურის მასწავლებელთა და ინსტრუქტორების კვალიფიკაციის ამაღლება; ამ მიზნით მასწავლებლები და ინსტრუქტორები უნდა გატარდენ სპეციალურ კომისიაში, რომელსაც სხდომები ექნება ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოში ყოველ დღე საღამოს 5—8 საათამდე.

სიები, თუ ვინ როდის უნდა გამოცხადდეს, გამოკრული იქნება 10 იანვრიდან სამ ადგილას: ფიზკულტურის თბილისის საბჭოში, პროფსაბჭოს ფიზკულტურის ბიუროში და განათლების სახალხო კომისარიატში.

გამომცდელ კომისიაში შედიან: გ. მერკვილაძე, კიკნაძე, ეგნატაშვილი, ერგერდტი, ჩიკვაიძე, ექ. მღებრიშვილი, თამარა ნიკოლაძე და ინსტრუქტორების საერთო კრების ერთი წარმომადგენელი.

კომისიის გარდა გამოყოფილი იქნება ცალკე სექციები.

გამოცდა ჩატარდება ოთხ ძირითად დარგში: პედაგოგიური ტანვარჯიში, სხვადასხვა სექციების ცოდნა (კალათბურთი, ფეხბურთი, მძლეოსნობა და სხვა), ჰიგიენა, ფიზიოლოგია და საექიმო კონტროლი და პოლიტიკური ანბანი.

ოფიც. განყოფილება

დადგენილება № 102

სრულიად საქართ. საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 90 მუხლისათვის მე-3 შენიშვნის დამატებისა და ამავე კოდექსის 285 მუხ. რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მეორე მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლ. მარტის 10-ს თარიღისა და 77 №-რის დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 90 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის შენიშვნა:

„შენიშვნა: 3. სახელმწიფოს შეკვეთით ნარდათ მუშაობისა და გაყიდვა-მიწოდების ხელშეკრულების შესრულების საწინდარით უზრუნველყოფის წესი განისაზღვრება სახელმწიფოს შეკვეთით ნარდათ მუშაობისა და გაყიდვა მიწოდების დებულებით (ს.ს.რ.კ. კან. კრ. 1927 წ. 28 №-ით, მუხ. 292).

2. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 235 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 235. ნარდათ მუშაობას, როდესაც შემკვეთი სახელმწიფო ორგანოა, შეეფარდება სახელმწიფოსათვის ნარდათ მუშაობისა და გაყიდვა მიწოდების დებულების წესები (ს.ს.რ.კ. კან. კრ. 1927 წ. 28 №-ით, მუხ. 292").

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე—**ს. თოდრია.**

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე—**ს. ჯუღელი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი— **შ. მათიკაშვილი.**

1927 წელი, ნოემბრის 30.
თბილისი—სასახლე.

პარტიული კალენდარი

საქართველოს კ. პ. (ბ) ლენრაიონის მ.-ვ. ქალთა შორის მომუშავე განყოფილება იუწყება, რომ ხვალ, 5 იანვარს, საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება ქალ-ორგანიზატორების თათბირი.

ყველა ორგანიზატორების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

თბ. სამაზრო პარტთათბირი გაიხსნება 5 იანვარს, დილის 10 საათზე ალმასკომის დარბაზში. მაზრებიდან ჩამოსული ამხანაგები მოწვეული არიან დღეს აქტივის კრებაზე. ბილეთების მიღება შეიძლება თემკომების მდივნებთან.

საქართველოს ახალ. ლ.კ.კ. თბილისის ორგანიზაცია იტყობინება, რომ მეორე რაიონის მეთერთმეტე რაიონული კონფერენცია გაიხსნება 6 იანვარს, დილის 10 საათზე ავტოკლუბის შენობაში (პლეხანოვის პროსპ. ნომერი 129).

ამიერ-კავკ. საქ. კომ. პ. (ბ) მეხუთე მოწვევის საოლქო კომიტეტის წევრებს: ამხ. ა. ბახტაძეს, მარდენაშვილს, ა. დგოიანს, ზანთარიას და ფილ. მგალობლიშვილს (მუშებია) სთხოვენ შეატყობინონ მათი მისამართი ამიერ-კავკ. საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმის ბიუროში.

საქართველოს ახ. ლ.კ.კ. თბილისის კომიტეტის საკონფლიქტო კომისია სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ, 4 იანვარს თბილისის კომიტეტში ამხ მალალაშვილთან არტემ სარიევი, ივანე მოროზოვი, მესამე რაიონის მრეწველთა კომკავშირის მეცხრე უჯრედის მდივანი და მეოთხე რაიონის საბჭოთა სავაჭრო მოსამსახურეთა კომკავშირის უჯრედის მდივანი.

სოციალ-ეკონომიურ ფაკულტეტთან არსებულ 3 და 4 კურსის ა ლ.კ.კ უჯრედის საერთო კრება შესდგება დღეს, 4 იანვარს, საღამოს სრულ 7 საათზე.

წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

მედიკო-მუშაკთა სექცია თავის უმუშევარ წევრთა საყურადღებოთ აცხადებს, რომ ყაზახში (აზერბეიჯანში) საჭიროა სამი [illegible] და. ჯამაგირი 35 მან. ბინა უფასოა. საგზაო ხარჯები მიეცემა შრომის ბირჟაში.

რკინისგზელთა კოლექტივის ლიკვიდაცია

შრომის ბირჟის მთავარმა კომიტეტმა გამოჰყო კომისია 4 კაცის შემადგენლობით, რკინის გზის კოლექტივის „ელდორადო"-ს ლიკვიდაციის მიზნით. კომისია ორი კვირის განმავლობაში ჩაატარებს საბოლოო რევიზიას აღნიშნულ კოლექტივში.

რადიო-გადაცემა

ოთხშაბათი, 4 იანვარი

დღეს, 4 იანვარს, საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებული [illegible] მოწყობილი იქნება:

მასწავლებლების მონაწილეობა საბჭოების გადარჩევაში—ქართულ ენაზე.

კოოპერაცია და სახელმწიფო ვაჭრობა საქართველოში—რუსულ ენაზე.

მუშათა გაზეთი „მუშა".

რადიო-მიღწევები—რუსულ ენაზე.

საუბარი რადიო-ტეხნიკაზე—ქართულ ენაზე.

ობსერვატორიის ცნობა.

პიანისტ ბოროვსკის კონცერტის ტრანსლიაცია.

ამ.-კავ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

დამწუხრებულნი მეუღლე ქრისტინე გიორგის ასული, შვილები: მიხეილი, ნესტორი, მარიამი, იულია და ნინი, რძალი ნიოლინა იოსების ასული, სიძე ვალერიან დავითის ძე გოგიბერიძე და შვილის შვილები: ლია, მედეა და ვარო იწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ საყვარელ და დაუვიწყარ
ივანე ვასილის ძე მეგუკის
გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება 5 იანვარს ქ. ხონში. (შ)

მარიამ ივანეს ასული და მეუღლე მისი ვალერიან დავითის ძე გოგიბერიძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ გარდაცვალებას საყვარელ მამისა (პირველისა)
ივანე ვასილის ძე მეგუკის
რომლის დაკრძალვა დანიშნულია 5 იანვარს დღით ხუთშაბათს ქ. ხონში. (3)

საჭილოთუს ხე-ტყის სახერხი ქარხნის მუშა-მოსამსახურეები მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს ამავე ქარხნის თანამშრომელი
მიხაკო გიორგის ძე გრიგოლიას
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება 1928 წლის 5 იანვარს, ხუთშაბათს, ნაშუადღევს 4 საათზე, გასვენება საკუთარ სახლიდან, სოფ. მე'ამე ილორში 964

ღრმად და წუხრებული შვილები: მექი და გიორგი მიხეილის ძენი, მარიამ, ნუ ა და ასიჩკა მიხეილის ასულნი, სიძე: დიმიტრი ემუხვარი, რძალი: იულია ჩიკვაიძისა, შვილისშვილები: ლადიმერ, გივი, ედეია და მერი, დები: ირინე და ფედოსი ლოლობერიძის ასულნი, ძმისშვილები: დავითი, ნესტორი და ზურაბი ლოლობერიძეები და დისწული: ცუცუა შუბლაძის ასული აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 1927 წ. 28 დეკემბერს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი
ფატმან ზურაბის ასული
ჩიკვაიძისა
რომლის გამოსვენება მოხდება ხუთშაბათს იანვრის 5-ს დღის 3 საათზე ქუთაისში, 26 კომუნართა ქუჩა № 11. დაკრძალვა მოხდება ოლასკურის სასაფლაოზე. 968

ღრმად დამწუხრებული დეიდები: ოლია ბულბუთაშვილი და ეფემია თურქესთანიშვილისა, დეიდაშვილები: მარო, ბაბულია, ნინო და თამრო თურქესთანიშვილები დავსტირით ძვირფას ნათესავს
თამარ ალექსანდრეს ასულ
გიგაურის
უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება სიმონოვის ქ. № 16. 4 იანვარს, დღის 2 საათზე, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 969

სახელმწიფო ოპერა
ხუთშაბათს, 5 იანვარს, დ. არაყიშვილის ახალი ორიგინალური ქართული კომიკური ოპერა
სიცოცხლე-სიხარულია
მონაწ.: დანელიანი, მ-ყაშვილი, კავსაძე, შარაშიძე, დემიანენკო
დირიჟორობს სახ. არტ. ი. პ. ფალიაშვილი.
პარასკევს, 6 იანვარს, ურიელ აკოსტა
შაბათს, 7 იანვარს, ტრუბადური
ნ. 437 2—1

აპოლო | სოლეი | არფასტო | დარვაზი

მსოფლიოში განთქმული ხატვრული სურათი
„ვარიეტე"
მთავარ როლებში:
ლია-დე-პუტი და ემილ იანინგსი
რეჟისორი დიუპონი

დადგმის მე-2 კვირა
მხატვრული შედევრი
მონტე-კარლოს
ალიასრული
მთავარ როლებში:
ფრანჩესკა ბერტინი
და ჟან ანჟელო

„სამღვთო ბრილიანტი"
3 და 4 სერია ერთად
მთავარ როლში:
პირლ უაიტი

ანონსი: საქართ. სახკინმრეწვის უახლოესი გამოშვება „მთის კანონი"

ცირკი „კოლოსი"
ტელ. 8—64
ოთხშაბათს—4 და ხუთშაბათს 5 იანვარს
საახალწლო სანახაობანი
ფართო გაახლებული პროგრამით ყველა ატრაქციონები!!
ჟანრის ყველა სახეები
3 განყოფილება 14 ნომერი დამსახურებულ არტ. ძმ ტანჯების მითაურობით დასაწყისი საღ. 8½ საათზე
ანონსი: ჟიურობა ძ. ტახტაძის სალამი
ყოველ დღე ჩამოდიან ახალი ატრაქციონები
დირ. ი. ზ. ... რეჟისორი ... ადმინისტრატ. მ. ...
ნ. 430 3—1

თბილისის ქალაქის ლომბარდი
(კეცხოველის ქუჩ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას, 8 იანვარს, დილის 10 საათზე დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ვადა გასულ გირაოებისა. გასასყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში ნ. 436

1. ბ ქოდან დაბრუნდა და მსგავსად ... წლებისა (პრაქტიკა 1910 წ.
მათემატიკის მასწავლებელი
ი. მაჩაიძე
ამზადებს სამხედრო აკადემიაში, უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელ გამოცდებისათვის და 9 წლედის მოწმობაზე, და ასწორებს სუსტ მოწაფეებს აგ. აქ ერთ რუსული ენა გაკვეთილები პლეხანოვის ქუჩა № 25 შესავალი კუთხიდან: ალექსის ქ. № 5), 2—7 საათ. კვირა უქმე დღეებში 9—12 3—5. 10—3

ქიმი მეგრაბიანცი
... და ბულის სნეულებანი
... საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა
ხელოვნური მთის მზე. იონნოთერაპია. მიღება ყოველდღე დილ 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩა 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 8—12 დილ. 7—8 საღამ.
პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნოვ ..." ტელ. 12—5

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
სხივებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3და 6—8 საათ. თბილისი. ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი
ი. დ. თოფურიძე
მოსკოვის ქუჩა № 7
იღებს ავადმყოფებს (კანის, ვენერიული და სიფილისით) დაავადებულებს, აგრეთვე სასქესო ორგანოთა დაავადებით მკურნალობა გამოწვეული მწვავე და ქრონიკული გონორეით
მიღება საღამოს 5—8 საათამდის.
ნ. 25—1

სახელმწიფო გამომცემლობა

მოითხოვეთ ახალი წიგნები
1) საკავშ. კომპარტიის (ბ) ც. კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში. (ამხ. ი. სტალინის მოხსენება) ფასი — 40 კაპ.
2) საკავშ. კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონ. კომ. და მუშ. გლეხ. ინსპექციის მუშაობა (ამხ. ს. ორჯონიკიძის მოხსენება) ფასი — 80 კაპ.
3) Ф. МАХАРАДЗЕ. Советы и борьба за советскую власть в Грузии. გვ. 870, ფასი — 2 მან.
ნ. 429

სახელმწ. სახ. მუსიკ. სასწავლებლები
მოწაფეთა მიღება ფორტეპიანოს, სოლოს სიმღერის, სკრიპკის და ვიოლონჩელის კლასებში სასწავლო წლის მეორე ნახევარში დაიწყება 1928 წლის 9 იანვარს
კანცელიარიებში:
1-ლი სახ. მუსიკ. სასწავ. — კეცხოველის ქ. № 6.
მე-2 „ „ „ ალექსანდრეს ქ. № 5.
მე-3 „ „ „ კალინინის (ყ. ნიკოლაევის) ქ. № 83.
მე-4 „ „ „ კურსანტების (ყ. კადეტის) ქ. № 6.
მე-5 „ „ „ მოსკოვის ქ. და კურსკის შეს. კუთხე (შესავალი კურსკის შესახვევიდან № 2).
972 2—1

ბათომის აღმასკომის კომუნალური განყოფილება 1928 წლის 6 იანვრისათვის, დღის 12 საათზე ბათომის აღმასკომის დარბაზში
ნიშნავს საჯარო ვაჭრობას
რომელზედაც იჯარით გაიცემა, ქვაფენილის დაგების სამუშაო—ხრეშით—ქ. ბათომში, არტილერიის გზატკეცილზე.
პირობებისა და ხარჯთ-აღრიცხვის გაცნობა შეიძლება სამუშაო დღეებში დილის 9 საათიდან დღის 2 საათამდე სამშენებლო ქვე-განყოფილებაში (ოთახი № 13), სადაც აგრეთვე საჯარო ვაჭრობის დაწყებამდე მიიღება განცხადებები დაბეჭდილ კონვერტში.
კომუნალურ განყოფილების გამგე ჯ. ფაღავა.
სამშენებლო ქვეგანყ. გამგე მ. ს მ ოპიძე.
ნ. 425 3—1 საქმის მწარმოებელი ტუღელაშვილი.

დაკარგვა განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი ილია აბრამის ასულ ბიტინიშვილის სახელზე. № 23451. 967

დაკარგვა პირადობის მოწმობა № 1897 და სამხედრო საარიცხვო ნუსხა არონ ზურაბის-ძე კუნქულიას სახელზე. ჩ. გ. 966

ექიმი ჯალალოვი
დაბრუნდა და განაახლა ავად მყოფების მიღება
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. კორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—7

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი სნეულებანი.
სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფ. ნაბერეჟნაია) ვერისხიდთან. ტელ. № 15 № 07—8

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე — სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპა" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი (ყ. პლეხანოვის შესახვევი) № 8.

ექიმი
იონა გაბიჩვაძე
პლეხანოვის მიხაილოვის) პროსპექტი 65 ვენერიული და კანის ავადმყოფობანი სიფილისი და მისი შედეგები. დილით 7—8 ნახ. ს. საღამოს 5—8 ს. 25—1

მოქალაქეთა და სახელმწიფო კოოპერატიულ და სხვა დაწესებულებათა
საყურადღებოდ
საქ. სახელმწიფო ვაჭრობის სააქციო ამხანაგობამ
გახსნა
მინების ჩამსმელი კანტორა
მიიღება შეკვეთები (იჯარით მინების ჩასასმელად ბინებში, მაღაზიებში, ფაბრიკებში და ქარხნებში უბრალო სახვერად თეთრ, ბემის და სარკის ყველა სიდიდის მინისაგან (დიდ მუშაობის დროს შეკვეთები მიიღება პროვინციებშიაც).
მინა მიეცემა ბითუმად მხოლოდ სახელმწიფო, კოოპერატიულ ორგანიზაციებს და საბინაო საიჯარო ამხანაგობებს ძლიერ ფასდაკლებით.
ცნობების მისაღებად უნდა მიმართონ: თბილისი საქართველოს სახელ. ვაჭრობის სააქციო ამხანაგობის მინების ჩამსმელი კანტორა (ყოფ. თამამშევის ქარვასლა), დარაბა № 30230 როზა ლუქსემბურგის მოედნის მხრივ, ან საქართველოს სახელმწ. ვაჭრობის სააქციო ამხანაგობის გამგეობა, თავისუფლების მოედნის მხრივ, ტელ. № 18—94.
მისამართი დეპეშებისათვის:
ნ 427 თბილისი გრუზგოსტორგი „მინების ჩასმა"

ექ. ს. ი. ვოლოხი
ქალთა სნეულებანი და ბებიობა მიღება საღამოს 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა ბელგიის ქ. № 5 რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის) ახლოს. ტელეფონი 10—80. 25—1

მედიც. დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.
დილით 9—12 ს., საღამ. 6—8 საათზე, პლეხანოვის პროსპექტი № 7, შესაკალი კუთხიდან ხარიყალის ქ. № 1.) 25—1

ექიმი
პ ი მგალობლიშვილი
სპეციალობა: კანის და ვენერიული დაავადებანი ათაშანგი
ავადმყოფების მიღება: დილით 8—9 ს. საღამოთი 5—7 ს. ლენინის ქუჩ. № 3. ყ. მელიქ-ზ რიანცის სახლი) ბინა № 2. 25—1

ექ. თოდაძე
დაბრუნდა საზღვარ გარედან და განაახლა ავადმყოფების მიღება. სპეც. უროლოგია (თირკმელები, საშარდე ბუშტი, სასქესო ორგანოები და სხვა) ქირურგია. ცისტოსკოპია. დიატერმია ახალი კაბინეტი. მიღება 5—7 საათამდე ბელგიის ქ. № 1. 13—1

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის სისხლი (სინები, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები.
ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 25—1

ექიმი
არს. ს. ვადაჭკორია
ღებულობს ავადმყოფებს დილობით 9—12 საათამდე, საღამოთი 4—6 საათამდე.
ლენინის ქ. № 35, ყოფ. ოლღას). 13—1

დაკარგვა სამსახურის წიგნაკი ხანგრძლივ ვადიან შვებულებაში მყოფ წ-არმიელი № 226 და საბჭოთა მუშაკების პროფკავშირის წიგნაკი შალვა პეტრეს ძე ავალიანის სახელზე. ჩ. გ. 965

МИР ПРИКЛЮЧЕНИЙ
В 1928 году журнал дает: 12 богато и художественно иллюстрированных книг в многокрасочных обложках.
Популярные научные очерки новейших достижений человеческого гения во всех областях знания и техники.
Нравы и обычаи на далеких окраинах СССР и заморских стран.
ПРИЯТНЫЙ И РАЗУМНЫЙ
Свыше 100 строго литературных и интересных новейших русских и иностранных произведений научно-фантастических, исторических, бытовых и юмористических. Рассказы приключений на земле, под землею, на море и в воздухе. Образцовые произведения лучших писателей народов всех Республик Союза ССР.
ОТДЫХ ТРУДЯЩЕМУСЯ
Новый Систематический Литературный Конкурс для подписчиков с 12 премиями на 1200 рублей за рассказы—задачи. (Подробности см. в каждой книжке журнала Мир Пр.
Ежемесячные премии за задачи: шахматные, математические, физические и другие.
ПОДПИСНАЯ ЦЕНА: ОДИН рубль за 2 мес., ТРИ руб. за 6 мес. и ПЯТЬ руб. в год с дост. и перес.
Редакция и Контора журнала „Мир Приключений", Ленинград, 25, Стремянная, 8.
240 б

ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ЖУРНАЛ САМООБРАЗОВАНИЯ
Вестник Знания
1928 ГОД
24 КНИГИ ЖУРН.
РЕДАКТОР АКАД. ПРОФЕС. В. М. БЕХТЕРЕВ
6 РУБ. В ГОД с ДОСТ. и ПЕРЕС.
ПРИЛОЖЕНИЯ по ВЫБОРУ
АБОНЕМЕНТ I ЗА ДОПЛАТУ 6 РУБЛЕЙ
12 КН. ВСЕЛЕННАЯ и ЧЕЛОВЕЧЕСТВО.
12 КНИГ ИТОГИ НАУКИ.
АБОНЕМЕНТ II ЗА ДОПЛАТУ 6 РУБЛЕЙ
12 КНИГ ПРИРОДА и ЛЮДИ.
12 КНИГ НАРОДЫ МИРА.
АБОНЕМЕНТ III ЗА ДОПЛАТУ 6 РУБЛЕЙ
12 КНИГ ЭНЦИКЛ. СЛОВАРЬ.
КОНТОРА РЕДАКЦИИ ЛЕНИНГРАД, СТРЕМЯННАЯ 8.

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 65